


# ლიტერატურული გაზეთი

№26 14-27 მაისი 2010

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



როსტომ ჩხეიძე

II - III

გიორგი ლობჯანიძე

IV - V

დავით ქართველიშვილი

VI - VII

ნოდარ ტაბიძე

X - XI

ზვიად რატიანი

XII


ხორხე ლუის ბორხესი

XIV - XVI



შეხვედრის გერმანულ ნაციზმსა და ჰიტლერს კნუტ ჰამსუნი. ამ პოლიტიკური მოძრაობისა და მისი წინამძღოლის წარმატებებს უკავშირებდა თავის ეთიკურ-მორალურ იდეალს, კაცობრიობის ხსნასა და ბედნიერი ცხოვრების დადგომას ყველა ქვეყნისათვის. ამიტომაც მიყურადებოდა ასეთი მღელვარებით ნაციზმის აღზევებას და ცდილობდა თავისი პუბლიცისტური გამოსვლებითა და გერმანიის სამხედრო ძლიერებისათვის მხურვალე თანადგომის გამოცხადებით თვითონაც მონაწილე ყოფილიყო გრანდიოზული და სასიკეთო ცვლილებებისა მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე.

ნორვეგიაც შეიძლება შთაენთქა გერმანული ნაციზმის მომძღვარებებს? ჰამსუ-



კნუტ ჰამსუნი

ნი ამას შთანთქმად სულაც არ მიიჩნევდა — ოღონდაც ბრიტანელებისათვის დაემოკლებინათ ხელები და მათი სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსიისათვის ერთხელ და სამუდამოდ მოეღოთ ბოლო და დაე თავიანთი ვაჟუნის ქვეშ მოექციათ.

სძულდა ინგლისი ჰამსუნს, ჰოი, რა სძულდა, ვერ ეპატიებინა ნორვეგიის დაპყრობა-რბევანი და ახლა ფიურერი და გერმანია თითქოს მის ნაცვლად იძიებდა შურს. ამ თვლით გაჰყურებდა მათ ნინსვლას და ან აღტაცება როგორ დაეფარა, ან იმედი რატომ გადაეწურა.

მთელს ევროპაში გაეთქვა სახელი ჰამსუნს, არც ელიტარული სალიტერატურო წრეების დაფასება და აღიარება აკლდა და არც საყოველთაო პოპულარობა, 1920 წელს მიწიჭებული ნობელის პრემია — რომანისათვის „მადლი მინისა“ — მხოლოდ ოფიციალურად ადასტურებდა მის დიდ ზეგავლენას ევროპის სამხედრო და კულტურულ ცხოვრებაზე და ამიტომაც მის ჩერებოდნენ გულისყურით მის ყოველ სიტყვას და, როდესაც გერმანულ ჟურნალისტსა და პაციფისტს კარლ ფონ ოსეცკის ნაცისტები — ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ — დააპატიმრებდნენ და საკონცენტრაციო ბანაკში გაამწყვდენენ, ყველა განსაკუთრებით მოელოდა ჰამსუნის საპროტესტო გამომხატვრებას.

ოსეცკი გაბედულად ამხელდა ნაციზმსა და მკაცრ რეპრესიებს სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ და გერმანიის მილიტარისტულ სწრაფვებსაც და, ცხადია, სითამამეს ასეთი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში არავინ აპატიებდა.

მის გამოქომაგებას ვინც მოინდომებდა, კიდევ მოიფიქრებდნენ წარედგინათ ნობელის პრემიაზე, იმედოვნებდნენ, მისი მპროვება დაიხსნის საკონცენტრაციო ბანაკიდან. ოსეცკის წარდგენა პრემიაზე დიდ დავა-კამათს გამოიწვევდა მის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის და მწვავე პაექრობისა ჰამსუნს... ჟურნალისტის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმორჩნდებოდა. იგი ოსეცკის გამაიტყუნებდა, და მისი ამ საქციელით აღმოფიქრებული ჰერმან ვილდენგი და თომას მანი კი ჰამსუნს დააყენებდნენ მძაფრი კრიტიკის სამიზნეზე.

ინგლისი მუხლებზე უნდა დადგეს, ბოლშევიკებისა და ამერიკელთა დამარცხება არა კმარა, ინგლისმა უნდა განიცადოს მწარე და სრული ფიასკო, მხოლოდ მაშინ ეშველება ევროპას და მსოფლიოსაც, მხოლოდ მაშინ დაისადგურებს საყოველთაო მშვიდობა, — სხვა არაფრის გაგონება არა სურდა ჰამსუნს, ინგლისის მუხლებზე დამოკლებელი კი გერმანია იქნებოდა თუ იქნებოდა, ფიურერის წინამძღოლობით, და როდესაც ამხელა მისი ჩაეთქვა, რას ასტეხოდნენ ეს სხვაგვარად მოაზროვნენ, რატომ არ აცლიდნენ მიზანდასახულ მოქმედებას. და ამ ოსეცკისაც ვითომ რა ენება, რატომ გადადგო-

მონაწილეობა სწრაფვას, და რატომ უწოდებდა რეპრესიებს, თუკი ნაციზმი რკინის ხელით ალკვეთდა მოწინააღმდეგეთა ყოველგვარ მცდელობას, უკმაყოფილებს განწყობილება შეეცანათ ხალხში და სიმხნევე წაერთმიათ მისთვის.

დაე გამწყრალიყო თომას მანი, ჰამსუნის საკუთარი ერის — თანაც კაცობრიობის მხსნელად შემართული ერის — მაძაგებელს ვერ გამოექომაგებოდა.

მეორე მსოფლიო ომის ცეცხლოვანი სუნთქვა სულ უფრო ხელშესახები ხდებოდა.

მოგვიანებით გაიხსენებს ჰამსუნი: მაშინდელი მოვლენები ყველაფერზე მეტყველებდა, გარდა გერმანიის დაღუპვისა. რადგანაც გერმანიაში ნაციონალ-სოციალიზმის ხანა დაიწყო, ქვეყანას სიცოცხლე, მოქმედების უნარი, საყოველთაო აღმავლობა ენვია. გამოცხადდა ნება და გერმანული ძალის სასწაული ფიურერის, ადოლფ ჰიტლერის, წინამძღოლობით.

და მსოფლიო ომი რას გამოენვია? ჰამსუნის მტკიცე რწმენით: ინგლისისა და მხოლოდ ინგლისის მოქმედებას, რადგანაც ეს ქვეყანა გერმანიის ასეთ აღმავლობას არაფრისდიდებით არ მოითმენდა. ჰიტლერი დიდხანს გაურბოდა სახელმწიფოთა სამხედრო დაპირისპირებას, ითხოვდა, სხვა რა, ითხოვდა, რომ სულ მცირედი მაინც დაეთმოთ მისთვის, ითხოვდა მარტოდენ ჭურჭრუტანას, დერეფანს გერმანიის მინა-წყლის შორეულ ნაწილთან. მაგრამ ინგლისი არა თმობდა, რადგანაც იგი სურდაო.

ინგლისი თუ ომს მოწინააღმდეგეყო, ჰიტლერსაც სხვა რა უნდა ელონა, თუ არა ის, რომ მახვილი ემიშვლა?

და დაიღვრებოდა დიტირამებზე მისი

**როსტომ ჩხეიძე**

**რა მოენია ჰამსუნს, პაუნდს რა მოენია**

(თავი მონოგრაფიდან „გრიგოლ რობაქიძე და ახალი მითოსი“)

სახელის ხსენებაზე ჰამსუნს:

— იგი ჯვაროსანი და რეფორმატორია, სურდა შეექმნა ახალი ეპოქა და ახალი ცხოვრება ყველა ქვეყნისათვის, მტკიცე საერთაშორისო ერთობა ყოველი ქვეყნის საკეთილდღეოდ. აი, რა სურდა. და მის გარჯას უკვალოდ არ ჩაუვლია, ხალხმა და ერებმა მას მხარი დაუჭირეს, მხარდამხარ დადგნენ, ხალხმა და ერებმა გადაწყვიტეს მასთან ერთად გაემარჯვათ. ჩვენ ამის მოწმენი ვართ.

და კიდევ: — იგი მედგრად დგას, ადოლფ ჰიტლერი, ეს გამოჩენილი ადამიანი, რომელმაც მშვიდად და მსუბუქად წამოაქცია მთელი მსოფლიო და ახლა მეორე მხარეს აბრუნებს! იგი გაუშკლავდება! მის გვერდითაა მისი იტალიელი თანამებრძოლი, მასთან არიან ევროპის მთავარი კონტინენტური სახელმწიფოები, ისინი ერთობლივად გაართმევენ თავს — და ომსაც ბოლო მოელებათ!

„მისი იტალიელი თანამებრძოლი“ გამჭვირვალედ მიანიშნებდა ბენიტო მუსოლინის. ამჯერად უკვე თანამებრძოლად ქცეულა ის კაცი, ვისიც ჰამსუნს ერთ დროს, ვიდრე ჰიტლერი აღზევებოდა, ყველაზე მეტად ეიმედებოდა. იტალიურ ფაშიზმს რომ მიესალმებოდა, მისი გამოცემული ალუტქამდა, მუსოლინის პირადად გაგაცნობო. და ნასიამოვნები ჰამსუნს იდიდა და უმადლებდა: ძალიან მინდოდა გამოემხატა მუსოლინისათვის ჩემი უდიდესი აღფრთოვანება და უღრმესი პატივისცემა — მოწყალე ღმერთმა ამ არეულ ჟამს ჭეშმარიტი ვაჟკაცი მოგვივლინაო.

და აჰყვებოდა ოცნებას, რა იქნება ნორვეგიასაც ენვიოს იტალიურ-გერმანული სიკეთენი და ფაშიზმმა რაღაც ფორმით ჩემს სამშობლოშიც გაიმარჯვოსო.

მეორე მსოფლიო ომი რომ ატყვდებოდა და გერმანიის არმია ნორვეგიაშიც შეიჭრებოდა, ჰამსუნი მოუწოდებდა თანამემამულეებს, წინააღმდეგობას ნუ გაუწევთ გერმანელებს, მათ ჩვენი დაცვა აქვთ განზრახული ინგლისელებისაგანო. თუმცე ნაციისტებთან თანამშრომლობით არ უთანამშრომლია, მაგრამ არასოდეს დაუფარავს ღრმა სიმპათია მათდამი.

ოცნების ევროპა მხოლოდ ასე წარმოედგინა: სახელმწიფოთა გაერთიანება გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის წინამძღოლობით.

ფიურერის სიკვდილს ნეკროლოგიტ გამოეხმაურებოდა 1945 წლის 7 მაისს და

მოიხსენიებდა ყველა ხალხის უფლებათა დაცვისათვის მებრძოლად. აღიარებდა ევანგელისტურ წინასწარმეტყველად და უმადლესი რანგის რეფორმატორად, ვისაც ბედისწერის განწინებით მოღვაწეობა მოუხდა უმადლითო სისასტიკის ეპოქაში და სწორედ ამას შეენირა.

ომის დასრულებისთანავე გაასამართლებდნენ ჰამსუნს სამშობლოს დალატის ბრალდებით და ციხეს მხოლოდ ხანდაზმულობის წყალობით გადაურჩებოდა. ერთხანს შინაპატიმრობაში გამოკეტავდნენ, მერე მოხუცთა თავშესაფარში ამოფეხდნენ, შემდეგ კი ოსლოს ფსიქიატრიულ კლინიკაში გაგზავნიდნენ გამოსაკვლევად.

არაფრისდიდებით არ გატყდებოდა ჰამსუნი და არ მოინანიებდა თავის საქციელს:

— რასაც ვწერდი, შეცდომა არა ყოფილა. არ ყოფილა შეცდომა, როდესაც ვწერდი. სავსებით ვიზიარებ მაშინდელ შეხედულებებს და სინდისიც გაკრიკლებული მაქვს.

გონებრივი უნარის ასაკისმიერი დაქვეითებაო, — ასეთი აღმოჩნდებოდა მისი სამედიცინო დასკვნა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებს თავის მამულში გაატარებდა, ნორჰოლმში, გამომცემლობა რომ გამოისყიდდა მისთვის, თორემ სასამართლო განაჩენით ქონებას ერთიანად ჩამოართმევდნენ.

1949 წელს მისი ბოლო თხზულება გამოქვეყნდებოდა, მოგონებანი — „გაბარდულ ბილიკებზე“, რომელიც სრულიადაც არ ამჟღავნებდა ჰამსუნის გონებრივი უნარის ასაკისმიერ დაქვეითებას. წიგნი აღწერდა მის განცდებს დაპატიმრების დღიდან უზენაესი სასამართლოს

არის ჰამსუნი? ფაშისტები თუ... ოღონდ ეს აუცილებლად პირადად უნდა გადაწყვიტოთო.

საქართველოში კნუტ ჰამსუნის მხატვრული ნააზრევი განსაკუთრებით მახლობელი აღმოჩნდებოდა კონსტანტინე გამსახურდიასათვის და 1923 წელს მიუნხენში დაწერილ ლიტერატურულ-კრიტიკულ ეტიუდში ლამის თაყვანებამდე მიღწეულ დამოკიდებულებას თავიდანვე გაამყვანებდა: ჩემს სანოლ ოთახში, შოთასა და ილიას სურათის ქვემოთ, მაღალი, მხარბეჭიანი, სათვლიანი კაცის სურათი ჰკიდია. იგი საოცარი დაკვირვებით იცქირება წინ, განცვიფრება იხატება მის სახეზე, თითქოს შიმშილისა და ტანჯვისაგან თავგაბეჭებულ კაცის ნაცვლად — ბუნების ნიაღში, ზღაპრული ციდან ჩამოვარდნილი ბაღლი იყოსო.

და იქვე მოსდევს: — ჭეშმარიტად „ციდან ჩამოვარდნილი“ მწერალია იგი.

შოთა რუსთველისა და ილია ჭავჭავაძის მოხსენიება ჰამსუნის გვერდით თავისთავად უკვე მეტყველი მინიშნება, ნორვეგიელი მწერალი „დიონისოს ლიმილის“ შემოქმედის სულეღერ თანაზიარად და ლიტერატურულ ორიენტირად რომ ქცეულა, მაგრამ თითქოს ამასაც არ კმარობს, რადგან ალექსანდრე ყაზბეგის აჩრდილსაც გამოიხმობს, თანაც ორგზის.

როგორც ყაზბეგის პერსონაჟებს აღიქვამს რეალურად არსებულ ადამიანებად, ისე ჰამსუნისას.

როგორც ყაზბეგის გმირთა სიყვარული ეჩვენება რაღაც საკვირველებად, ისე ჰამსუნისა.

კონსტანტინე გამსახურდიას თვალში „მისტერიების“ შემოქმედი მითოსურ გმირებსაც კი უტოლდება, ამიტომ იდუმალებაში ჰხვევს მის ბიოგრაფიას და მკითხველს უმტკიცებს, მთავარია, რომ მუდამ თან ვატარებ ნაგელის ფიქრებს, მასთან ერთად მიტანჯვია და ცრემლიც მიღვრიო.

იდუმალების მოციქულად იხსენიებენ „მისტერიების“ მთავარ გმირს? ქართველ მწერალს ძალიან მოსწონს



გურა პაუნი

ასეთი სახელდება და ჰამსუნზეც გადააქვს, ისიც იმავე საოცარი ჟინითა შეჰყრობილიო.

ერთ რომანთან დაკავშირებით ახსენებს „სისხლით დაწერილ სტრიქონებს“, მაგრამ მსჯელობის პათოსი გვავარდნივინებს, რომ ეს აღმტაცო შეფასება ნორვეგიის მთელს შემოქმედებზე განზოგადდება, ისევე, როგორც „ბუმბერაზული, მაგრამ ჩუმი ბრძოლა ადამიანის გულსა და ჟინს შორის“.

ამ ეტიუდის შექმნის შემდგომ საკმაო ხანი გასულა, ჰამსუნი გერმანული ნაციზმისა და ფიურერის მეხოტბედ ქცეულა და არც დევნა-შევიწროება მოკლებია და არც სასამართლო თუ ფსიქიატრიული საავადმყოფო. მისი სახელი სათრევი გამხდარა და, თუმცე ნორვეგიელებს ბოლოსდაბოლოს, შეუნდათ მისთვის და — გარდაცვალების შემდეგ — მისი თხზულებანი აღარ იკრძალება, საბჭოთა რეჟიმის საქართველოში თუ არის შესაძლებელი კონსტანტინე გამსახურდიას ამ პორტრეტული მონახაზის ხელმოწერა გამოქვეყნება?

თურმე შესაძლებელი ყოფილა. ეტიუდი „კნუტ ჰამსუნი“ დაიბეჭდება ესეების ორტომეულშიც და რჩეულ თხზულებათა ტომეულშიც. ეგაა, მწერალს დასჭირდებოდა საგანგებო პოსტკრიპტუმის დართვა:



„სამწუხაროა, რომ მიხრწილებში გადამდგარი მოხუცი ჰამსუნის ფაშისტი კანონბალებსადმი სიმპათიით განიშტვალა“.

ერთგვარ გამართლებას იმით უძებნის, რომ ამ პოლიტიკურ შეცდომას მისი ხანდაზმული ასაკით ხსნის, თითქმის მაშინ ნორვეგიელს ბევრი აღარაფერი მოეკითხებოდა. ასეა თუ ისე, ქართველმა მწერალმა აუცილებლად უნდა დაგმოს მისი ეს ნაწიჯი, რათა ამ ხერხით ეტიუდი გადაარჩინოს ცენზურის მსახვრალ ხელს.

ტაქტიკა გაამართლებს.

70-იან წლებში ჰამსუნის ქართულ თემ-ატყას მიუძღვნდნენ სტატიებს, ერთი მხრივ, ნოდარ კაკაბაძე და ნოდარ რუხაძე, მეორე მხრივ, მიხეილ კვცხელავა, აერიდებოდნენ მის ნაციონალურ იდეალებზე მსჯელობას და მათი ნარკვევები დაუბრკოლებლად გააღწევდა „ლიტერატურული საქართველოსა“ თუ „საუნჯის“ ფურცლებზე.

ერთ კრიტიკულ წერილში ოტია პაჭკორიას რომ დასჭირდებოდა კნუტ ჰამსუნის რომანის („მისტერიები“) ხსენება, როგორც შთამბეჭქველელი ერთ-ერთი ქართული რომანისათვის, არც მას შეეხებოდა ცენზორის კალამი.

80-იან წლებში „მისტერიები“ ცალკე წიგნდაც გამოიცემოდა და, რასაკვირველია, მთარგმნელისებულ ბოლოთქმამი თამარ აბრამიშვილი ბიოგრაფიულ ცნობებს ამოაკლებდა ნაციზმითა და ფიურერით გატაცებასა და ამის გამო ჰამსუნის მწარე ხვედრს.

არც მის სხვა რომანებს, მოთხრობებს, პიესებსა თუ სტატიებს ელოდა რაიმე წინააღობა, თუკი ითარგმნებოდა, ერთადერთი ადოლფ ჰიტლერის ქება ნურსად გასხლტებოდა.

ჩვენში მხოლოდ გრიგოლ რობაქიძის სახელს უნდა დასდევდნენ ამოსაშლელად, როგორ თუ ფიურერს განადიდებდაო.

ის კი არა, გადამქმამ თუ მონანიებამაც ვერაფერი უშველობს.

ჰამსუნს მოჩვენებითი მონანიებაც არ დასჭირდებოდა: სავესებით ვიზიარებ მაშინდელ შეხედულებებს და სინდისიც გაკრიშალებული მაქვსო.

შეჰხაროდა იტალიურ ფაშისმსა და მუსოლინის ეზრა პაუნდი. რადიოგამოსვლებითაც ასხამდა ხოტბას და პოლიტიკურ პაფლეტსაც შექმნიდა „ჯეფერსონი და/ან მუსოლინი“. ორიგინალური სათაურია, არა? ერთდროულად მაერთებელი და მაპირისპირებელი კავშირები. „და“ კავშირი აორჩიოს, ანდა „ან“, ერთერთი დატოვოს და მეორეს შეელიოს. მაგამ სწორედაც ესაა პოეტის ჩანაფიქრი — ორივე ერთდროულად, რადგანაც მეტი სიმკვეთრისათვის არჩევანის ძიება ურჩევნია საბოლოო გადაწყვეტილებას.

ვრცელია ეს პამფლეტიც, გრიგოლ რობაქიძის „მუსოლინის“ არ იყოს, და მასაღი დიდების შარავანდშია გახვეული დურქეს მონუმენტური ფიგურა.

„მუსოლინის პიროვნების ნებისმიერი ღრმა განსჯა გარკვეულწილად რწმენის აქტია, და დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია — შენი რწმენით — ეს კაცი და რისი მიღწევა სურს“, — როდესაც ასეთ შეხედულებას გვიმტკიცებს პაუნდი, იგი თვითონვეა ხელშესახები დასტური, მუსოლინიზე მსჯელობა რწმენის რიტუალისაგან რომ არც განერჩევა და მხოლოდ ამ გადასახედიდან გაიზრებს მის პოლიტიკურ იდეალსაც და თვითულ ნაბიჯსაც.

მუსოლინის არასოდეს უთხოვია განსხვავებული ხასიათის მქონე ერებისათვის, გადაელოთ ფაშისმის აგებულება და მონახაზიო, — ეს დაკვირვება პაუნდისათვის უმნიშვნელოვანესია და დურქეს მონუმენტურობის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი; და არკილა მისი ეს თვისება აღმოუჩენია, თამამად მიმართავს სულაც კაცობრიობას: გადაიყვანეთ ინგლისში და ნახავთ, თუ როგორ გაჰყვება თავის ფესვებს და დღედაღამე ვიტანაგემოტს ჩაეჭიდებაო. ვიტანაგემოტი რას გულისხმობს?

ძველი ანგლო-საქსური სიტყვაა და აღნიშნავდა სახელოვან ადამიანთა კრეხულს. ამ კრეხულში თავს იყრიდნენ ეპისკოპოსები, უხუცესები, თენგიზ და სხვანი. მათ ასახელებდათ მეფე და იკრიბებოდნენ მისთვის რჩევის გასაზიარებლად სახელმწიფოს მართვისას. და მუსოლინი ინგლისში რომ დაბადებულიყო, ამ ტრადიციის ერთგული მიმდევარი იქნებოდა.

მუსოლინის საიდუმლოს ამოხსნასაც ხომ არ უტრიალებდა პაუნდი?

ამ რანგის პოეტს ეს განზრახვა აუცილებლად ექნებოდა და კიდევ მიაკვლევდა, ყოველ შემთხვევაში, თავისთვის ივარაუდებდა: დურქეს საიდუმლოება ალბათ მის უნარშია, ამიორჩიოს უმნიშვნელოვანესი და უსაჭიროესი ელემენტი ყოველ-

გვარი ჩახლართული ვითარებიდანო. და კიდევ: როდესაც ადამიანთან აქვს საქმე, პირდაპირ მიადგეს ამ კაცის ინტერესის შუაგულსო.

სხვანი მუსოლინის იმიტომ თუ აღიარებდნენ, პლუტოკრატია დათრგუნაო, პაუნდი ამ სახელმწიფო მოღვაწეში გაცილებით მეტს ხედავდა, უპირველესად კი პიროვნებას, ვინც პოლიტიკა ხელოვნებად აქცია.

განსაკუთრებულ სულიერ სიახლოვესაც ამიტომ განიცდიდა მასთან და მონდომებული გახლდათ, ყველას შეეცყო და ერწმუნა დურქეს ეს გამორჩეულობაც და მისი წარმატების საწყისიც:

— მუსოლინიმ უთხრა თავის ხალხს, სახელმწიფოსათვის აუცილებელია პოეზიაო, და ამიტომაც ავიდა ცივილიზაცია უფრო მაღალ დონეზე რომში, ვიდრე ლონდონსა თუ ვაშინგტონში.

არ აპატივდნენ ამერიკელები პაუნდს იტალიური ფაშისმითა და მუსოლინით აღტაცებას და 1943 წელს სახელმწიფო ლაღატში დასდებდნენ პრალს.

ამერიკელ მწერალთა შორისაც არაერთი გამოჩნდებოდა, ვინც ამ უთვალსაჩინოესი პოეტის სიკვდილით დასჯას მოითხოვდა, კაცისა, ვინც არამარტო თავისი მხატვრული ძიებებით გაჰკვალა ახალი გზები XX საუკუნის მსოფლიო მოდერნიზმში, არამედ სასიკეთო პიროვნული ზეგავლენითაც.

მისი საგულდაგულო რედაქციითა და თანადგომით გამოქვეყნდებოდა ტომას სტერნს უელიტის პოემა „ბერნი მინა“, ეპოქალური ქმნილება და თავისებური ორიენტირი, რომელსაც ავტორი ამ სიტყვებით მიუძღვნიდა ეზრა პაუნდს: ჩემზე დიდ ოსტატსო.

მისი თანადგომით გამოქვეყნდებოდა ჯეიმზ ჯოისის რომანი „ულისიც“, ასევე ეპოქალური ქმნილება და თავისებური ორიენტირი.

მის ზეგავლენას განიცდიდა ერნესტ ჰემინგუეი, სულ სხვა მანერის შემოქმედი, მაგრამ პაუნდი არასოდეს შემოზღუდულა ერთი რომელიმე სტილისტიკითა თუ პოეტიკით და უპირველესი მომხრე გახლდათ ლიტერატურული მრავალფეროვნებისა.

სწორედ ჰემინგუეი გამოიდებდა თავს პაუნდისათვის ამ უძმიძეს ჟამს, გამოიდებდა, თუმც თვითონ დემოკრატიზმად და გენერალ ფრანკოს ფაშისტურ მოძრაობასაც იარაღით უპირისპირდებოდა ესპანეთში. მასწავლებლად აღიარებდა პაუნდს და ძალიან აწუხებდა მისი ბედი. ცხადია, ვერასოდეს აპატივებდა თავს, მხოლოდ შორიდან რომ ედევნებინა თვალი, თუ როგორ წარიმართებოდა პოეტის ბედი.

ამიტომაც მოელაპარაკებოდა საერთო ლიტერატურულ მეგობრებს და შესთავაზებდა: სულით ავადმყოფად გამოვაცხადოთ და სიკვდილით დასჯას ამით გადავარჩინოთ. დაუჯერებდნენ და ამ თხოვნით მიმართავდნენ ამერიკის მთავრობას.

რომში მყოფ პაუნდს ძალიან კი უნდოდა, ამერიკელთა სამხედრო ძალებს ჩაბარებოდა, მაგრამ მუსოლინის სიკვდილით დასჯიდან ორ დღეში იტალიელი პარტიზანები დააკავებდნენ სახლში. კერი ბოლტონი პოეტის ბიოგრაფიის გადმოცემისას საგანგებოდ აღნიშნავს, რომ პაუნდს კონფუციუსის წიგნი ჩაუდევს ჯიბეში და პარტიზანებს ისე გაჰყოლია, დარწმუნებული, რომ დახვრეტდნენ. იგი ხომ არამარტო გატაცებული იყო ჩინური პოეზიითა და ფილოსოფიით და თარგმნიდა კიდევ, ის განწყობილებანი თავის ლექსებშიც შემოჰქონდა, და ნიშანდობლივია, რომ ელიოტმა შეარქვა „ჩინური პოეზიის გამომგონებელი ჩვენს დროში“.

იგი მზადაა დახვრიტონ მანიცდამანც კონფუციუსის წიგნთან ერთად. მაგრამ სიკვდილით დასჯის ნაცვლად პიზამ ჩაიყვანდნენ და ყველაზე საშიშ სამხედრო ტყვეთა ბანაკში მოათავსებდნენ.

ესეც მისი რადიოგამოსვლების საზღაური.

რაკილა ფაშისტ სამხედრო დამნაშავეებს გაუთანაბრეს, ცარიელ, ბეტონის იატაკიან ოთახში ამიტომაც შეაგდეს, აუტანელი სიცხის პირობებში, მთელი ღამე შუქიც რომ არა ქრებოდა.

პაუნდს ჯანმრთელობა შეერყეოდა და სამკურნალო ბლოკში გადაიყვანდნენ, სადაც... „პიზური სიმღერების“ წერას შეუდგებოდა.

ტრადიციულ ჩინურ ლექსსაც თარგმნიდა, რაც 1954 წელს იხილავდა მზის სინათლეს.

ბოლინგენის პრემია რომ დაარსდებოდა 1949 წელს, კონგრესის ბიბლიოთეკის ამერიკული მწერლების საბჭო, იმავე პრემიის ჟიური, პირველ ლაურეატად აღიარებდა ეზრა პაუნდს „პიზური სიმღერებისათვის“.

ჟიურის წევრთა შორის იმყოფებოდა ალენ ტიეტი, პოეტი, ესეისტი და მეცნიერი, ვინც ამ ლიტერატურული მოვლენის ირგვლივ საგანგებო ესეის დაწერდა — „ეზრა პაუნდი და ბოლინგენის პრემია“, რათა აეხსნა ამგვარი გადაწყვეტილების აუცილებლობა და პირადი მოტივიც, თუ რატომ დაუჭირა მხარი პირველ ლაურეატად პაუნდის არჩევას, მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურულ ჭორიკებს არაერთხელ ჩაენვეთბინათ ტიეტისათვის, შენს შემოქმედებას პაუნდი ყოველთვის ათვალწუნებით იხსენიებდაო.

ალენ ტიეტი არ გაიზიარებდა თვალსაზრისს, პაუნდის უპასუხისმგებლო შეხედულებანი მხოლოდ ახლოს ჩაუვლის მის პოეზიას, რაც შეურყვნილი რჩებოდა.

მიუღებელი შეხედულებანი უშუალოდ პოეზიის შუაგულშიაო, — ნაედავებოდა ნაგულსხმევე ოპონენტებს, — და ისე უნდა აღვიქვათ, როგორიც სინამდვილეშია: სუბიექტური, კერპი და განყენებული.

კერძო შემთხვევას განაზოგადებს ტიეტი და სულაც არა ფიქრობს, თითქოს პიროვნების ბიოგრაფია და შემოქმედება ორი სრულიად განცალკევებული მოვლენა იყოს, არსად რომ არ გადაჰყვებენ ერთიმეორეს. ისინი ბევრნილად უნდა განსაზღვრავდნენ ერთმანეთს, და თუ გულუბრყვილო მკითხველი შეიძლება მოტყუვდეს და კეთილშობილების ილუზია კეთილშობილებად აღიქვას, სიკეთის ილუზია სიკეთედ, მორალის ილუზია მორალად, პროფინონალს ასეთი შეცდომა არასოდეს დაემართება და მის თვალწინ თხზულების არსი და ეთიკური მრწამსი ხელშესახებად იმიფრება.

ტიეტს „პიზური სიმღერების“ ფორმალური უპასუხისმგებლობაც ხვდება თვალში და ორწმუნება, კრიტიკული შენიშვნები მაშინაც გამოჩნდებოდა, პოემაში ანტიფაშისტური თვალსაზრისები რომ იყოს გამოთქმულიო.

საგანგებოდ აღნიშნავს იმასაც: რომის რადიოში პაუნდის გადაცემებს არავითარი ზეგავლენა არა ჰქონია ამ ქვეყანაში და მხოლოდ საკუთარი თავის საზიანო დაუდევრობად დარჩაო.

ამ სიმღერების ანტიემიტიზმი? მიაჩნია, რომ სიმღერების ანტიემიტიზმს სერიოზულად არავინ აღიქვამს, გარდა ლიბერალი ინტელექტუალებისა, რადგანაც: პაუნდის შეხედულებებს ანტიემიტიზმი ვერ გამოიყენებენ, საამისოდ ძალზე უმანკაოა.

მრავალმხრივ საგულისხმოა ტიეტის ესეი და ასე რომ გაეყვებო, ვეღარც ჩამოვეხსნებოთ. ამიტომაც მის ბირთვს დაეუკვირდეთ, რის გარემოც იკვრის კომპოზიციური ქარგა.

რატომ მისცა ხმა პაუნდის დაჯილდოებას?

რატომ და: — ლიტერატურის სიჯანსაღე დამოკიდებულია საზოგადოების სიჯანსაღეზე და პირიქით; და მუდამ ფხიზლად უნდა ვაღვენთოთ თვლი პროცესის ორივე მხარეს. მწერლის სპეციფიკური მოვალეობაა იზრუნოს საზოგადოების ჯანმრთელობაზე არა მთლიანად, არამედ ლიტერატურაში — ეს ნიშნავს, რომ მან გამოუმდებოთ უნდა იცოდეს, თუ რა დღეშია ენა მის დროს. პაუნდის ენაზე ბოლო იცადათი წლის მანძილზე დაკვირვების შედეგად დავრწმუნდი, რომ მას ყველა სხვაზე მეტი წვლილი მიუძღვის ინგლისური ლექსის, თუ არა წარმოსახვითი ფორმებისა, ენის აღორძინებაში მაინც.

პოლიტიკური კონიუნქტურა სრულიად უცხოა არა მხოლოდ ალენ ტიეტისა და ჟიურის სხვა წევრებისათვის, არამედ ამერიკული სინამდვილისათვის საერთოდ. ჟიურის წევრებს მინიჭებული აქვთ უფლება, თვითონ გადაწყვიტონ ლაურეატის ბედი, და არეშუქებათ დევნის საშიშროება, თუნდაც ისეთი კაციც რომ შეარჩიონ, ვინც ციხიდან შემოიღ და მანამავეთა სახლში გადაუყვანიათ და არავინ უწყის, ელირსება თუ არა ოდესმე თავისუფალი ცის ხილვა.

1953 წელს პაუნდს ჯერ კიდევ არა ჰქონია დიაგნოზი დასმული, მხოლოდ ზოგადად აღნიშნავდნენ: პიროვნება დაეერღვაო. 50-იანი წლების შუა ხანებში გავლენიან პირთა და ჟურნალების შუამდგომლობით იგი გაათავისუფლეს და 13-წლიანი ტუსალობის შემდეგ — 1958 წლის 18

აპრილს — სახელმწიფო ლალატის ბრალდებაც გაუშუქეს.

ორიოდ თვეში, კერძოდ, 30 ივნისს, იგი იტალიაში გაემგზავრა და ნეაპოლში დახვედრილ ჟურნალისტებს ფაშისტური საღამო მისცა.

მის მსოფლხედვაში ოდნავი ცვლილება არ მომხდარა და არც დიპლომატიური მოსაზრებით უცდია თავშეკავება.

ამასაც არ იკმარებს და საქვეყნოდ განაცხადებს:

— მთელი ამერიკა ფსიქიატრიული საავადმყოფოა.

„სიმღერების“ შეთხზვასაც კვლავ აგრძელებდა და მიმონერასაც ისეთ პოლიტიკურ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ კასპერი და მოსლი.

„იგი შეურიგებელი დარჩა ამერიკული სისტემის მიმართ და პოლიტიკური შეხედულების გამო მხოლოდ გარდაცვალების — 1972 წლის ნოემბერი — შემდეგ ელირსა აღიარება და ჯილდოები“, — იტყვის კერი ბოლტონი, თუმც რატომ უნდა გამოგვრჩეს, რომ ბოლინგენის ლიტერატურული პრემია სიცოცხლეშივე და სულაც შემოიღოთა სახლში გამოკეტვის ჟამს არგუნეს.

ქართულ სინამდვილეშიც მისი სახელი სიცოცხლეშივე შემოაღწევდა ზვიად გამსახურდიას მეოხებით. ჯერ 1971 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „XX საუკუნის ამერიკული პოეზია“ დაეთმოზოდა პაუნდს ორიოდ გვერდი და გამორჩეულ მოვლენადაც მოიხსენიებოდა როგორც იმაჟიზმის მიმდევარი და როგორც იმ რანგის შემოქმედი, ვინც შეუძლებელია ჩაეტოს ერთი ნაციონალური ლიტერატურის საზღვრებში. იქვე მის ორ ლექსსაც გაცენობოდა მკითხველი. შემდგომ კი 1972 წელს გამოქვეყნებულ მცირე ანთოლოგიაში „ამერიკელი პოეტები“ მისი კიდევ არაერთი პოეტური ნიმუში მოექცეოდა ქართულ ენობრივ სამოსელში.

პაუნდი რომ ჯერაც ცოცხალია, ორივე წიგნში გამოქვირვალედაა მინიშნებული: მისი ყველაზე პოპულარული წიგნია „ქებანი“, რომელიც ჯერ არც უნდა იყოს დასრულებულიო.

ცხადია, გაკვრითაც არსადაა აღნიშნული, ეს პოეტი იტალიურ ფაშისმსა და მუსოლინის რომ განადიდებდა და ამისათვის არც ციხე დაკლებია და არც ფსიქიატრიული კლინიკა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ქართულ ენაზეც თავისუფლად ჩნდება მისი სახელი და ლექსებიც. არ დაგომიან, თუ მაინცდამაინც მის თავგადაკულ ფაშისტობას არ შეასხამ ხოტბას და ამ გადასახედიდან არ გაიზრებს მის პოეზიასა და ბიოგრაფიას.

ჩვენში მხოლოდ გრიგოლ რობაქიძის სახელს უნდა დასდევდნენ ამოსაშლელად, როგორ თუ დურქეს განადიდებდაო.

„ო, ღმერთო! ო, ვენერა! ო, ქურდების მფარველო მერკური!“ ისმინეთ ჩემი ვედრება, მალისრეთ თამბაქოს პატარა ფარდული — უკვე ქართულ ენაზეც შესთხოვდა ზეცას ეზრა პაუნდი — „მომაქირავეთ თამბაქოს პატარა ფარდული, ან მომიჩინეთ სხვა რამ ხელოზა, ოღონდ მარიდეთ მწერლის დაწყველილი ხელობა, რომელიც ითხოვს დღედაღამე ტვინის მუშაობას“.

საკუთარ ბედისწერას ვინ გაქცევია, პაუნდი რომ გარიდებოდა, და ეს ვედრებაც პირადი ხვედრის გადაულახაობის ტრაგიზმით განსშტვალულა.

არაფერს მოინანიებდა.

არავის შეუპუებოდა.

და იდგა ნეაპოლში ჟურნალისტების წინაშე ფაშისტური ჟესტით, დაწუნციოს მიგნებულით, მუსოლინის მისაკუთრებულით. აღარც ერთი იყო, აღარც მეორე, დროს წაელო მათი მეტოქეობაც და იტალიური ფაშისმიც დაემსხვრია, როგორც მძლავრი მოძრაობა. პაუნდილა ინარჩუნებდა მის გარეგულ ნიშნებს, ისლა ეკონიგებოდა მუსოლინის სახელს და დაუინებით ცდილობდა ყველასათვის შეეგონებინა, რომ სახელმწიფოსათვის აუცილებელია პოეზია.

ეს მრწამსი არ უნდა დამარხულიყო დურქეს ნაწამებ სხეულთან ერთად.

ამერიკისათვის კი თავისი 13-წლიანი პატიმრობა როგორ ეპატიებინა.

მთელი ამერიკა ფსიქიატრიული საავადმყოფოაო, — მგზნებარებას ჩააქსოვდა ამ სიტყვებში და ამ ფრაზის შემდეგ იტალიის მიწაზე ხელშესახებად შეიგრძნობდა თავისუფლებას.

ნეტა საბჭოთა იმპერიაზე რაღას იტყოდა, ცალი ფეხი რომ მაინც შემოცდენოდა და მისი პოეტური მზერის წინაშე ერთბაშად გადახსნულიყო ამ ქვეყნის არსი? ამერიკა თუ ფსიქიატრიული საავადმყოფო იყო, ნეტა საბჭოეთს რაღა უნდა დარქმეოდა?

და იძირებოდა ქვეყნიერება ტკივილსა და სასოწარკვეთაში.



**მადუზა. შრომის თაიგული**

ყველაზე მეტად ზღვა მომწონდა,  
 კარგად ვცურავდი,  
 ცისკიდურამდე  
 მივიდოდი  
 ხელურ-ტივურით,  
 არც ზვიგენები მაშინებდნენ,  
 მით უფრო მაშინ,  
 როცა მიყვარდი  
 და ჩემში ვეღარ ეტეოდა  
 ეს სიყვარული,  
 ზღვასავით იყო,  
 მანყებოდა,  
 როგორც ნაპირს  
 ნასალეკავად.  
 გახსოვს?  
 მამჩნევდი? —  
 სული მაშინ კბილით მეკავა...  
 ყოფას ვეკიდე,  
 როგორც საყდარს —  
 ლითონის ზარი  
 და ჩემს შიგნით  
 ვგუგუნებდი  
 დაურეკავად.

ყველაზე მეტად ზღვა მიყვარდა  
 და ლალატიც — პირველი და უნამდვილესი —  
 ზღვისაგან მახსოვს,  
 ზღვაზე მახსოვს,  
 როცა ტალღებს დაუნანებლად მივეცი თავი  
 და მათ სიღრმეში თავგანწირვით  
 თავით ჩავეშვი,  
 სახით პირდაპირ მედუზაში ჩავენარცხე,  
 რომელიც წყალში ლოტოსივით გადაშლილიყო  
 და შხამიანი საცეცები ამოშვირა,  
 როგორც მკლავები —  
 შეყვარებულის ჩასახვევად გამზადებული...  
 და სახეზე თითქოს ასი ჭინჭარი დამცხეს,  
 თითქოს ასი სიყვარულის ჭმუნვამ შემიპყრო,  
 უცებ დავსივდი და ტუჩები ამომებურცა,  
 ტკივილისაგან დამებრიცა,  
 და როცა თავი ამოვყავი,  
 შენ გეგონა, რომ  
 გიღიმოდი...

ლამით სახეზე  
 სიყვარულის მთელი შხამი გამომეფინა,  
 მხოლოდ ასე მოგერიე და დაგამთავრე,  
 როცა თითქოს ერთიანად მომერღვა ხორცნი  
 და ვბუტბუტებდი:  
 ღმერთო, უკან გიბრუნებ ტუჩებს,  
 აღარ მჭირდება,  
 რადგან მხოლოდ მედუზა მკოცნის  
 და ვნებთანად მეკონება,  
 ვით სატრფოს ბაგე,  
 როგორც წიაღი —  
 უკუღმართად წაღმა მბრუნავი,  
 ზღვამ ეს მაჩუქა,  
 ჩემთვის მხოლოდ სუსხი იკმარა,  
 სატრფოს მკლავივით ამომიდო თავსასთუმალი —  
 თეთრი მედუზა,  
 როგორც ველის შროშანთა გუნდი  
 გამოუცნობად მოცახცახე ხელში ეკავა  
 და მანიშნებდა —  
 სიყვარული სწორედ ეს არის:  
 შენს სივრცეებში გუგუნებდე  
 დაურეკავად...

**კვინინი**

ნოემბერი ჩუმად და თავისთვის ტირის  
 ჩანაცრული ზეცის ჩამოქეხულ ირისს,  
 მეგობარმა ისე ჩამომტეხა მხარი,  
 თითქოს კვინინის ტოტებს შეამტვრია წკირი.  
 წვიმის თქემის ვარდა ვინ დაინყებს ვალალს,  
 ვინ იტირებს ხეებს — ჩახსებილს და მოჭრილს,  
 დგას ტყის პირას ერთი ეკლიანი კვინინი  
 და ტოტებით მძიმე სიმარტოვეს ფხოჭნის.  
 ვილას ელი ნეტავ, დაძენილო კვინინი,  
 ქართლის ველზე მდგარო ტეტიავ და ბოთევ,  
 ასე უნდა იდგე... გაზაფხული აღარ  
 ავიყვავებს მეტად ჩამოსხეპილ ტოტებს.  
 არ ჭიკჭიკებს ჩიტი და ნოემბრის ქარში  
 გადაბმული წვიმის თხლაშუნილა ისმის,  
 მეგობარი მიდის თუ ორლობის ბოლოს  
 მილანლანებს დარდით გაცრეცილი ნისლი...

**შაპიდავი**

მაგრად მაკოცე,  
 დილით უკვე აღარ ვიქნებით;  
 დავალეზაზე ორივენი უნდა გავიდეთ,  
 დიდი ქალაქის ორ კიდეში გავიფანტებით  
 და შეკრება აღარასდროს მოგვიხერხდება,  
 კვამლად ავიწვევთ ზეცისაკენ,  
 მიმოვიბნევით,  
 და ვინ იცის,  
 იქ ეგება ვერადროს შევხვდეთ...



**გიორგი ლობჯანიძე**

მაგრად მაკოცე შიგ ტუჩებში,  
 ტანი ენით მომისინჯე,  
 ნება-ნება აჰყევი სხეულს,  
 ერთი ნაკვთი,  
 ერთი ნიბოც არსად მიგრჩეს დაუკოცნელი,  
 ხვალ ეს სხეული მტვრად იქცევა  
 და ამ თვალებს ქარი წაიღებს...

სამოთხეში?

სამოთხე ჩემთვის შენთან იყო.  
 სადაც გხედავდი,  
 ყველაფერი იქ მიყვარდა,  
 იქ ნელდებოდა უდაბნოს ხვატი  
 და ჩემს შიგნით მოინევიდა,  
 რომ გულ-მკერდზე  
 ფორეჯებად გამომფენოდა.  
 დიახ, სამოთხე, —  
 რადგან ჩემთვის აკრძალული ხილი იყავი,  
 ყველა მცნებით  
 აღკვეთილი,  
 ბეჭედდასმული  
 და სიყვარულსაც მხოლოდ მაშინ მოვახერხებდი,  
 თუ საკუთარ თავს, სხეულსა და სულსაც დავთმობდი,  
 დავაგდებდი, როგორც კანს და მოგეცემოდი ან  
 ავიღებდი,  
 რომ მსგავსი მსგავსით შეცნობილიყო...

ამიტომაც:  
შენ იყავი

ჯოჯოხეთი

და იმიტომ, რომ  
ჯოჯოხეთი შენ იყავი,

ჯოჯოხეთი  
სამოთხე იყო...

სად მივდივართ, ხვალ საითკენ გავეშურებით,  
 დიდი ქალაქის ორ კიდეში  
 ნაღმებით უნდა შევანგრიოთ  
 ჩვენთვის  
 უწყალოდ ჩარაზული სამოთხის ბჭენი,  
 უნდა დავთმოთ სხეული ჩვენი  
 მარადიული ნეტარების მოსაპოვებლად...  
 მაგრამ მანამდე  
 მიწიერი ნეტარების აღმტაც ნუთებში  
 მაგრად მაკოცე.  
 შენი სხეულის ყველა მყესით  
 ჩემი ტანის ყველა მყესი დაიმახსოვრე,  
 იმ ადგილებს მიაგენი,  
 სადაც სული და სხეული ერთმანეთს ერწყმის...  
 სადაც სხეული სულში გადადის,  
 რომ  
 როცა ხვალ, ჩვენი თავის ნანგრევებში გავაბიჯებთ  
 და ნაწილ-ნაწილ ავალთ ზეცაში,  
 მაინც მიცნო  
 და სიყვარული იქ გავაგრძელოთ...

\* \* \*

**მ. მ-ს**

აი, გავიარეთ  
 ეს შენი ქაშანიც,  
 უდაბნოს გზებია  
 ვრცელი...  
 ღარიბი ქოხები —  
 ალიზით ნაშენი,  
 ველზე მიშვებული  
 ცხენი...  
 და ავტობუსების  
 მწუხარე სადგური  
 ყიჟინით მიჰქონდათ  
 ხურმებს,  
 სადაც შენ  
 წასული მეგობრის

კვალდაკვალ  
 მალულად ტიროდი  
 თურმე...  
 ყველანი ვაცილებთ  
 უწუმრად ვილაცას,  
 გვიქრება სხივები ანცი,  
 მერე კი,  
 ბალიშიში პირქვე ჩამხოზილინი,  
 ჩავბლუთ დროსა და მანძილს.  
 როს თითოეული  
 ჩვენგანის ქაშანში  
 მოვა უმდიდრესი ჭირი —  
 ტრფობა —  
 და ჩვენ, როგორც  
 უდაბნოს ღრუბლები,  
 ღარიბი ცრემლებით ვტირით...  
 მივდივართ,  
 თანდათან  
 ხელში გვეცრიცება  
 ძვირფას მისამართთა რუკა,  
 ცხოვრება გავიდა,  
 რატომღა მეძახი,  
 ნულარ მიმახედებ უკან...

**ლურსმინის ნაჭდევი**

*ირაკლი კაკაბაძეს*

ბაბუანვერა გაიფანტა...  
 თმა აღარ შეჩა თავზე,  
 მხოლოდ ერთი ღეროა, —  
 ისიც სუსტი,  
 მოცახცახე,  
 მიუკარები...  
 ჩაუხანგებული ლურსმანივით  
 არჭვია მინას,  
 რომლის ხელისგულს  
 სისხლიც კი არ მოსწვეთავს უკვე —  
 იმდენმა ხანმა გაიარა,  
 რომ ყველაფერს ხმა ჩაუნყდა  
 და  
 გაილურსა...

ნუ გეშინია,  
 არაფერი აღარ მატირებს,  
 მხოლოდ და მხოლოდ  
 ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი,  
 რომელიც — ჩემგან განსხვავებით —  
 ასფურცელამ სხვანაირად გამოიყენა,  
 მე კი ისეთ ზღაპარში ვარ,  
 სადაც ვერაფერს, —  
 თვით ხახვსაც კი, —  
 ვერ ვიყენებ  
 პირდაპირი  
 დანიშნულებით...

როცა დევისკენ მივდიოდი,  
 გული  
 ხახვივით  
 ფურცელ-ფურცელ  
 შემოვიფცქენი,  
 გზაზე დავტოვე  
 საეგებისოდ:  
 იქნებ, ვინმეს მოვეძებნე —  
 დევეში  
 ჩასული —  
 და ამ ფურცლებს  
 ჩემს კვალდაკვალ გამოჰყოლოდა.

რამდენმა ხანმა გაიარა...

ჩვენ ერთმანეთს კაფეში შევხვდით...

ხახვის ფურცლების თაიგული  
 მეჭირა ხელში,  
 რომელიც თეთრი ვარდებივით  
 გამოგინოდე...

შენ კი, —  
 უეცრად, —  
 ბაბუანვერას ბუსუსებმა აგწვა თვალები  
 და, სახეზე ხელები რომ აიფარე,  
 სწორედ მაშინ  
 შეგამჩნიე  
 ლურსმინის ნაჭდევი...

**იწვირია**

*გავა ლომიძეს*

მე დამესიზმრა,  
 რომ დიდ მინდორში  
 დავდევი წვიმით განუწულ პეპლებს,  
 როგორც მაისის ბრიალა ლექსის  
 ნარმოუდგენლად მხიარულ რეფრენს  
 და ჩვენ ორივე ვიყავით ბავშვი,  
 შუა გზაზე რომ ხელი გავვიშვეს,  
 და მზე გვაჭერდა, ვით მუსიკოსის  
 გრძელი თითები დამცვდარ კლავიშებს.  
 სიზმარი ცხადის ინვერსიაა  
 და გასაკვირიც არ იყო ალბათ,  
 რადგანაც შენი წრფელი ღიმილი  
 მუდამ პეპლების მაგონებს ფარფატს.  
 ოღონდ მითხარი და ძილში მაინც  
 ნუ ჩამაყოლებს სანანებელად,  
 ნეტავი ცხადის რომელ მინდორზე  
 ფარფატებს სიზმრის ლურჯი პეპელა.

**ფრაგმენტი**

*მე სხვა მითოსიდან მოვდივარ:  
იქ, სადაც მოძღვარმა გაყიდა მონაფე.  
ასე დაიწყო ამოყირავება.*

ელი, ელი, ლამა საბაქთან\*,  
როგორ მტკივა ჯვარზე დამსხვრეული ტანი,  
როგორ მენვის ბეჭი,  
როგორ ხარობს ეჭვი,  
როგორ მტოვებს სისხლი  
ყველა ძარღვის ღეჭვით...  
სულს რას ვუბერავდი ეს ამდენი ხანი,  
რა ვაგროვე ასე  
თრთოლვით,  
მისხალ-მისხალ,  
ელი, ელი,  
ჯვარი  
ყურძნის მტევანს ისხამს,  
ნუთუ მართლა ის ხარ,  
მე რომ ვნახავ სისხამს.  
თუმცა განა მე ვარ  
ჯვარზე, განა მე ვარ? —  
გახეთქილი გული აღარ მიგავს მტევანს,  
დატეტილი სახე  
ჩამქრალ ზამბახს მიგავს,  
ვინ გაიგებს სულის ორაზროვან იგავს:

და აღელდა ზღვა და ამოვიდა იქიდან მხეცი.  
შუბლზე უბრჭყვიანობა  
გასრესილ ოცნებათა ათინათი და  
უარყოფილ სიყვარულთა უკუღმართი მადლი.  
ამოიგმინა და იღრიალა:  
სად არის მოძღვარი, მონაფის გამყიდველი,  
ზღვათა ამომყირავებელი,  
ჯოჯოხეთის ბჭეთა ამომბრუნებელი?  
სად არის,  
სად არის...

**დრო — საფრთხოვალა**

ვერ ვისწავლე თოქმარობა,  
ვერ დაგიკარ კვერი  
ყველაფერზე  
და ყველაზე  
სამტროდ ნამოღერილს.  
რაც გინდოდა, გამოგენროთ  
მაგ შენს სამჭედლოში,  
მე აპირილი მომიხმობდა  
იაიის დროშით  
და გაზაფხულს ნაკადულად  
გავეყვებ ღელე-ღელე,  
დღისით მზე და ღამით მთვარე  
მიკოცნიდნენ ხელებს,  
ჩემს ტალღებში ბანაობდა  
ვარსკვლავების გუნდი,  
შენ ჩინ-მედლებს ჩაბღოდი  
და გაქუცულ მუნდირს.  
ფრენის შემძლე და მოსურნეს  
რისთვის მელასალასა,  
ზამთრის ყმობა რად მინდოდა  
გაზაფხულის ვასალს?  
სულ ეს არის, რაც ღალატის  
ხანძარს გადაურჩა,  
წარსულს წვიმის თბილი ფერფლი  
აფენია ლურჯად.  
იქვე ერთი საფრთხობელა  
შესჩვევია ჩიტებს,  
ძნელად ფიქრობს, თავზე ხელებს  
მძიმედ შემოიდებს,  
ვერაფრით ვერ გაუგია  
უგონოს და უნდილს —  
კაცსა შვენის მუნდირი თუ  
კაცი შვენის მუნდირს...

**უცხოვლანეტალი**

ამ ქალაქის ცაზე მხოლოდ ანგელოზები დაფრინავენ,  
და თუ უფლის ნებით მიწაზე ჩამოვლენ,  
მაინცდამაინც ლუტის ქალაქში უნდა ჩამოვიდნენ  
გასაფრთხილებლად:  
აიღე სარჩო-სანოვაცე  
და გზას დაადექი,  
დაიღუპება ყველა და ყოველი,  
ვინც ვნებას იმისათვის არ იყენებს,  
რისთვისაც მიეცა!  
გარეთ ბრბო ღრიალებს:  
მოგვეცი, მოგვეცი  
შენი სტუმრები,  
მადისალმძვრელია მათი არამინიერი სილამაზე,  
პირალმა ამოვარუნებთ,  
როგორც ღმერთი ჩვენს ქალაქს,  
ჩვენი ცოდვებისთვის...

ანგელოზებმა ჭკუა ისწავლეს.  
იციან, დღეს ლუტი აღარ არის,  
რომ ბრბოს ვნებას გადაარჩინოს  
მათი ეთერული სხეულები  
და ამიტომაც  
დაფრინავენ უცხოვლანეტელთა კოსტუმებში,  
გულმიუვალინი,  
მოკვდავთა უკუღმართი ვნებებისგან დაცულნი  
და შეუხედავობის ჯავშანში დამალულნი...

\* „უფალო, უფალო, რაისთვის დამიტყვე მე?!“ (არამეული)

ვინ გადაარჩენს სილამაზეს წარტყენისაგან? —  
ყოველ გაზაფხულს,  
დაუნანებლად ისხილება იასამნები...

ანგელოზებმა ჭკუა ისწავლეს.  
მხოლოდ ამ სულელ იასამნებს არ ყოფნით ჭკუა:  
როგორც კი სითბო ხელს დაუქნევთ,  
ტოტებიდან მოინევენ ყვავილების ფრიალ-ფრიალით,  
ყრუ სამყაროზე უპასუხოდ შეყვარებულნი...

ჩემო უცხოვლანეტელო,  
თუ შეგიძლია,  
თან წაიღე მოყვავილე იასამნის მთელი ხეები,  
როგორც გული ქვეყნის ყველა შეყვარებულის,  
და როცა იქ შენს ანგელოზურ მარტოობაში  
მაგ შენს უცხოვლანეტელის ჯავშანს გაიხდი  
და ჭეშმარიტ სილამაზეს ამოაშუქებ,  
მარტო არ იყო,  
შენთან დარჩეს  
სუნი  
ტოტებდამტვრეული იასამანის...

\* \* \*

მარტოა ჩემი მეგობარი მღვდელი, უფალო,  
ოთხკედელშუა ნევეს დიდ ტახტზე, თავის კატასთან,  
თვითონ ჰგონია, რომ არასდროს მარტო არ არის,  
რადგან შენ ჰყავხარ და სუყველგან გვერდით  
დაჰყვები,  
როგორც შლეიფი სიზმრების და წარმოსახვების,  
რაც არასდროს, ერთხელაც არ გაუუცხოვდა.  
გეხვენები, ამ იმედებს ნუ გაუცრუებ,  
რომც არ იყო, ადექი და თავი შექმენი,  
იყავი მასთან,  
ნუ დატოვებ კატასთან მარტო,  
სიზმარავით აუცხადდი,  
გაუმარტივიდი...

\* \* \*

ისე ვიღლები,  
ლექსებს რომ ვნერ,  
ახლა მარტო სიზმრად ვნახულობ,  
და სიზმარი დილით უკვე ვეღარ გამომაქვს:  
დეტალები მავინყდება  
ანუ მთავარი...

ნუხელაც გნახე,  
რად მობრუნდი?  
ხომ დამემუქრე,  
რომ არასდროს,  
აღარასდროს არ მოხვიდოდი,  
მონატრებით რომ დაგესაჯე.

ნუთუ ახლა შენც მოგენატრე?

მართლა, მაშინ გაფრთხილება ვერ მოვასწარი,  
მინდოდა მეთქვა:  
დამსჯელია თვითონ დასჯილი  
და სასჯელი მუდამ ისე უღმობელია,  
რომ ტკივილი სიზმრად წაწმალს დაგანყებინებს,  
ათას ძილში შეგახებებს, რომ დაგარწმუნოს:  
თურმე ამქვეყნად არავისაც არ ენატრები  
და სინამდვილეს კი არა და,  
სიზმარსაც კი ვეღარავის აუყირავებ:

მკვდრებს — მიწაში,  
ცოცხლებს — ძილში  
ანუ მიწამდე...

**მეტამორფოზა**

*რუსუდან კაიშაურს*

ჩემი მეგობარი  
ლექსებად იქცა და  
სიტყვები გაუჯიქდნენ,  
დაუმწარდნენ...  
დედად იქცა და  
ქმარი მეორე ქვეყანაში გაემგზავრა,  
მიატოვა,  
შვილები დაიზარდნენ...  
ჩემი მეგობარი განვდილ ხელებად იქცა,  
სამათხოვროდ კი არა,  
სხვათა საშველად,  
ლობეზე შემოდებულ პურად,  
რომელსაც ვკოცნიდით ბავშვობაში  
და ასაკენკად ბელურებს ვუტოვებდით.  
ჩემი მეგობარი  
თვალებად იქცა  
და მთელი სამყარო შიგნით მოიქცია  
წიაღვით,  
ავობა არა,  
ევობა მოუნდა.  
მოდი, იქცი ვაშლად, მეგობარო,  
მე ხედ ვიქცევი,  
კენწეროზე გამოგობამ,  
გულში ჩაგახუტებ და  
შენს თავს მოსაწყვეტად არავის დავანებებ.  
უმნიფარი მხარე  
ჩემკენ მოაქციე,  
წითელი მხრით კი  
მზეს ეკეკლუციე,  
როგორც სამოთხეში...

**სახალისო მათემატიკა**

*შოთა იათაშვილს*

ხელფასამდე რამდენი დღეა?  
აღბათ 15,  
მე კი 10 ლარიდა დამრჩა,  
1 ცოლი და  
2 შვილი  
— შესამოსი,  
გასათბობი,  
გამოსაკვები...  
ვზივარ და ვფიქრობ, ათი ლარი  
თხუთმეტ დღეს როგორ გადავანვდინო:  
იქნებ მეყიდა ორი თევზი და ხუთი პური,  
მაგრამ 10 ლარად ესეც უკვე აღარ მოგივა  
გაგიჟებულად თავბრუდამხვევ ინფლაციამ...  
არასოდეს არ მქონია  
დიდი ნიჭი მათემატიკის,  
ახლა, მითუფრო, დავიბენი,  
ღმერთო, მისხენი:  
შენ რა ხანია, რა ხანია აქ არ ყოფილხარ:  
2000-ზე მეტი ხნის წინ,  
როცა მოხვედი,  
სულ სხვა დრო იყო:  
მაშინ კაცი  
რას არ იყიდდა  
30 ვერცხლად,  
თვიდან თვემდე თავს გაიტანდი  
და გამაძლარს შეგრჩებოდა  
იუმორის დროც და ხალისიც:

შეხეთ ფრინველებს ანდა შეხეთ ველის შროშანებს,  
არ ედარდებათ, რა ეცმებათ ტანზე ხვალისთვის  
და რას შეჭამენ ხვალ, რომელიც ჯერ არ დამდგარა,  
დღეს არსებობენ უზრუნველად, მშვიდად და ლალად  
და თქვენ რალად  
განრიალებთ დღე ხვალინდელი?

ეგ უწყინარი იუმორი გუშინდელია  
და თუ გუშინ,  
ვით უღვაშებში ჩალიმება,  
ისე ისმოდა,  
დღეს უკიდურეს სარკაზმად იქცა,  
შენთვის უცხოზე უცხო ქირქილად,  
შოლტის ზუზუნად,  
ქანცგანყვეტილი ხარებივით რომ  
ხვალინდელი იმედისკენ მიგვერეკება...

ხვალ კანაში ქორწილია  
და თუ უცებ ღვინო გათავდა,  
როგორ ავუხსნათ ღმერთს,  
რა გვიჭირს,  
მე პირადად აღარც მახსოვს,  
იმ დროს რა ერქვა  
ინფლაციას,  
ყველა ჩვენგანს რომ შიგნით გვითრევს  
შავი ხვრელივით...

დღეს მონეტებზე კეისრები აღარ ხატია,  
ფიროსმანი და შვილის ნუკრია გამოსახული...

**ლილი — შროშანი**

მხოლოდ ასე გაგაცოცხლე,  
სხვა ვერ შევძელი  
ვერაფერი და  
ვერც სიტყვამ მოიცალა  
თავის თავის ამოსათქმელად...

ისე უხამსად შიშველია  
სინამდვილე,  
აღარც აღმაგზნებს...

ხოლო სული უხორცოა  
და ხელს ვერსად მოუთათუნებ,  
ვერაფერზე ვერაფრით  
ვერ ჩამოყვრდნობი...

ჰაერს ფხოჭნის ერთიციდა ლილი  
— შროშანი,  
მზეს უღიმის,  
როგორც იქ,  
იმ უფლის ღელეში,  
ჯერ ცხადი არ დაწყებია  
და სიზმარივით  
გამოუცნობი  
მომავალი უთრთის ხელებში...





დღის პარასკევი და სალომე ტრადიციულად ჩემთან რჩება. რამდენიმე საათის წინ თორნიკეს ველაპარაკე. მიტხრა, რომ კარგად არის, მეც ვუთხარი, რომ კარგად ვარ, თუმცა რეალურად ეს ასე არ არის, თორნიკესგან განსხვავებით სალომე ჩემს გვერდზე და მხედვს, როგორც ვარ. მეფერება, მანყნარებს, როგორც შეუძლია, როგორც იცის, ზედმეტად ემოციურად და ეს კიდევ უფრო ცუდად მხდის. ვთხოვ, რომ გაჩუმდეს. სალომე ჩუმდება, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ სალომეს უკვე საკმარისად ვიცნობ, ყოველ შემთხვევაში მსგავს ნერილმანებში, ვიცი, რომ მისი დუმილი სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდება და ამის შემდეგ სალომე კიდევ უფრო ემოციურად დაიწყებს ჩემს დაწყნარებას, რის შემდეგაც კიდევ უფრო ცუდად გავხდები, ამიტომ ვცდილობ მონგრეული (თუ მოჯღაუნული? შეიძლება ერთდროულად ორივე) სახე გავასწორო და ვითომ დავენყნარდის მდგომარეობა და კარგად ვხდების პროცესი გავითამაშო. ვინცეხ სახის გასწორებას. ეს პროცესი ჩემგან დიდ ძალისხმევას საჭიროებს და მგონი არაფერი არ გამოდის და პირიქით უფრო ვინგრევი (თუ ვიჯღანები? შეიძლება ერთდროულად ორივე), სალომე მატყობს და ჩემს დაწყნარებას იწყებს, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო აქტიურად და გულმოდგინედ. მე და სალომეს ერთმანეთი რომ გვიყვარდეს, ასე არ იქნებოდა, მისი თითოეული სიტყვა ასე მძიმედ არ იმოქმედებდა ჩემზე. ვდგები, სალომეს შუბლზე ვკოცნი, მისი შუბლის სითბო მსიამოვნებს და მეორეჯერ ვკოცნი, შემდეგ აბაზანაში მივიღივარ. სალომე მეკითხება, სად მივიღივარ, მე მშვიდად ვპასუხობ:

— აბაზანაში, — თუმცა გრამატიკულად სწორი ფორმა მგონი სააბაზანოა, მაგრამ ცხოვრებაში გრამატიკა იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც მისი დარღვევა, რადგან მთავარი ინფორმაციის გადაცემა და მიღებაა. თუმცა გრამატიკული წესების დაცვისას, თავს უფრო ჰიგიენურად გრძნობს ადამიანი, რა თქმა უნდა, ის ადამიანი. ვინც იცის გრამატიკის არსებობა და მისი ელემენტარული წესები. სააბაზანოში შესვლისას მახსენდება, რომ სადღაც მაქვს ნაკითხული ლექსი სათაურით „ყოფის გრამატიკა“, მაგრამ ლექსის ავტორს ვერ ვიხსენებ, ასეთი ფიქრები კი მთიშავენ რეალობისგან, თუ შეიძლება სიზმრით გამოწვეულ ცუდ, უფრო სწორად საშინელ განწყობას ასე ეწოდოს, მაგრამ ისეთ ადგილას და მდგომარეობაში მარბუნებებს, სადაც დაბრუნება არანაირად არ მსურს. ჩემთვის შემოდგომა ყველაზე საშინელი წელიწადის დროა, ფოთოლცვენა, ჩამოცვენილი ფოთლების ფეხქვეშ ხრახუნი და მსგავსის გარეგნული დეტალები არაფერ შუაშია, მიზეზი ჩემშია, ჩემს სიზმრებში, შემოდგომაზე თითქმის ყველა სიზმარში მკვდრები მესიზმრებიან: მამაჩემი, ჩემი მეგობრები, ბებიები და მთელი შემოდგომა ცუდად ვარ, რამე ახალი ბიზნესი უნდა დავიწყო, გულს და ტვინს გადავავლო და ცოტას ვიძინებ, იქნებ მეშველოს. სახეზე ცივ წყალს ვისხამ, თან ვფიქრობ: რა კავშირშია ერთმანეთთან წელიწადის დრო და ჩემი სიზმრები, თავისთავად მე ვერცერთს ვერ ვაკონტროლებ, ვერც შემოდგომის დადგომას და ვერც ჩემ სიზმრებს, ამბობენ, რომ ამ უკანასკნელის კონტროლი შესაძლებელია, თუმცა პირადად მე ჯერჯერობით იმ დონეს მივადნე, რომ სიზმარში ვხვდები, რომ სიზმარში ვარ, მაგრამ ამას ჩემთვის მხოლოდ გამოღვიძების რამდენიმეწამიანი შვება მოაქვს, სხვა არაფერი. კიდევ ვისხამ სახეზე ცივ წყალს, ბოლომდე ფხიზელი მინდა ვიყო, თავისთავად სიზმრებში მოქმედების მხრივ საშინელი არაფერი არ ხდება, საქმე ეხება მკვდრების მიერ დასმულ შეკითხვებს, რომლებზეც მე პასუხი არ მაქვს, ხოლო მათ მხერაზე ვატყობ, რომ ყველაფერი იცანა, ეს ალბათ სიზმარში ჩაყოლილი ცოცხლების მიერ მკვდრების შესახებ გამოთქმული ერთერთი კლიშეა, რეალურად არცერთმა ცოცხალმა არ იცის რა იცანა მკვდრებმა: ყველაფერი, არაფერი, თუ ცოდნა მათთანაც შეფარდებითია.

საძინებელში ვბრუნდები. სალომე წევს და წიგნს კითხულობს, ჩემს დანახვაზე წიგნს დებს და მილიმის, მეკითხება როგორ ვარ. მე ვპასუხობ; — კარგად. შემდეგ წიგნზე ვუთითებ და ვეკითხები რას კითხულობს? წიგნს იღებს და მინვდის, წიგნს ვართმევ, ჯერ ავტორის სახელს და გვარს ვკითხულობ, შემდეგ სათაურს და წიგნს სალომეს ვუბრუნებ. — იცი? — მეკითხება სალომე. — კინო მაქვს ნანახი. — კინო არ ვარგა, წიგნი ნორმალურია, — მიხსნის სალომე. მე ვპირდები, რომ აუცილებლად წავიკითხავ, თუმცა ორივემ ვიცი, რომ პირობას არ შევასრულებ, ჩემი და სალომეს ლიტერატურული გემოვნება ერთმანეთისგან საგრძობლად განსხვავდება, სალომე მხოლოდ ეკრანიზებულ წიგნებს კითხულობს, მე თავისდროზე რაც წავიკითხე, იმასაც საკმარისად ვთვ-

დავით ქართველიშვილი

# შეოდგომა

(ფრაგმენტი რომანიდან „სიყვარული და მსხალი“)



ლი და ახლა მხოლოდ გამოჩენილი ადამიანების მემუარებს ვკითხულობ, ასე ვიკმაყოფილებ კითხვის მოთხოვნილებას და თან ლიტერატურისგან დისტანციას. რაც შეეხება თანამედროვე მოდურ მწერლებს, მათ ძირითადად ფილმებით ვცნობი, ისეთი განცდა მაქვს, რომ ისინი ზუსტად ამ მიზნით წერენ, რომ მათი წიგნების მიხედვით ფილმები გადაიღონ. — ნაყიდით სადმე? — ვგრძნობ რომ ძალიან მინდა სახლიდან გასვლა, სალომესთან ასე მარტო ყოფნა ძალიან მიჭირს, მაგრამ სულ მარტო დარჩენა, კიდევ უფრო მეტად, მთელი ცხოვრების მანძილზე ცუდას და უარესს შორის ვირჩევ, ალბათ ასეთ მდგომარეობაში ვარ, ან ზოგადად სხვა არჩევანი არ არსებობს. — ცუდად აღარ ხარ? — მეკითხება სალომე. — არა, — ვპასუხობ კატეგორიულად, მაგრამ კეთილგანწყობით, თუმცა შინაგანად ცუდად ვარ და სახლში ყოფნა არ მინდა. ვინცეხ რესტორნებისა და ბარების ჩამოთვლას. სალომე მეუბნება, რომ გავიდე და გზაზე მოვიფიქროთ, თავს ვუქნევ, სალომესთვის ასეთი დაუგეგმობა რომანტიკაა, დაგეგმილი რომანტიკა, სალომემ იცის, რომ ცუდ ადგილას არ მოვხვდებით, რა თქმა უნდა ავტოკატასტროფაში არ მოვყავები. სალომე მომზადებას ნახევარ საათს ანდომებს, თავისთავად ყოველდღი-

ურობაში ეს ნერვებს მომიშლიდა, მაგრამ კვირაში ერთხელ არაუშავს, ავიტან, და კიდევ ერთხელ ვფიქრობ: სალომე, რომ მიყვარდეს, ალბათ პირიქით ძალიან მომეწონებოდა მისი გალამაზების და შეფუთვის პროცესი. მანქანაში სალომე თავის მეგობრებთან რეკავს და ეკითხება, რას შევებიან, პატივებს, ეუბნება, რომ შემოგვიერთდნენ, მაგრამ სად? კონკრეტულ ადგილს ჯერჯერობით ვერ ვუბნებ. მინდა, რომ ყველა დაპატივებული მოვიდეს, იქნებ ხალხმრავლობამ მიშველოს, რაც შეეხება ადგილს, ავარჩევთ, ვიპოვით. ეს პრობლემა არ არის. რა თქმა უნდა, ადვილია, ყველაფერი მამაჩემს დავაბრალო, რომელმაც თვრამეტი წლიდან ამ ბიზნესში შემეტანა, რა თქმა უნდა, შემძლია თავი ვიმართლო, რომ სხვა მამიკოს საამაყო შვილებიგან განსხვავებით, ეს ამბავი გავაპროტესტე და ორი წლის განმავლობაში სახ-

სადმი არ მაძლევს იმის საშუალებას, საკუთარ თავისადმიც ასეთი მკაცრი ვიყო და ოდესღაც ჩემში არსებული სუსტი პრინციპები გახსენებისას არ გავაზვიადო, ხოლო მაშინდელი ჩემი ცხოვრების მიზნის, გავმხდარიყავი ასტრონომი (მინდოდა მეკვლია ვარსკვლავები და საერთოდ ცა, აღმომიჩინა ახალი პლანეტები, რომლებსაც ჩემი მშობლების, ჩემი მეგობრების სახელების დარქმევას ვუპირებდი) შეუსრულებლობა ჩემ ცხოვრებაში ყველაზე დიდ ნარუმატებლობად არ ჩავთვალო. წამლის კეთებაც ამიტომ დავინყე, ცაში გასვლა მინდოდა, მაგრამ მინისქვეშ მოვხვდი; თანდათან, გაუზარებლად და მიუხედავად. სალომეს სამსახურში გავუარე, სალომე ბანკში მუშაობს, თვითონ ამბობს, რომ ბავშვობაში მხატვრობა უნდოდა, მაგრამ ამ პროფესიის ნაკლებადპერსპექტიულობის გამო იძულებული იყო საბანკო საქმე შეესწავლა, სალომეს იმედი აქვს, რომ წლების შემდეგ, როდესაც მისი ცხოვრება კალაპოტში ჩადგება, აუცილებლად დაუბრუნდება ხატვას და თავისთვის დახატავს, ყოველგვარი გამოფენების მოწყობის გარეშე. თვალწინ მიდგება კლიმაქსიანი სალომე მარჯვენა ხელში ფუნჯით, ცარიელ ტილოსაა მიშტერებული და პირველი მონასმის გაკეთებას ვერ ბედავს. საცოდაობაა. მე და სალომე ხანდახან ჩვენ ყოფილ მეუღლეებს ვიხსენებთ და ამ სიტყვაზე ვიცი, ახლა ვხვდებით, როგორი პატარები ვიყავით უღელში შესაბამელად. სალომეს ყოფილი ქმარი ამერიკაშია. ყავს ცოლი და სამი შვილი, გადამზიდავ მანქანაზე მუშაობს, თავი ერთხელ ყავს ამერიკაში ნაყვანილი, თავის ამერიკა არ მოეწონა. ხანდახან ვფიქრობ, რომ ეს ადამიანი ჩემზე ბედნიერია, ყავს ოჯახი, აქვს სამსახური და ჩამოყალიბებული აქვს ცხოვრების მიზანი, მე მაქვს ფული, მინდა კიდევ უფრო ბევრი (ამ მოჯადოებულ წრიდან მე ვერ გამოვალ, თუ სასწაული არ მოხდა, სასწაული ჩემი გაკოტრება და ჩემის მხრივ გაკოტრების როგორც მადლის მიღება, მხოლოდ ჩემი ძალებით ამას ვერ შევძლებ) და მაქვს საკმარისზე მეტი ეჭვები ცხოვრების აზრთან დაკავშირებით, ხანდახან მგონია, რომ ყველა ასეა და საქმე გაუბედობასთან და ურთიერთდობის არარსებობასთან გვაქვს, მაგრამ მგონი ეს ძალიან ოპტიმისტური, (ოპტიმისტური იგივეა, რაც არასწორი) შეხედულებაა და, რეალურად ადამიანების უმრავლესობა მხოლოდ ხილულ და ხელშესახებ საგნებზე ფიქრობს. ძალიან ბევრს ვფიქრობ არასპეციალობით, არასაქმით, მაგრამ ჯერ ერთი, ამ კომპანიას უკვე რამდენიმე წელია არაოფიციალურად სახელმწიფო მართავს და მე მხოლოდ პროცენტულ წილს ვიღებ, ანუ მე არავინ არაფერს არ მეკითხება, ვგულისხმობ მართვის პრინციპებს, რომელიც მოგების პერსპექტივიდან გამომდინარე იცვლება და მეორეც, ცხოვრებაზე ფიქრი ვილაცხვებთ პროფესია არ არის და მეც მაქვს სრული უფლება ვიფიქრო, ვიმსჯელო, საკუთარ თავთან მაინც, რეალურად ამ ვერბალური ონანიზმის მიზეზი ისაა, რომ მშვიდად ვერ ვარ, რაღაც მაკლია, მგონი სიყვარული. „რაღაც მაკლია, მგონი სიყვარული“ კარგი სათაურია ბულვარული რომანისთვის, ბულვარულ ლიტერატურაში ნამდვილ, საჭირობოროტო კითხვებს სვამენ, უბრალოდ პასუხებია ამ კითხვებზე ზედმეტად ოპტიმისტური (ზედმეტად ოპტიმისტური იგივეა რაც ზედმეტად არასწორი) გამახსენდა რამდენიმე ბულვარული რომანი, ისე როგორც შეიძლება გაგახსენდეს ამ ჟანრის წიგნი; ბუნდოვნად და ყოველგვარი ემოციის გარეშე ისევ გავუფიქრო, ოღონდ რეალურ პრობლემაზე არ ვიფიქრო და მზად ვარ ზეპირი რეცენზია დავწერო ბულვარულ ლიტერატურაზე, ოცდასამი წლიდან ოცდაშვიდ წლამდე იმდენი ვიკითხე, რომ რამდენიმეჯერ სამოყვარულო რეცენზიის დაწერაც მომიწია, ამ დროისთვის მამაჩემი უკვე წყნარად იყო და პირიქით მუშენოდა, რომ თავისუფალი დრო წიგნებისთვის დამეთმო, რადგან, მისი აზრით, მე ბევრი თანამედროვე ბიზნესმენისგან გან-



სხვაგვარად პირველი თაობის ბიზნესმენი არ ვიყავი და ის წითელი, კომუნისტი, მაგრამ მაინც კაპიტალისტი იყო, აქედან გამომდინარე, ვალდებული ვიყავი მათგან განსხვავებით ხეპრე არ ვყოფილიყავი.

— აი, თორნიკეს კიდევ ვინც უნდა ის გამოვიდეს, — ამბობდა მამაჩემი და მე მხოლოდ ამ დროს ვფიქრობდი იმაზე, რომ თორნიკე ვიღაც უნდა გამოსულიყო.

გუშინ ბევრი მკვდარი ერთად დამესიზმრა, ვინეკი სად ან რაზე, არ ვიცი, მახსოვს, რომ ვინეკი. მკვდრები თავზე მადგნენ და ერთდროულად მელაპარაკებოდნენ, მხოლოდ მათი ხმები მესმოდა, რას მეუბნებოდნენ ვერ ვხვდებოდი, შემდეგ სხვადასხვა ცხოველებად დაიწყეს რიგრიგობით გადაქცევა, მამაჩემი (რომელსაც სიზმარში რატომღაც ჩემს მეგობრად ვთვლიდი, ხოლო ბებიაჩემს დედის მხრიდან მამაჩემად) აქლემად გადაიქცა და ამ დროს (თუ არსებობს სიზმარში დრო) მივხვდი, რომ სიზმარში ვიყავი და გავიღვიძე, შვებით ამოვისუნთქე, თავი წამოვიწიე და ჩემს გვერდზე მწოლი სალომე დავინახე. გამახსენდა: პარასკევი იყო და სალომე ჩემთან დარჩა, ვეცადე უხმაურად წამოვმდგარიყავი, მაგრამ სალომემ მაინც გაიღვიძა, სანამ გამოფხიზლებას და შეკითხვის ან შეკითხვების დასმას მოახერხებდა, საძინებლიდან გავიღვიძე, შევედი ტუალეტში, შარდისგან დავიცალე, ასე კიდევ უფრო ამოვისუნთქე, ხელით გადავიბანე და ვიგრძენი, რომ მშობიარე, სამზარეულოში შევედი, სალომე სამზარეულოში დამხვდა, ალბათ ეს არის მისტიური ქალური ინტუიცია, ხომ შეიძლება პირდაპირ საძინებელში დავბრუნებულიყავი, მაგრამ სალომემ გამოიცილა ჩემი გადაადგილების მარშუტი. ლურჯი ხალატი ეცვა, სიგარეტს ეწეოდა და დროდადრო ამოქნარებდა, მაცივარი გამოვალე, სალომემ სიგარეტი ჩააქრო, მითხრა, რომ დავმჯდარიყავი, დავეჯექი, სალომე თავად მივიდა მაცივართან და საჭმელების გამოღება და მაგიდაზე დალაგება დაიწყო, შემდეგ თეფში, დანა-ჩანგალი და ჭიქა მომიტანა, ახალ სიგარეტს მოუკიდა და ჩემს პირდაპირ დაჯდა. ჩემი დაკვირვებით ქალები უფრო ფანატიკური მწველები არიან, ვიდრე კაცები და საერთოდ ქალები უფრო ფანატიკოსები არიან, ვიდრე კაცები. ერთერთ ჟურნალში წაკითხული სტატია გამახსენდა, სტატია საფრანგეთის ტერორიზმთან მებრძოლ სამსახურს ეხებოდა, მათი წესდების თანახმად ქალი ტერორისტების განადგურება ადგილზევე უნდა მოხდეს, რადგან ქალი ტერორისტები განსაკუთრებით სახიფათოები არიან, შესაძლოა ეს სამაგიეროა იმ მრავალსაუკუნოვანი მითისთვის, რომელიც თავად კაცებმა ქალების სიძლიერეზე შექმნეს.

ჭამა დავიწყე. სალომე ეწეოდა. დროდადრო სალომეს ვუყურებდი და ვგრძნობდი, რომ არ მიყვარდა და ეს უსიყვარულობა ცხოვრებას გემოს უკარგავდა.

— არ მიყვარხარ, — ვუთხარი სალომეს. თავი დავეხარე და ჩანგალი მოხარშული ღორის ხორცის ნაჭერში ჩავარჭე.

— არც მე, ჩვენ ასაკში სიყვარული არ არსებობს, მაგრამ ძალიან შეგეჩვიე, — მითხრა სალომემ.

ვიგრძენი, როგორი დაძაბული იყო შინაგანად სალომე, რამხელა ძალისხმევით შედეგი იყო ამ წინადადების გამართვა, შემეცოდა, მაგრამ გაჩუმებას აზრი აღარ ქონდა.

— მე ვერც გეჩვიევი, — ვთქვი და ძალიან დავიძაბე.

სალომე უკვე ტიროდა. — მაშინ რა საჭირო იყო საერთოდ ამ ურთიერთობის დაწყება? მითხარ, რა საჭირო იყო.

— არ ვიცი, — მხრები ავიჩეჩე, წამოვდექი და გავიშეორე, — არ ვიცი.

სამზარეულოდან გამოვედი, სალომე გამომყვა. საძინებელში შევედი.

— მიტრიალდი, — მითხრა, უფრო სწორად, მიბრძანა სალომემ.

— რატომ? — ვკითხე.

— უნდა ჩავიცვა, სახლში მივიღივარ.

მივტრიალდი და სკოლაში კუთხეში დაყენებული ბავშვივით ვიგრძენი თავი, იმ განსხვავებით, რომ ლაპარაკის უფლება

მქონდა.

— შეგიძლია დღეს დარჩე, მე სხვა ოთახში დავიძინებ, — შევეთავაზე სალომეს.

— დიდი მადლობა, არ არის საჭირო.

ტუმბოდან ნივთების აღების ხმა მესმოდა, თავი მივატრიალე, სალომე უკვე ჩაცმული იყო, სარკესთან იდგა და საყურეებს იკეთებდა. რა თქმა უნდა, ამას გაუაზრებლად აკეთებდა.

— იმედია თავს არ მოიკლავ, — ვუთხარი.

სალომემ გამომხედა:

— შენ შენი თავი ვინ გგონია, ხვალ აღარც მემახსოვრები, შე იდიოტო.

ხვალამდე დავინყება ზედმეტი მოუვიდა მაგრამ არაფერი არ მითქვამს, ჩემთვის მთავარი ამბავი უკვე მომხდარი იყო, სალომე მიდიოდა და თავისუფლად ვინყებდი სუნთქვას, თავისუფლება თავიდან რთულია, ცოტა გამიჭირდება. რა თქმა უნდა, ყველაფერი დღესვე არ დამთავრდება და სალომესთან რამდენიმე ახსნა-განმარტებითი შეხვედრა კიდევ მომიწევს, ამ შეხვედრების დროს მთავარია, არ გავტყუდე და არ შევურიგდე.

სალომემ ჩანთა მარჯვენა მხარზე გადაიკიდა და წავიდა. არ გამიცილებია, გავიგე კარის გაჯახუნების ხმა, იმ წამსვე ლოგინზე დავეგდე. კონკრეტულად არაფერზე არ ვფიქრობდი, ქაოსურად ალბათ ერთდროულად ბევრ რამეზე, უფრო განცდებში ვიყავი.

შემდეგ გამახსენდა, რომ უკვე დიდი, ზრდასრული ადამიანი ვიყავი და ასეთ რაღაცებს არ უნდა ემოქმედა ჩემზე, მაგრამ ამან ვერ მოშველა. მობილური ტელეფონი გადამქონდა ხელიდან ხელში, მინდოდა დამერეკა სალომესთვის, მე-კითხა როგორ არის, მაგრამ ამავე დროს ვხვდებოდი, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დამერეკა, ამ დარეკვით ყველაფერს გავაფუჭებდი და შემდეგ პარასკევს სალომე ჩემთან დარჩებოდა. მობილური ტელეფონი იატაკზე დავაგდე, ავიღე, დავხედე, ეკრანი გატეხილი ქონდა, კიდევ დავაგდე საბოლოოდ გასაფუჭებლად, შემდეგ ბარათი ამოვიღე და ბარათი ტუმბოზე დავდე და დავეჩქე, მოკუნტული ვინეკი. ათასი საშინელება წარმოვიდგინე, რაც შეიძლება დამართოდა სალომეს, რეალური და ნაკლებად რეალური, თეორიულად შესაძლებელი და თითქმის გამოიცხადებული, თუმცა იმ ნუთუბში ჩემთვის ყველაფერი მხოლოდ ერთ კატეგორიას რეალურს მიეკუთვნებოდა.

გათენებისას ჩამეძინა, მეძინა ცოტა და გაღვიძებულმა ვიგრძენი ის, რაც წამლის გადაგდების პირველ დღეს, ოღონდაც უფრო მსუბუქ ფორმაში; ვიგრძენი, რომ მივატოვე რაღაც ძალიან ცუდი და აუცილებლად მისატოვებელი, მაგრამ მის გარეშე კიდევ უფრო ცუდად ვგრძნობდი თავს, გაცილებით ცუდად. გამოცდილებით ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი გაივლიდა და ამოვისუნთქავდი, მაგრამ ცოდნა ტკივილს ვერ აყურებს. მთელი დღე ვინეკი; ხან გვერდებზე, ხან გულზე, ხან გულალმა, თუმც ვგრძნობდი, რომ ყველაზე მეტად გაუნძრევლად ნოლა და გათიშვა მჭირდებოდა. რამდენიმეჯერ ტუალეტში გავიღვიძე, მაგრამ ეს ძალიან ავტომატურად გავაკეთე, მეგონა, რომ ვინეკი და, თან დავდიოდი. ჩემი ეს შეგრძნება არც გამკვირვებია და მითუმეტეს არც გასხივოსნებულად ჩამითვლია საკუთარი თავი. ვინეკი, მხოლოდ ვინეკი და სამწუხაროდ ვერ ვითიშებოდი. ყველაზე მეტად უკვე სალომესთან მომავალი ახსნა-განმარტებითი შეხვედრები მადლელებდა. ასე რომ, წინსვლა სახეზე იყო.

იმ დღეებში რატომღაც სულ ჩემ ყოფილ ცოლზე ვფიქრობდი. ჩემი ყოფილი ცოლი რომ გავიცანი, სახლიდან რამდენიმე თვის წინ ვიყავი წამოსული, წამლის კეთება უკვე დაწყებული მქონდა და გადავწყვიტე, რომ სრული ბედნიერებისთვის შეყვარებული (ზუსტად ასე ვფიქრობდი; შეყვარებული და არა სიყვარული) მჭირდებოდა, ერთმანეთი ჩემი ერთერთი მეგობრის დის დაბადების დღეზე გავიცანი, ჩვენი ასაკიდან გამომდინარე ბევრი სულელური კითხვა დავუსვით ერთმანეთს და ბევრჯერ უადგილოდ და გიჟურად გავიცინეთ, შემდეგ დაიწყო სერიოზობები. სახლში ცოლთან ერთად დავბრუნდი.

დღეს ამ ყველაფერს რომ ვიხსენებ, მგონია, ეს ამბები სხვისი წარსულია და მე მათთან არანაირი კავშირი არ მაქვს. უცნაურია, ზოგს იმდენად სიამოვნებს საკუთარი წარსულის გახსენება, ოღონდ რაღაც გაახსენებინე, ოღონდ წარსულში ცხოვრება აცადე, მე ასე არ ვარ, საერთო ჯამში ეს ალბათ კარგია, რადგან ლოგიკურად გამოდის, რომ ჩემს ცხოვრებაში რაღაც ხდება, თუ არ ხდება მინდა, რომ მოხდეს.

სალომეც ჩემი ყოფილი ცოლივით იქნება, არა კიდევ უფრო მეტად უცხო, რადგან მასთან შვილი არ მყავს და რამდენიმე თვის შემდეგ ვეღარც გავიხსენებ, რატომ ვხვდებოდი მას, კიდევ რამდენიმე ხნის შემდეგ საერთოდ ვეღარ გავიხსენებ, რომ ვხვდებოდი, ურთიერთობის ფაქტს ვერ უარვყოფ, მაგრამ დეტალები აღარ მემახსოვრება.

არც მასთან, არც ჩემთან, ერთმანეთს ნეიტრალურ ტერიტორიაზე, კაფეში შევხვდით.

ახსნა-განმარტებების გარეშე არც დაშორება და არც დაკავშირება არ გამოდის, ამ შემთხვევაში საქმე დაშორებას ეხებოდა.

დავხსენებდი, ჩვენი საუბარი სალომეს ფილოსოფიური შეკითხვით დაიწყო:

— ამიხსენი, რას ნიშნავს სიყვარული? — ვერ აგისხნი, — გამეცინა.

— როგორ, მეუბნები, რომ არ გიყვარვარ, ესე იგი, იცი რას ნიშნავს სიყვარული..

— არა, ვიცი რას ნიშნავს უსიყვარულობა, — გავანწყვეტინე სალომეს, — უსიყვარულობის ცოდნა არ ნიშნავს სიყვარულის ცოდნასაც, უბრალოდ ვუშვებ, რომ სიყვარული არსებობს.

— და შენი დაშვების გამო იკიდებ რეალურ ურთიერთობას.

— არა, არ ვიკიდებ, უარს ვამბობ, — დავაზუსტე.

— ზრდილობიანი მეტყველების გაკვეთილი გვაქვს?! — სალომემ ირონიულად გაიღიმა, — მკიდაა ზრდილობა, მაგარი ყელე ხარ. მიდი, მიდი, მითხარ რასაც ფიქრობ.

— გეტყვი. ეხლა რომ აგყვე, არანაირ-

ად არ მანყობს, რაღაცეები რომ გითხრა, გამოვა, რომ ახლობლები ვართ და ჩემთვის ეგრე არ არის. შენ თუ იმისთვის ხარ აქ მოსული, რომ აქედან ერთად წავიდეთ შენთან ან ჩემთან, წინასწარ გეტყვი, რომ ეგ ამბავი არ გამოვა, პირადად მე იმისთვის შეგხვდი, რომ გითხრა და აგისხნა, რომ შენ არაფერ შუაში არ ხარ, კარგი ადამიანი ხარ, ძალიან ნორმალურად ვინეკი შენთან, სხვათაშორის, ბევრთან არ მქონია ეგეთი რამ, ასე რომ, მართლა სერიოზულ კომპლიმენტს გეუბნები, მაგრამ არ მიყვარხარ, უსიყვარულობა მართლაც არ არის, ქმარი, ან ცოლი, ან საყვარელი რომ შეგძულდება, გული გერევა და გინდა ყოველ ხუთ წუთში სახეში გაცხო, არა, ეგ სიძულვილია, უსიყვარულობა სხვა რამეა, აი გარეგნულად რომ ნორმალურად ხარ, მაგრამ შინაგანად სიმშვიდე რომ გაქვს და კარგული. იცი, რას ვგრძნობდი შენთან, რომ ერთად არასდროს არ ვყოფილვართ, სულ ცალცალკე ვარსებობდით. მთელი ამ ხნის განმავლობაში მარტოები ვიყავით. ვიცი, ეხლა შენ იმდენად ჩემთან დაშორება კი არ გენანება, არა, შენ დაწყობილ გეგმებზე გიჭირს უარის თქმა, არა ჩემზე, მხოლოდ გეგმებზე, რადგან შენც არასდროს გყვარებოვარ, — გავჩუმდი, წყალი მოვსვი.

სალომესთან შეხვედრის შემდეგ ოფისში წავედი. დავჯექი. კაბინეტშილა ვიგრძენი, რომ სალომესთან ურთიერთობა უკვე წარსული იყო, რაც რა თქმა უნდა არ გამოიციხავდა იმას, რომ სალომესთან კიდევ მომიწევდა რამდენიმეჯერ შეხვედრა, მაგრამ უკვე როგორც წარსულთან, "შეხვედრა წარსულთან" გამახსენდა ძველი ქართული ფილმის სათაური, თუმცა ფილმის შინაარსი ვერ გავიხსენე. კარგ ხასიათზე ვიყავი და კეთილი საქმის გაკეთება მომიწია, თანაშემწეს გამოვუძახე, ვუთხარი რომეძებნა ჩვენს თანამშრომლებში ყველაზე მრავალშეიღიანი და მისთვის პრემია გამოენერა 200 დოლარის ოდენობით. საერთოდ, ხანმოკლე და ზომიერი ქველმოქმედება მშვენიერი გასართობია. ქველმოქმედებით შესაძლოა გაერთო აქტიურად, ანუ პირადად მიხვიდე და საჩუქრები და გარკვეული თანხის ჩეკი გადასცე დახმარების ობიექტს, ან ობიექტებს, ქველმოქმედებით ასევე შეიძლება გაერთო პასიურად, ანუ დარჩე უხილავად და დახმარების ობიექტის, ან ობიექტების თვალში უსხეულო. ლეგენდარულ არსებად დარჩე. ორივე შემთხვევაში ქველმოქმედება მშვენიერი გასართობია.

შემდეგი ორი დღე აქტიურ ქველმოქმედებას დავუთმე, ვიყავი უპატრონო ბავშვთა სახლში, ავიტანე სათამაშოები და პროდუქტები, ბავშვებს მივეფერე და წამოვივდი. უკანა გზაზე დავფიქრდი, რამდენი კეთილი საქმის გაკეთება შემიძლია და არ ვაკეთებ, სახლში დაბრუნებული უკვე ჩემზე გაცილებით მდიდარ ადამიანებზე ვფიქრობდი, რამდენი კარგი საქმის გაკეთება შეუძლიათ და არ აკეთებენ.

აღვადგინე აუზზე სიარული და ცურვა, ძირითადად ზურგზე ვცურავდი, ნაკლებად ვიღებოდი და პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით თავისუფლად ვსუნთქავდი, უსიყვარულოდ, მაგრამ თავისუფლად, ამ დღეებში სიყვარულზე არც მიფიქრია, არ გამოდის ერთდროულად თავისუფლად სუნთქვა და სიყვარულზე ფიქრი.

ჩემთვის მოულოდნელად ორივე მალე დამთავრდა. სალომესთან დაშორებაც და ამ დაშორებით გაჩენილი თავისუფლებაც.

დავინყე ყოველდღიური ცხოვრება. ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი (მონების საყვარელი დღე), შაბათი და კვირა დღეები არ არის, შაბათი და კვირა (საღამომდე) დროა, საერთოდ არ მეცოდებიან მონები, ეამაყებათ ასე რომ ცხოვრობენ, გონიათ, რომ ესაა ცხოვრობა, ან ერთმანეთთან აჯერებენ რომ ასე, არ უნდათ გამოფრვა, რომ სინამდვილეში შეუმდგარი ადამიანები არიან და მოსაწყენი ცხოვრებით ცხოვრობენ, რეალურად ვერც იაზრებენ სად არიან და რა ჭირთ და მე აქ მინდა სიყვარულის პოვნა, აქ, ჩემი შეხედულებით ამათზე.

სხვაგან სად ვეძებო?





დასაწყისი № 9-25

პარონი, ხო ხედავ, როგორი დრო იყო. მობილური რო არ არი, ხო ხედავ, რა სხვანაირია. რას გიხსნი მეც, რო არ გახსოვს, როგორი პონტი იყო? ერთხელ წამოველი ძეგვიდან და მატარებლით წამოველი და აფეთქდა. მატარებელი აფეთქდა, ცეცხლები გაუშვა და როგორ პონტი მოდიოდა, იცი? აი, ფეხბურთში რო შენელებები, რო გამეორებები, აი, ეგრე რო თამაშობდენ სინამდვილეში. რავალია. ძეგვიდან მოდიოდა, კაროჩე, რას მოდიოდა. რო მოვედით ბორჯომში ვაგზალზე, მეთქი, სალოლ, რომელი საათია, ისე შემოვიდა, რო კიდე ცეცხლებს უშვებდა გვერდებიდან. იმიტო, რო ეგეთი დრო იყო, მანქანები რო არ იყო და წამოველი, მობილური რო მქონდა, ვაფშე არ წამოვიდოდი, პროსტო, გადავრეკავდი, რო დილაზე ცოტა შემაგვიანდება, ერთ საქმეზე დაპირებული ვიყავი, კაროჩე, და ვსიო. და საქეიფოთ ვიყავით იმ ძეგვი და თავიდანვე უთხარი, მეთქი, მე უნდა გამიმავათ, დილაზე საქმე მაქ და, კაროჩე, იქ ძეგველები ვინც იყო იმათ თქვეს, რვა საათიანზე ჩამოვივლიო და ჩავსვამო, პროსტო, რვა საათიანზე ცხრამდე არ ჩამოვივლიო და, მამენტ, ათამდეცო, პასტაიანს აგვიანებსო და იასნია, რო აგვიანებდა, შევარდნაძე აგვიანებდა სამსახურში და მატარებელი არ დაავიანებდა? კაროჩე, ის დროებია რა, შუქები რო არ არი. ხოდა, კაროჩე, მობილური რო მქონდა, ხო დავრჩებოდი და დილაზე გამოვყვებოდი ყველა ერთათ რამეს. პროსტო, შეპირებული ვიყავი, ერთმა მთხოვა, გამყვებო და უნდა გავყოლოდი, ახლობელს კორშის ცხვირ ქონდა და მიმყვებოდა, კაროჩე, მაგრა ნიუდონათ ვიყავი იქ, იმიტო, რო რა გამოვიდა, რო მატარებელს ელოდები და, მამენტ, არ მოდის და დგახარ და ეს ხალხი, ეს ძეგველები რა, ვისთანაც ვიყავით საქეიფოთ, ხო იასნია, რო დაგტოვებენ. ძეგვის სტანციაზე ხო არ დაგტოვებენ მარტო, რო დავაი ელოდეთ თან ძეგველები არიან, ხო აზზე ხარ. ძეგვი, აზზე ხარ? თუ რამეა და ეგრევე სროკზე წავლენ. პროსტო, ჩხუბისთვის, თორე რამე გაგებას კი არ აწვებიან. პროსტო, ძეგველები არიან. არი ხო იცი ეგეთი ადგილები, რო ზადნისტები არ არიან და ჩვენი ახლობლის დეიდაშვილები იყვენენ რა, ძეგველები, და ერთი კაი ამინდებიაო და ავიდეთ ძეგვიო და სამი-ოთხმა კაცმა წაველით და ხო იცი, რა პონტი არი, ჩვენთანაც ყოფილა ეგრე ჩვენ ეზოებიან სახლებში, რო ვისაც ყურძენი აქს ცოტა მეტი, ან არყის ქვაბს დადგამს, ან რავი, როცა რთველია, ფერს გამოიტანს ეზოში, ან მაყალს და წავიდა მწვადები და კაი პონტი არის. პროსტო, ეგ უკვე გაზაფხულზე იყო და რთველი და რამე კი არა, პროსტო. თან ეხლა ძველი დრო რო იყო, ვინაო ტო პროსტო მართლა უჭირდა ხალხს სოფელში და ვაფშე ყველგანაც უჭირდა და სამწვადე ავიდეთ და წავედით, ტაქსიმ წაგვიყვანა.

ხოდა, კაროჩე როგორია, რო მე უნდა წამოვიდე და ძეგვის სადგურში მატარებელს ველოდი. პროსტო, თავიდანვე უთხარი, მეთქი, ეგეთი პონტია. კაროჩე, იციან, სუ ეგეთი პონტები მაქ, ხოდა რო წამოვედით, რო მატარებელს ველოდებოდი, ყველა წამოვიდა. კაროჩე, სანამ არ ჩაჯდებო, დავაი ჩვენც აქ ვიქნებოთ, და ერთი მასტი იყო, ვზროსლი, გარმონით და მღეროდა და ისაც წამოვიდა და, კაროჩე, რახანც კაი ამინდი იყო, ამ ძეგვის პერონზედაც წავიდა სმა, იმიტო, რო წამოიღეს და მართლა ერთი საათი ველოდეთ, მაგარი სიბნელე იყო და ლამაზა ქონდა სტანციის კაცის და მეთქი, ვუუუუუოოო, სემამოროთ მოვეინათ. მაგრათ იჭერს გარმონი ბნელში და ეგრე გარმონ-გარმონ შემაცილეს მატარებელში. კაი ათი საათი იქნებოდა, პროსტო, შორს ვერ შემაცილეს, ტამბურს იქით კი ვერ შეხვიდოდი, სუ ხალხი იდგა და მატარებელიც რო ჩამოვდა, კაიხანს იდგა და კიდე ორი ჭიქაც მოვასწარი. პროსტო, გზაში მაგრა დავიგრუზე. რამდენი ხანი მოდიოდა თბილისში და კიდე ვაგზალიდან სანამ კიდე სახში მიველი.

ეგრეთი დრო იყო, უმობილურობა იყო. და პრიდაჩუ კიდე უშუქობა და უბენზინობა და რავი, რო აღარ იყო, კაროჩე, და

აკა მორჩილადე  
**ლეგენდარული ქაშერას პირადი და საზომადობრივი ცხოვრება**



მაგიტო ვყვები, რო ეგ კიდე უფრო მერე იყო და მე ვამბოვ, ჯარიდან რო ჩამოვედი, იქამდე აიღე ერთი ხუთი წელი. მაშინ არ იყო ეგ ნათიას ამბავი,

ხოდა, ბიძაჩემი დგას ჩვენ ბალკონში, ეგრე მელიასავით ჩაფიქრებული და, აბა, ფიქრობს, რა ვქნაო, არ უნდა უმამაჩემოთ. ვაფშე, ეგრე ცხოვრება რა სტრანნი რამეა, რო რალაცა პონტი როა და რო იცი, რო ვილაცა უნდა მოგეხმაროს და იმაზე ბრაზდები, რატო დროზე ვერ ვიპოვეო, ან ვაფშე თითონ იმაზეც რო ბრაზდები, რო სად არი, მე ეგრე მჭირდებო და შენით რო მიანვე? რატო, ვესი არა გაქ? იასნია, მეორენაირათ რო შეხედო, ქართველები ვართ, ხო, ძმა თუ არ წამოგყვა და ძმაკაცი, აბა, ვინ ხარ ვაფშე. მარა, ეგრეც ხო ტეხავს, რო იმათ იმედზე მიდიოდე და იმათი ტრაკით. აი, რო არი ხოლმე, რო სანამ ძმაკაცი მინისტრია და ფულს რო შოულოვ და რო აღარ არი და რო ველარ შოულოვ. მარა ეგ ნიჩივო, ეგ გასაგებია. პროსტო, ჟიზნენი ამბავში ჩამოკიდებზე ვამბოვ. მე ვაფშე არ მახსოვს, რო ისეთ პონტში, იმედი მქონდა ვინმესი, რო ჩემ თავზე მეტათ. მაზავიციც მაგიტო გამოვედი ალბათ, თორე მაზავიკობაში ვის იმედზე იქნები? შენი ჭკუის იმედზე უნდა იყო. ხო ეგრეა. და იმდენი კი უნდა გქონდეს ცხოვრებაში რალაცა, რო სადღაცას რო მიდხარ საქმეზე, შენ მაგივრათ სხვა არ მიიყვანო სალაპარაკოთ.

კაროჩე, დგას და დგას, ფიქრობს, სად იპოვნოს.

კაროჩე, წავედითო, ამ თავისიანებს უთხრა და წავედით, მეთქი სად მიდიხართ. ხო უნდა ვიცოდე, ოჯახში ადის თუ როგორსაც არი. მეთქი, მე წავალ, მოვძებნი, იფექი შენ აქა. ეგ უცბათ მოვიფიქრე. მეთქი, ეგ რო იპოვის, პირდაპირ წაიყვანს და რავი მე, მერე რა იქნება და ასე, ცოტა სხვანაირათ იქნება. არაო.

მეთქი, დაჯე, დაჯე, დედაჩემს ვეუნები, მიხედე ამათ, მე წავალ, მეთქი, ბიჭებს მანქანას გამოვართმევ. ვიფიქრე, ამან გამომაყოლოს თავისი ძმაკაცითყო, მერე ვიფიქრე, ჩავალ, ბირჟაზე, ვინმე მანქანით იქნება ჩვენები და ვატარეფ, არა და ფული მაქ და ტაქსით წავალ. ფული მქონდა მაშინ ოხრათ, ფუტბოლებიდან.

მეთქი, ჩემ დას ვეუნები, ტუფლები მომიტანე და წავედი.

მომიტანა ტუფლები და ეს ბიძაჩემი იძახის, არა, არაო. მეთქი, რა არა არა, შენ მოუნდები თელი ღამე და მე უცბათ ვიპოვი. მართლა გაგებაში არ ვიყავი, სად იყო, მარა მე მეტი ხოლმე ვიცოდი, სევანეთის ქუჩის ბოლოზე მამაჩემის ძმაკაცი ცხოვრობდა. ვენახა. ვენახას ეძახოდენ. რატო ეძახოდენ, არ ვიცი, რაც მე იმ ზამთარს მაგის კუბო ვატარე ბეჭით, თოვლებში, სუ მოყინული ვინრო ისინი იყო. მაგრათ მიყვარდა. ვენახა იყო მოხევე. პროსტო, ვენახი ქონდა ეზოში, მთელი ეზო ვენახი ქონდა. და მაგიტო ალბათ ეძახოდენ ვენახას. ვერაფერი მოიფიქრეს. სუ ბოლოში ცხოვრობდა, ეხლა მაგის შვილები ცხოვრობენ. ხოდა, მეთქი, სანამ აქედან და ვენახასთან ჩავლა. და ჩაველი და სახში იყო და მეთქი, სიმონა ძია, მამაჩემი არ იცი, სად არი?

მამაჩემს მაგრა ევასებოდა ვენახა და პასტაიანი იმასთან ჩავიდოდა ხოლმე, თუ სახში იყო და მეუბნება ვენახა, რო მამაშენ-

მაო, ნაშუადღევს შემოიარაო და მეუნებოდა, ჩაიცი, პური ვჭამოთო, ორი მანქანა ხალხი იყო და, აბა, მე არ გავყვები, ვერა ვარ ჯანზეო. მეთქი, სად არიან, ხო არ იცი. და მაგარი კაცი იყო ეს ვენახა. ბიჭო, მამაშენი რო მეტყვის, პური ვჭამოთო, ზნაჩიტ, დალევა უნდაო. რო პროსტო საქმელი იყოსო, მეტყვოდაო, წამო, მწვადი ვჭამოთო, მაგას გალუბოის მწვადი უყვარსო, რო მითხრას, ხინკალი ვჭამოთო, მაშინ შინდისში იქნებაო და პროსტო პური ვჭამოთო რო იტყვისო, ზნაჩიტ ხო ხვდები, საცას იქნებაო. საქეიფოთ არიანო. ხინკალს კიდე, მე მაგას მანც არ ვენდობიო, მოხევე კაცი ვარო, თუ ხინკალი უნდა, მაიტა, აქ მოვახვიოთ და ჩავყაროთო. რაჭველებმაც ისწავლეს კაი ხინკლის მოხვევაო, მარაო, სად სახლისაო და სად მოხვევისაო და სად ეგაო. ეგეთებს მანვა. მე მაგისი დრო კი აღარ მქონდა და ბევრი აღარც მიფიქრია, დავჯექი ტაქსზე და ბირჟაზე არც ჩამივლია და პირდაპირ გავანექი.

მიველი, შეველი, ხალხი არი, საესეა. ბევრი ხალხი არი. ხოდა, ესენი შიგნით კუპებში ზიან, ან უკან. უკანა სხამდა ხოლმე. ხოდა, ეგეც მიტყდება ეხლა, რო კუპები სათითაოდ რო გავალო, და პირდაპირ უკანისკენ წაველი და ეს მედუქნე მეძახის, სათი გენაცვალეო და მეთქი, კაცს ვეძებ, რა. და სწორეთ იცი, სადაც ეძებო? კაროჩე, მოყურებულში ყავს ესენი. ვინა ხარო. მეთქი, შვილი ვარ და მამაჩემის სახელი უთხარი. მეთქი, დაუძახე, რა. არ შეხვალ? მეთქი, არა. ეგრე მირჩენია, კიდე იქ უნდა მადლეგელონ და დრო მიდის, ჩემთვის ვფიქროვ.

შევიდა, გამოვიდა, გამოვა ეხლაო, ჭიქა უჭირავსო.

ეხლა მე მიყურე. მამაჩემთან ხო სტროგიში ვარ ისედაც და ეხლა ვაფშე. მამაჩემი უკვე რო დალუულია აქ, ვაფშე ჩემთვის ეგ არი ვერხი, რო ნევროზები და ამბავი. ეხლა მაგას აუხსნი ნათიას, რო მაგისი გულისთვის რას გჩალიჩოვ? ხოდა, გამოვედი დუქანს გარეთ და ამოვიღე სიგარეტი და ვენევი და გადავაგდე ეგრევე, მეთქი გამოვა კიდე გამიტრაკებს. ეგ სწორათ ვქენი, მართლა არ ევასება, რო ვენევი.

რატო არ ევასებათ ხოლმე, ვერ ვიგეფთითონ ხო ენევიან. მეც არ დამევასება, მიხეილა რო დავინახო სიგარეტით, რო გაიზდება.

ხოდა, გამოვიდა და, რა არიო, ბებიაშენი მოკვდაო? დალუული აქ კაროჩე. და ბებიაშენი მოკვდაო? ის არ უკვირს, მე რო მოვავენი, იცის, რა მამაჩემის შვილი ვარ, ხოლები ვიცი და ეგ ევასება შიგნით, გულში, მარა პახოდუ ეპასანება.

არა, მეთქი, ბიძაჩემი მოვიდა. ვინ ბიძაშენიო. მეთქი, შენი ძმა, რომელი ჩემი ძმაო და მეთქი, ამირანა და უყურეფ, არ ევასა.

რა იყო, რა მოხდაო. მეთქი, ნათია გაიპარა. როგორც კედლისთვის გითქვია. აბა, ჩემი და გაპარულიყო.

მარა ვიდერშეკა იმაზეც ექნებოდა. მამაჩემს ქონდა ეგეთი რამეები. მერეო.

მერე გეძებსთქო, იმათ ოჯახში უნდა ასვლა და უშენოთ არ უნდათქო, უნდა უთხრას, რო არ უნდაო და წამოყვანა უნ-

დაო, პროსტო არ იცის, სად არითქო. მერე მე რა უნდა ვქნაო. იმათ ოჯახში უნდა, რო აყვეთქო. ეხლაო?

ხო. ჩვენთან არი მეთქი, ხალხი ახლავს, ბალკონში ზის. მოდიოდა საქებრად და მე წამოვედითქო.

ამოილო სიგარეტი და შემო, ერთი, შემოო.

გამიკვირდა. მხარზე მომადო ხელი, წამო და შეველით.

შეველი. ერთი ათი კაცი ზის. ორი რუსია.

ეს რუსები ერთი პახანია ნაღდათ, თითებზე ნაკოლკები აქ. მეორეც ცოტა ახალგაზდა. ისინი არაყს სვამენ, ესენი ღვინოს და რო დამინახეს მამაჩემის ძმაკაცებმა, ვაო, ბიჭი მოსულაო, ამას ქემერას ეძახიან უბანშიო, ყველა იცნობსო და ხო იცი, როგორც არი. დამსვეს და მადლეგელებენ, მამაჩემიც დამიჯდა გვერძე.

რო მადლეგელებს და მადლობა ვთქვი და ცოტა რო თავის საქმეს მიხედეს, მამაჩემი მეუბნება, ესო არიო მიმა პრიმორსკიო, ამ ვზროსლი რუსზე მეუბნება. ეგ რო ბურში ყავდათ ხოლმეო, სიტყვას ჩემთან აბარებდაო და ეხლა ჩამოსულიაო და ეხლა ეს კაცი მივატოვო და ნათიას იქამდე მიუსწრო, სანამ გახეთქავენ, ვერც გამოვა და არც მოესწრობო.

ეგეთი ლაპარაკი იცოდა კაცურში, ჩათლახური, თან მთვრალი და თან ამ რუსს ეუბნება, მოი სინ პრიმორსკო, ძელცე მალენკოეც დომეო. მაგარი რუსული იცოდა მამაჩემმა, ტელევიზორის რუსულს ვაფშე არ გავდა, სულ ვერ გაიგებდი, რას ლაპარაკობდა. ბლატნოი რა. ფენია ქვია. ნასწავლი ქონდა, თორე მანამდე რა რუსული უნდა ცოდნოდა. და ეს რუსი იცინის, აძინ სპრავიშიაო ილი პოდმოგუ კინუნო. და იცინია.

მამაჩემმა, ისე გამოვიდა, რო მოუბოდიშასავით, რო ამასთან შეილება სალაპარაკო მქონდეს და ყურადღება ვერ მოგაქციო. აზზე ვარ მაგათი ბაზარის. ხოდა, რავი მეთქი, შენ იცო.

ეგრე როგორ თქვა ნათიაზე. მე ხო გულში ვიცი, რო რაც მეტი ხანი მამაჩემი გააჯანჯლებს, მით მე მანყობს. კაროჩე, ვინ არიო.

ვინ მეთქი.

ვინ და ბიჭი.

მე მხრებს ვირჩევა.

და შემომხედა ეგრე, როგორც მგელი ტელევიზორში. აბა, წამდვილი მგელი მე სად მინახია. ბიძაჩემი ხო მელიასავით იდგა ბალკონში. მელია მინახია. სოფელში.

ხოდა, ის მელიასავით იდგა, ეს იყურებოდა მგელივით. და მე კიდე რო გითხრა, მაგათ შორის განსხვავებაც ეგ იყო, რო მამაჩემი ეგეთი იყო და ის ისეთი, მარა ის პახოდუ მყრალი იყო. ორივე მყრალი იყვენენ ბაზარში. ოლონდ ამას სტოკია ქონდა და იმას კიდე — არა.

ხოდა, ეგრე რო შემომხედა, მამაჩემი ბიძაჩემი კი არ არი. კაროჩე, თუ ატყუეფ, იცის. ან ვაფშე არ ეუბნები, ან არ ატყუეფ. იმას თავიდანვე პასტანოვკა ეგეთი ქონდა თავის ტვინში, რო მე მაგრა აზზე ვარ ნათიას ამბების და მაგის საქმროსაც ვიცნოვ.

მეთქი, არი რა, წესიერი ბიჭია. მაგრა პატივს ცემს ნათიას და ნათიასაც მაგრა უყვარს.

გამომხედა ერთი და ქალების დედა მოვტყანო.

რა უნდა უთხრა.

ეს პატარა გოგოები როგორ იძახიან, რო მიყვარსო, მაგათი დედა მოვტყანო. სუფრაზეც კი გაიგონეს.

ვიცინი სულელივით.

ერთი მინდა უთხრა, შენ რა იცი, სიყვარული რა არი. პროსტო ხალხია. თან პახოდუ, მეც ხო არ ვიცი. მე ხო, რა სტრანნია, არავინ არ შემეყვარებია და მეც არ ვიცი, პროსტო, მე მომწონს, რო უყვართ.





მაგრამ მეფასება და მაშინაც მეფასებოდა, ამით კიდევ რაღაცა აქვს თავში, მე ვერ ვიგეფ, რაღაცა ბოროტობები. მე ხო ვიცი, მაგათ გონივით, რო გოგოს თუ უყვარს, ზნაჩიტ პროსტო ველარ წყნარდება და კაცი უნდა. მაგას ეგეთი შეხედულება ქონდა, რო თუ გამოავლენს გოგო სიყვარულს, ზნაჩიტ მაგარი უზღედლობაა. დალოცვილო, ბაითები გაგკონდა და რავი და შერბოდი და დარბოდი და მაგაზე უარესია გოგოს რო ვინმე შეუყვარდეს? და კიდევ რავი, მე რავი, რას შევბოდი პა ჟიზნი, ერთხელ ახლობელის მამა მომიყვა. კაროჩე, რა მნიშვნელობა აქ, რა მომიყვა. კაშმარს მომიყვა და ეგეთი ტიპები აწვებიან, რო წესიერთა და რამე.

მარა მე ჩემი ამბავი მქონდა, რაც უნდა, ის ელაპარაკა. მეთქი, რა უთხრა. ანუ, ისეთი მიჭირავს, რო არ მოდიხარ. რავი, რა უნდა უთხრაო, დამელოდოსო. ხო ხედავ. სტუმრები გვყავსო. მეთქი, ეგ კი დაგელოდება ალბათ, მარა საქმე არ მოიცდის. და ერთი კიდევ გამომხედა იმ მგელივით, ტელევიზორიდან რო იყურება ხოლმე.

ბიჭო, შენ წადი და უთხარიო, რო დამელოდოსო, ეხლა პროსტო ვერ ავდგებიო. ან ვაფშე, უთხარი, აქ გამოვიდესო და დავილაპარაკებო და რავიო. რა უნდა კაროჩეო, რო ოჯახში ავყევო? მეთქი ხო. და მერე რო იმ ოჯახში მაგან იაროს, თავის შვილიშვილებს ეფეროს და მე კიდევ ვძულდემო? ვინ არიან ისინი ჩემთვის, რატო უნდა ავიდეს და ვიბაზრო იქ, რაც მაგას უნდაო. ხო იასნია, რო სირობა უნდაო. სირობას არ ამბობდა, მაგ სიტყვას, უფრო პალალათ ამბობდა.

რა უნდაო, კაროჩეო. მეთქი, რავი რა უნდა, დაბრუნება უნდა.

ყველას უნდა დაბრუნებო, მე ეგრე ვიციო, მარა რატო უნდათ, ვერ გაიგეფო. ვინ არიო, ინგლისის დედოფალია ნათიაო და საფრანგეთის მეფეს უნდა გააყოლოსო? რა უნდა, თუ წესიერი ბიჭიაო. მეთქი, მე რავი, რა უნდა, ხო იცი, როგორიც არი. ხოდა, არი და იყოსო, უთხარი, აქეთ ამოვიდნენო. ხარაშო, ვეტყვი მეთქი. მიკითხოსო და გამოვალო.

ხარაშო მეთქი და ის იყო წამოდგომას ვაპირეფ, მაიცა, იჯექიო. ვზივარ.

სადღეგძელო ითქვა. მე კიდევ მაგრა მანყოფს. რაც მეტს ვიჯდები, ისინი მით მეტს დამელოდებიან. ეგრე არ ჯობია?

ნათიას რო კითხო ეხლა, აბა, თუ გაიხსენებს მაგეებს.

ვზივარ, ესენი სადღეგძელოს ამბობენ. მეთქი კაია, ვიჯდები კიდევ მეტს და ეს მეუნება, კაროჩეო, მოიხედა და სად არიან, მითხარიო.

მამაჩემია რა, ხო ხვდები, იმ პონტში კი არა, რო მამაშენს უნდა გამოუტყდეს, იმ პონტში, რო ეგეთი როჟაა რა, იმდენი კი არ ხვდება, რა და როგორ, პროსტო, იცის. პასტანოვკები იცის და რაღაცაში დამიჭირა და მიხვდა, რო ვიცი და ეგეთი ტიპი კიდევ რაღაცაში რო დაგიჭერს, მოგანწევა ბოლომდე. ტყუილს ეტყვი, მერე იმაზე მოგანწევა და განწევა და განწევა და აღარ თავდება, კაროჩე.

მე რო მივედი ის იქვეა. მიდი ეხლა და ამას უხსენი, ან ვაფშე გაქ ხალისი, რო მაგას ებაზრო? ხო არა გაქ, იასნია, მარა რაღაცას შეჯიბრებასავით პონტია და უკვე ვაფშე სხვაგანა ხარ. პროსტო, მეც მაგის შვილი ვარ და მეც მერე ეგ შეჯიბრება მიჩნდება, ისედაც მიჩნდება, მარა მაგას რო ვებაზრებოდი ადრე ხო, ვაფშემც.

ხოდა, მაგ დროს ყველაზე ვერნი პასუხი რა არი, რო გაცე? რო არც მოატყუო და რო არც უთხრა? კი მოვატყუეფ, მარა მერე სხვანაირათ მოტრიალდება. ეგრე ქონდა საქმე დაყენებული.

ხოდა, მეთქი, უპასუხე: რა არი, რო?

ცოტა ძერსკული პასუხია, უმცროსისგან უფროსზე, მარა კაროჩე, აუ, და რავი და მაგეებს ჯობია.

და არ ევასა, ეს რა არი რო. უყურებს, ეხლა ხო არ მომანწევა, რო ჩაუხვი.

არც არაფერიო. შენ იციო. და ვზივართ.

მეთქი, წავიდე, არ წავიდე. ეხლა კიდევ ხო არ ვკითხავ, წავიდეო?

კაროჩე, როგორი ბიჭიაო. მეთქი, პატიოსანი, ხო გითხარი და წესიერი ბიჭია და უყვარს და ამასაც უყვარს. ნაყვა რა, ვეუნები. გაიპარენ ბიძაჩემის გამო.

აქ გამოვიდესო, მითხრა. ავდექი, იმათ ბოდიში უთხარი და გამოვედი, ტაქსი არ მიჩქარია, ამოვედი ფეხით და მერე ჭიჭიკო დავიჭირე. მაშინ ჭიჭიკობა იყო.

წამოვედი სახში. მოვედი. ესენი ისევ ზიან ბალკონში.

რა ხდება მეთქი ახალი.

და რავი, რა უნდა ხდებოდესო. გოგოები სახში ნათიას წერილი მიიტანეს, ჩემი ნებით გავეყვიო. ეგ ეტყობა წინდანი ქონდა დაწერილი და გოგოებისთვის მიცემული. გოგოები კიდევ იძახიან, არ ვიციო, სად არიო. ეს წერილი ვილაცამ მოიტანა ბიჭმაო ერთის სახშიო, არ ვიცი-ნობთ იმ ბიჭსო.

კაროჩე, ჩვეულებრივი გაპარვის ბაზარია.

რა ქენი შენო, ბიძაჩემმა, მივალ, გადავწვავ იმათო.

მე უთხარი, მამაჩემი თუ მიგყავს და ვერ გადაწვავ და მიდი, გადი, გელოდება იქათქო, უთხარი.

პროსტო სუფრაა და სტუმრები ყავს, ჩამოსულები და ვერ გამოდისო.

გაქვია თავი, არ მოეწონა, იქ მიდი. ეგონა, მამაჩემი წამომყვებოდა და ეგეთი რამეები. მიკვირს ხოლმე. ძმა არ იყო მაგისი? ვერ მიხვდა, რო არ წამომყვებოდა? ადამიანებს აქთ ხოლმე ეგრე, რო რაღაცას ელოდებიან, რაც ვარიანტი არ არი, რო მოხდეს. მეც მქონია ხოლმე ეგრე, მერე გადავჩვიე. კაროჩეო, წავალთო.

დაჯდენ და წავიდე.

დედაჩემის ამბავი კიდევ ხო იცი, ვაიმე, რა მოხდებაო, რამე არ მოხდესო, არ მოკლას ვინმეო. ვინ უნდა მოკლას მეთქი, დედი, ამან? ამას არ იცნობ, ეს მაგარია კუხნიდან ლოჯამდე, იქა ყავს ტერორში ხალხი. ჩემ დას გაეხარდა, ფხუქუნობს და ფხუქუნობ.

შენ რაღა გაცივებს მეთქი. თან ჩემსას ვფიქრობ, მეთქი, აბა, რა მოხდება.

დედაჩემმა კიდევ, არა კაცო, ამან კი არა, მამაშენმაო.

ამაზე სულ გამეცინა. იმან ვინდა უნდა მოკლას მეთქი, ნათიას გულისთვის კაცს მოკლავს და ვიშკაზე წავა? ამდენი წელი ერთათ ხართ, ველარ ისწავლე ეგ კაცი? ჩემ დას კიდევ ვეუნები, მიდი მაგის დაქალებს



დაურეკე თუ იცი ვინმეს ნომერი და დამალაპარაკე მე.

ხო ვიცოდეთ, რო არაფერს არ იტყვიან დაქალები. ეგეთი პონტში არასდროს არაფერს არ ამბობენ ხოლმე, თუ ვზროს-ლი არ დაანვა. მარა მაინც მეთქი, გაკონტროლდეს. რა იცი. არც მახსოვდა მაგისი დაქალების სახელები და დამიწყო ჩემ დამ მოყოლა და ახსნა, რომელი რომელია. ეს არი ვლაპარაკობ და ამ დროს გავიხედე, დედაჩემი გადის ეზოში და მეთქი, ვინ მოვიდა და მოვიდა ვილაც კაცები, ერთი ჩვენი უზნელი და ჩავედი მეც. ვიცანი, ბიძა კაცი იყო, მაღლით ცხოვრობდენ, მაგის გოგოსაც ვიცნობდი და კაროჩე ვიცნობდი რა. და ის ორიც ახლავს და ესენიო ჩემი მეგობარი ხალხიაო, და კაროჩე, მამაჩემის ნახვა უნდაო.

არ არიო, დედაჩემმა. აბა, წავიდნენ და ვინ იცის როდის მოვლენო, მაგისი ძმაც ექებდა, ამოსული იყოო. სწორეს ეუნება. ეხლა მთელ ამბავს ხო არ მოუყვება და ხოდა ესენი ჩაფიქრდე.

ძან გვინდოდა იმის ნახვაო. მეთქი, რაღაცას მივხვდი და ჩვენ ხო ვერ დაგეხმარებით და იმ ორიდან ერთმა მკითხა, შენ შვილი ხარ, შვილოო? ისეთი კაცი იყო, თბილი კაცები რო არიან. და მეთქი, დიახ. და მეო ნუგზარის მამა ვარო. ნუგზარა ის არი რა, ნათიას ბიჭი. ის

იყო ნუგზარა, მე რო ველაპარაკე და მეთქი, გამარჯობათ და დედაჩემს ვუყურეფ, ეხლა მეთქი, რა ვთქვა, აი, იმ პონტში, რო მეთქი, დედაჩემია, და რაც საჭიროა ის უნდა ვთქვა და მეთქი, ვიცნოფ, ძალიან სასიამოვნოა. კაი ახლობლები ვართ. და დედაჩემმა ისე შეშინებულმა გადმოხედა.

ხოდაო, ნუგზარმა ცოლი შეირთოო, დაგვირეკესო და, შვილო, არ არი კარგი მდგომარეობათქვენი ნათესაობის მხრიდანო და მამაშენი უნდა ვნახოთ აუცილებლადო. მაგრამ დალაგებულათ და წესიერთათ ლაპარაკობდა, არც წერვილობა, არც არაფერი. მეთქი, მამაჩემი და დედაჩემის ამბავი ხო იცი, რა ჯიგარია დედაჩემი და როგორ უცბათ აიღო თავის თავზე და მობძანდითო, რაო და ისინი უარობენ. არა, არაო. მობძანდითო.

იმან რა მოიფიქრა, მე არ ვიცი, მაგრამ კი გამოუვიდა. არც არაფერი მოიფიქრა, პროსტო, რაღაცა იფიქრა იმ წუთში და ეგება მთლად ჭკვიანურიც არ იყო, მარა ჯიგარული იყო და იმათ არაო და სად ნახავთ ეხლა იმას, ა, ბიჭი წავა და მოქებნისო, ამან იცის იმის ასავალ-დასავალეზიო და შემოიპატიჟა და იმათაც მიაყენეს მანქანა და შემოვიდენ.

კაი კაცი იყო ის ნუგზარას მამა. მერეც გამორდა და ვაფშე მეფასებოდა იმასთან თუ მოვხვდებოდი პურისჭამა. სოფელში ქონდა მაგრათ გაკეთებული. კახელი იყო ისიც. იმას ეგ არ გაუჭირდებოდა. იოლეზი არიან კახელები, ჩვენი კიდევ, აბა, ჰა, სულ ჯავრი და ბოლბი.

ამოვიდენ და ეხლა კი არ ვიცი, რა ვქნა. ისევ მამაჩემთან წავიდე, თუ ისინი წასულელები არიან უკვე ამათთან და ეს კაცი კიდევ ჩვენთან არი წამოსული, ნაცნობობა გამოუძებნია და მაგრამ ისე ილაპარაკა. შვილოო, მე კი არ ვიცნობო ჩემ სარძლოსო, თვალთაც არ დამინახიაო, მარა ჩემ ბიჭს ვიცნოფო და იმისი იმედი მაქო. ეხლა არც ის მინდა, რო გამოვივიდე, რომ ვინომ სახვენარი გამიხედესო და არც ის მინდა, რო ჩემ ბიჭს გული ეტკინოსო და იმაზე მეტის წარმოდგენაც არ მინდაო, იმიტო, რო იმას იქით, ხო იცი, ყველა ჩვენიანს დავიცავთო, შვილია, შვილოო. დედაჩემი უსმენდა, ლამის ცრმელები მოადგა. უცბათ გადავიდა იმათ მხარეზე. მოვეკვდიო მე და ჩემი და სიცილით, აქეთ გამოვედი და ვიცინობო.

დედაჩემი მეუნება, წადი, მოქებნე მამაშენიო. ეგ კიდევ უკვე აღარ ვიცი, როგორ ვქნა.

მეთქი, წამოსულეები რო იყვნენ ან რავი, კიდევ შედი იქა ეხლა.

და ამ კაცს ვეუნები, მეთქი, ბიძაჩემი იყო მოსული და ისაც მამაჩემს ექებდათქო. და ვინ იცის, ეგებ თქვენთანაც წამოვიდნეთქო.

მე მაინც წავალ, თუ გინდათქო. ეს ლაპარაკებია და კიდევ მანქანის ხმა გავიგონეთ, როგორც დაბარებულივით. გაეგება დედაჩემი და მამაჩემი მოსულიყო, ბალკონიდან ვხედავ, ტაქსის აცდევინებს. არც ბიძაჩემი, არც ვინმე. შემოვიდა ჭიშკარში კაი გაბრაზებული, უკვე გორლაზეა, რა. დედაჩემს რაღაცა უთხრა და გამოაგძელა გზა, ამოდის კიბეებზე.

ესენი წამოიშალენ, ვეუნები, აჰა, მოვიდათქო.

ამოვიდა ბალკონში და მეთქი, მამი, სიძის მხარეა და ამ ჩვენ უზნელ ბიძას ჩამოართვა ხელი და იმან ეგრევე დაუწყო ლაპარაკი და აცნობს: ესაც ჩემი ახლო ხალხიაო, ამ მამაზე და მეორეზე ეუნება. და არ გვიანდა შარი და არაფერიო და უყვართ ერთმანეთიო.

მამაჩემმა, ვიცი, რო უყვართო და მომიტრიალდა უცბათ და გაიხედა ეზოსკენ და მთელ ხმაზე ამბობს, მე კი ვიცი, რო უყვართ, მარა იმ პირქვემოტყუნულს რა უყოო.

ეს ხალხიც უყურებს. კაროჩეო, მამაჩემი ეუნება, არ გიცნობთ, მარა პატივისა გცემთო, შორიდან გიცნობთო. ჩემი ძმა თქვენსა წამოვიდა და მე იმის სიტყვაზე ატვირთა ვერა ვარ, შვილია ბოლობოლო და გოგაო.

მიუხვდენ ისინიც. და წავალთო, რა, ბოდიშო.

და მაიცა, სად წახვალთო, მამაჩემმა მაიცაო, და დედაჩემს ეძახის, გამოიტანე ღვინოო, მაიცათ, ოჯახში პირველათ ხართო.

მე ხო ვიცი, გადარია ბიძაჩემმა და ეხლა იმის ნაზლო იქცევა.

არა, არაო, უკეთეს დროსო, ღმერთმა ქნასო, ლხინშიო, ისინი იძახიან.

მაიცა კაცო, რახან ჩემთან მოხველითო, მამაჩემმა, ესე იგი, იცით, ვინცა ვარო.

კაიო, იმათ. ხოდა, დედაჩემმა გაშლა დაიწყო. ჩვენთან ხო ეგრე არ არი, რო პროსტო ღვინო და რამე, მთელი თეფშები და ამბავი და მამაჩემმა, ნუ გეშინითო, ბევრს არ გაგაჩერებთო, ვიცი, რო რა ამბავიაო, აგე, მეც საქმიდან ვარო, ტაქსი მელოდებო და მეც მეუნება, რას დადექიო, ღვინო ამოიტანეო.

ჩავედი და ერთი გრაფინკა ჩამოვასხი და ეგრევე, მიდი, მიდი დაასხიო ჩქარაო.

დავასხი და უყურებს ამ კაცს, მამამისს, დაგლოცავ, ჩემო ახლობელო და ნათესავო კაცოო, ღმერთმაო, გაისამდროს შენ შვილიშვილთან ერთათ მოგიყვანოს ამ ოჯახშიო და ვიცინოდეთ ამ ამბავზეო. მე თუ რამე გამეგება ბავშებისო, ეგ ნათია კაი გოგაო, ყველაზე კაი ჩვენ გვარშიო, ჩვენო, აგე, ბოლბები ვართო, ანდა ჩაჩუმებულეები აგე ემასავითო, ჩემ დაზე აჩვენა და ეგ არი ხალისიანიო და წამდვილიო. ამათ გონიათ, მე დიდი სროკები მქონდა და ოჯახის არ ვიციო. ყველაფერი ვიციო. კაროჩე, გაუმარჯოთო და მიუჭახუნა და სანამ დალევს, იმან უთხრა, ღმერთმა მოსალოცათ მომცეს საქმეო, შენ სიტყვასაც ვენდობიო და შენი ნათქვამიც მიხარიაო, პროსტოო, აბა, არ ვიცი, როგორ იქნება საქმეო, როგორც შენ ამბოფო და რავი, სულ რო გულისტყენა დაგვრჩესო, მაინც შევხვდებით და ჭიქას ავწევთ მე და შენაო.

ისიც ისეთი ბიძა იყო.

მამაჩემმა კიდევ მოუსმინა, მანამდე არ დალია და მეო ერთი რამე ვიციო, სიტყვის თქმაო. რახან ვთქვიო, ეგრე იქნებაო. დალიეს და გადაკოცნეს ერთმანეთი და გაისტუმრა.

ვდგევართ ყველა ბალკონზე და ამობრუნდა მამაჩემი და ბურტყუნობს, უხ, ნათია, ნათია, შენ მოგიტყანო და დაჯდა. ტაქსი ჩართული სოჩიკით ელოდება.

რაო, დედაჩემმა.

რაოდა, გადავწვავო და წავიდა იმათ საგინებლათო და ვიპოვი ამაღამვე და დავაბრუნეფო. მე რაღას მექებდა ეგ უტვინიო, მაგას ეგონა მაგეებში წავყვებოდიო?

დედაჩემს შეეშინდა.

ნუ გეშინია, ქალოო, რა უნდა ქნას, დიდი დიდი ამ კაცს გული ატკინოსო. მეთქი, ეგრე არ არი. რა იცი, რო აუვარდენ, სადაცას არიან, იქ რა მოხდება. გამოიხებო და შენ თუ იცი, მე რატო მოვედი სახშიო.

მეთქი, რავი.

კაროჩეო, ეხლა წადი, გაიგეო, სად არიანო და წადი იქაო და წამოიყვანე და მიიყვანე ბიჭთან სახშიო და მერე იხტუნაოს მაგანო.

თავის ძმაზე ამბობს, ბიძაჩემზე. არ ვიცი, რა უთხრა ბიძაჩემმა.

და ეგრე რატო გამხეცდა.

მერე მივხვდი, რო ჩადიოდა კიბეზე, ჩემი შვილები რო მაგის სახსენებელი გახდებო, თუ რაღაცა ესეთი თქვა.

მე მივხვდი, იმან რაც უთხრა. ჩემ დაზე უთხრა, შენიც ეგრე იზამს და ნახავო. და ამან რო წარმოიდგინა, დაიგრუზა.

მიდი, მიდი, ეგრე ქენიო, დამიძახა და ხმა არ გავიგო თქვენი და ენის ლაქლაქე-ბიო, არ უთხრათ ვინმეს რამე, თორე დაგზოცავთ სუყველასო.

მოტრიალდა, ჩაიყო ჯიბეში ხელი და დადო კიბეზე ფული, აღარც ამობრუნდა.

წავიდა, ჩაჯდა ტაქსიში და წავიდა საქე-ივლოთ.

ორასი მანეთი იყო, კაროჩე, იმოდრა-ვეო.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



ნოდარ ტაბიძე

თანამეცხედრე და მეგობარი

გალაკტიონის ცხოვრება და მოღვაწეობა ურიგოდ როდია შესწავლილი, მაგრამ საძიებელ-გასაანალიზებელი კვლავაც ბევრია.

გენიოსის ყოველი ნაბიჯი გააზრება-ახსნას მოითხოვს. მეტიც: არ შეიძლება გულგრილნი დავრჩეთ თუნდაც სახელდახელოდ შეთხზული სტროფისადმი, პაპიროსის კოლოფზე ჩამოწერილი რითმებისა თუ იჩქითად გატყორცნილი კალამბურისადმი.

ცხადია, მით უფრო არ გვეპატიება გალაკტიონის უახლესი ადამიანების ჩრდილში დატოვება.

მე ერთ-ერთი პირველი გავისარჯე ოლგა იურის ასულ დარიუსის „რეაბილიტაციისათვის“, გალაკტიონოლოგიაში მისი როლის გარკვევისათვის. ვისწრაფვი, ეს ხაზი გავაგრძელო და ვრცელი გამოკვლევა მივუძღვნა ამ ნიჭიერ ქალბატონს, რომელიც ოთხ წელზე მეტი პოეტის გვერდით იდგა და თვალსაჩინო წვლილიც შეიტანა მის ცხოვრება-მოღვაწეობაში. იგი არა მხოლოდ მეუღლე გახლდათ, არამედ მრჩეველი, ლიტერატურული კონსულტანტი, მთარგმნელი. გალაკტიონი თითქმის ყოველთვის ითვალისწინებდა ამ ერთდღიურულ, ხელოვნების საფუძვლიანად მცოდნე თანამეცხედრის რჩევას, მოსაზრებას.

ამჯერად მომავალი წიგნის ერთ ქვეთავს გთავაზობთ.

...1973 წლის 17 სექტემბერი. მირეკავს მარია ჩხარტიშვილი – ნიჭიერი ჟურნალისტი და ენათმეცნიერი (ერთად ვსწავლობდით ასპირანტურაში).

— ნოდარ, იცი ვინ გავიცანი? ბიცოლაშენი – ოლგა დარიუსი.

— სად? როდის?

— რადიოდან დამავალეს, საბჭოთა კავშირის შექმნის ორმოცდაათ წელს ვზეიმობთ და კარგი იქნება, სხვადასხვა რესპუბლიკის წარმომადგენელთა პორტრეტები შეგვექმნათ. მეც გავისარჯე და მივაკვლიე ამ ესტონელ ქალბატონს, ფრიად ორიგინალურ პიროვნებას.

ავდელოდი. ოლგა დარიუსისა და გალაკტიონის ურთიერთობის შესახებ საკმარისი მქონდა, მაგრამ, ჩემდა სამსუხაროდ, ის კი არ ვიცოდი, თუ ამ ბოლო ხანებში თბილისში ცხოვრობდა.

კი არ შევხვებოდი, თითქმის დავავალე მარიაკას, სასწრაფოდ დაკავშირებოდა ქალბატონ ოლგას და გადაეცა ჩემი თხოვნა აუდიენციის შესახებ.

ორი დღის შემდეგ მარია მეუბნება:

— ძალზე გაიხარა, როცა შენი განზრახვა შევაცნობი. აუცილებლად მოვიდეს, სულით და გულთა ველიო.

და აი, 1973 წლის 23 სექტემბერი.

კარი თავად გამიღო.

— მობრძანდით, გეთაყვა, მობრძანდით! — გულწრფელი ღიმილით შემეპატიჟა. მაკვირდება.

— ძლიერ გავხარო მამათქვენს. აბესალომი ზღაპრული პიროვნება იყო, სანთელივით კაცი.

ვიგრძენი გალაკტიონის გავლენა. მამაჩემი პროკლედი კი არა, აბესალომად მოიხსენია.

ქალბატონი ოლგა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე ცხოვრობს, 27-ში. ის ვანო სარაჯიშვილის მეუღლის კომპანიონია. უკავიათ ორი ოთახი. ვანოს მეუღლე ქიქოძეა. ოლგას პირველი ქმარიც ქიქოძე გახლდათ, ცნობილი მხატვარი.

ქალბატონი ოლგას ოთახში ყურადღებას იპყრობს წიგნებით სახვდელი თაროები. იქვე მომცრო კარადაში ანტიკვარული ნივთები შევნიშნე. კედლებზე სურათები. ერთზე ბრატისლავას ლამაზი ხედი ჩანს. თითქმის ცარიელი საწერი მაგინდა. მოჩუქურთმებული ჩარჩოდან გალაკტიონი შემომცქერის...

ოთახში ვანო სარაჯიშვილის მეუღლე შემოდის. მესალმება და მეგობარს ხმამაღლა ეუბნება:

— ამ ახალგაზრდა კაცს აუცილებლად სასმელით უნდა გავუმაპინძლოდეთ.

პატარა მაგიდაზე სასწრაფოდ ჩნდება ტორტი, ყავა, ტკბილი სასმელი.

— ეს ტორტი მე გამოვაცხვე თქვენს საპატივცემულოდ. აბა, დავაგემოვნოთ.

ყავას ვატკობ. საუბარი გრძელდება.

— სადოქტორო დისერტაციას როდის იცავთ? — მეკითხება ქალბატონი ოლგა. ჩანს, ჩემს შესახებ საკმაო ინფორმაცია აქვს. ინტერესდება ჩემი ძმის ბედით. იგონებს მის ერთ ფათერაკიან თავგადასავალს ა.შ.

უცხოობის ყინული გალღვა. ქალბატონი ოლგა კარგი მთხრობელი აღმოჩნდა. ჩვენ რუსულად ვმეცხველებო.

— გალაკტიონი შემთხვევით გავიცანი. ერთ ოჯახში გვიანობამდე შევრჩით, ქალაქს ვთამაშობდით. დიასახლისს გამასპინძლებდა დაავიწყდა და აი, გვიან ნაცნობ ვექილეთან – რომელი თალაკვაძე-

ესთან ერთად შინ ვბრუნდები. ჩემს კავალერს ვთხოვე, გასტრონომამდე მივეცილებინე. მივუახლოვდი მალაზიას და ცხვირწინ კარი მომიხურეს – გვიანიაო. ამ დროს უცნობმა მამაკაცმა ხელი ჩამავლო, კარი ჯიქურ შეაღო და გამყიდველებს მიმართა:

— პატივი ეცით ლამაზ ქალს. რაც სურს, სწრაფად მოართვით.

მე გაოცებულ-გაოგნებული ვარ. ვინ არის ეს კაცი? რა უტაქტობაა ასე მოქცევა. თანაც ჩემს კავალერზე ვბრაზობ, რომელიც არხინად დგას და გამველ-გამომველეს თვალს აყოლებს. ვიყიდე, რაც მინდოდა და გამოვედი. უცნობი დამემშვიდობა. ცუდი არაფერი უკადრებია. მაშინვე რომეოს შევუტეე:

— როგორ შეგეძლო, გულგრილი ყოფილიყავი, როცა შენს თანმხლებს უცნობი კაცი ასე მოექცა?

— იცი, ვინ იყო ის უცნობი? საქართველოს პოეტთა მეფე.

— გალაკტიონ ტაბიძე?

— დიას!

გალაკტიონზე ბევრი რამ მსმენოდა, განსაკუთრებით ჩერნიავსკისაგან. ჩერნიავსკი ყოფილი გენერალ-გუბერნატორის ვაჟი გახლდათ. შეუხედავი, მაგრამ სულით უმდიდრეს-უფაქიხესი, ფრიად განათლებული, პოეტური ბუნებისა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მწერლებთან, რომლებიც სარგებლობდნენ მისი კეთილი გულითა და დიდი ცოდნით. და აი, ამ ჩერნიავსკისაგან ვიცოდი, ვინ იყო გალაკტიონი...

შემდეგ დავახლოვდით. ეს იყო 1937 წელს. გალაკტიონი მძიმე მდგომარეობაში იყო. მეც ტრავმირებული ვახლდით. გავუვით ურთიერთს, დავმეგობრდით.

ოლია ოკუფაცია ახალი დაჭერილი იყო და გალაკტიონი ძლიერ განიცდიდა ამას. ოლია მაშინ დაუპატიმრებიათ, როცა გალაკტიონი საავადმყოფოში იწვა. ოლიას თურმე შინსახკომლებისთვის უთქვამს: ძალზე ცუდად ყოფილა თქვენს საქმე, თუ მე მიჭერთო.

...კარგად მახსოვს. აკაკი წერეთლის იუბილე უნდა ჩატარებულიყო. გალაკტიონმა მოითხოვა, მისთვის მიენდოთ მოხსენების წაკითხვა. ირაკლი აბაშიძე დათანხმდა. გალაკტიონმა გატაცებით დაინწყო მუშაობა. მე მაინც ვეჭვობდი, რომ ლირიკოსს კარგი მოხსენება გამოუვიდოდა. ამიტომაც ვუთხარი:

— მოდი, რასაც აკაკიზე ფიქრობ, ყველაფერი ლექსად გადმოეცი.

მოეწონა ეს იდეა და შეუდგა წერას. იმ ხანებში ძალზე ბევრს ვკითხულობდით, რა თქმა უნდა, აკაკის ნაწარმოებებს; როგორც ქართულად, ისე რუსულად. ჯერ ქართულად წაკითხავდა ლექსს, მერე მეტყვოდა:

— აბა, ვნახოთ, რუსულად როგორ ჟღერს? — და აგრძელებდა ბოლთის ცემას.

ერთხელ ვკითხე:

— გალაკტიონ, აკაკი მართლა დიდი პოეტია?

— არაო, — მითხრა.

— მაშ ვინ არის დიდი პოეტი?

— ვაჟა-ფშაველა. მასავით არავის დაუნახავს ბუნება. ფილოსოფოსია, გენიოსია.

— ქალბატონო ოლგა, — დავეჭვი მე, — ეს როგორ, გალაკტიონი ხომ აღმერთებ-



და აკაკის? ნუთუ მართლა ასე ფიქრობდა, როგორც თქვენ ბრძანეთ?

— ნამდვილად ასე მითხრა. ერთია პოეტის სიყვარული და მეორეა მისი სიდიადის აღიარება.

ოლგა დარიუსი აგრძელებს:

— გალაკტიონმა დაწერა, რაც სურდა და ელოდებოდა, რომ პირველ სიტყვას მას მისცემდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა, რაც უმწვავესად განიცადა. დაიწყო ლოთობის სერია. დღედაღამ სვამდა. მე ვერ გავუძელი და ჩემს ბინაში გადავედი. ცხადია, უყურადღებოდ არ დამიტოვებია. ყოველდღე ვაგზავნიდი მოსამსახურეს. ერთხელ ეს ქალი აღშფოთებული დაბრუნდა და პირდაპირ შემომიტია.

— Ёщё аби́ í á ðí ðí í, áááú í í áí éúí í é :áéí ááé.

ლოთობას გაცივება დაემატა და ვითარება გართულდა. ამ დროს ჩემთან მოვიდა ჩერნიავსკი და კატეგორიულად მომთხოვა, ყორესის ოთხში დავბრუნებულყავი. მეც ასე მოვიქეცი.

ჩერნიავსკიმ მიჩნია, ბარათი გამეგზავნა სტალინისათვის. რიგინი ქალაქი კი არ მქონდა. ჩემი დისშვილის რვეულიდან ამოვიხე ფურცელი და მივწერე სტალინს, რომ საქართველოს უპირველესი პოეტი უმძიმეს მდგომარეობაშია. მკურნალობა სჭირდება. მწერალთა კავშირი კი ყურადღებას არ აქცევს. ჰო, არ დამავიწყდეს, იმ ხანებში გალაკტიონს ლენინის ორდენი მოპარეს, რასაც ტრაგიკულად განიცდიდა. ერთი სიტყვით, მივწერე ის, რაც სიმართლე იყო და რისი გაკეთებაც მე, როგორც გალაკტიონის უახლოეს ადამიანს, მევალებოდა. ბარათს ხელიც მოვანერე.

ცდა არ დამიკლია და გალაკტიონიც მალე ფეხზე დადგა.

ერთ დღეს ტელეფონი ანკრიალდა. გალაკტიონი ყურმილს იღებს. ეკითხებიან: როგორ ბრძანდებითო. გალაკტიონი გაკვირვებულ-დაბნეულია, როდის იყო, რომ მწერალთა კავშირი მისადმი ასეთ დაინტერესებას იჩენდა?

— ხომ არ ისურვებდით საგურამოში დასვენებას?

— გალაკტიონი პასუხობს: — რა თქმა უნდა, მხოლოდ ორი ადგილი მინდა.

— ხომ არ ისურვებდით საგურამოში დასვენებას?

— გალაკტიონი პასუხობს: — რა თქმა უნდა, მხოლოდ ორი ადგილი მინდა.

— გალაკტიონი პასუხობს: — რა თქმა უნდა, მხოლოდ ორი ადგილი მინდა.



საგურამო, 1940 წელი. გალაკტიონ ტაბიძე და ოლგა დარიუსი დამსვენებულთა შორის

— ხვალ ყველაფერი მოგვარებული იქნება, ბატონო გალაკტიონ, დილით მანქანა მოგაკითხავთ.

გალაკტიონი მხრებს იჩიჩავს, უკვირს, რაღაც სასწაული ხდებაო. მე გავუმხილე, რომ სტალინს ბარათი გავუგზავნე და, ალბათ, ამის შედეგია-მეთქი. აბუზუნდა, რატომ მიწერეო.

სხვათა შორის, სტალინი იცნობდა გალაკტიონს. როცა ქართველი მწერლები მოსკოვს ჩავიდნენ და გალაკტიონი არ ჩაიყვანეს, სტალინს უკითხავს: А ááá áá ááá éé éé éé í í ýú á?

ასე და ამრიგად, გავემგზავრეთ საგურამოში. მოგვეცეს მშვენიერი ოთახი. წინ უზარმაზარი კაკლის ხე შრიალბდა. იქვე წყარო მოჩუხჩუხებდა. არაჩვეულებრივი პეიზაჟი. გალაკტიონი მთელი გატაცებით შეუდგა მუშაობას. ხშირად სახლიდან მოშორებით მივდიოდით. ჰამაკში მოვკალათებოდით და მე ვუკითხავდი დიკენსს. გალაკტიონს ძლიერ უყვარდა დიკენსი. ყოველთვის მძლავრად განიცდიდა მისი პერსონაჟების თავგადასავალს. ერთი ეპიზოდი: ძმისშვილმა ზურგი შეაქცია მჭედელს და ამ უკანასკნელმა თრთოლვით წარმოთქვა: „არაფერია, პეპ! ყველაფერი შეიძლება მოხდეს“. ეს რომ მოისმინა, გალაკტიონი აენთო. დაწერა კიდევ მშვენიერი ლექსი იმავე სიტყვების ვარიაციით. სხენებული ნაწარმოები პირველად პავლე ინგოროყვამ წაიკითხა და მითხრა:

— ოლგა იურენა, გალაკტიონი სიტყვის ჯადოქარია. ასეთი პოეტი ჩვენ არ გვყოლია.

საგურამოში კარგმა საზოგადოებამ მოიყარა თავი: პავლე ინგოროყვა და გერონტი ქიქოძე მეუღლეებითურთ, სერგო კლდიაშვილი და სხვები...

გერონტი არაჩვეულებრივი მოსაუბრე იყო. ხშირად გვეპატიჟებოდა თავისთან. მე მივდიოდი, გალაკტიონი კი ფეხს ითრევდა. გალაკტიონი ძალზე ეჭვიანი იყო. ჩემი მარტო გაშვება ყოველთვის ეძნელებოდა. აი, სასაიეროდ უნდა წავიდეო.

გერონტი ქვემოთ გველოდებოდა. მე ვიცვამ, გალაკტიონს არ უნდა, რომ წავიდე, მაგრამ არაფერს ამბობს და მომყვება. გერონტი მთელი გზა მახვილსიტყვაობს, გალაკტიონი კი ხმას არ იღებს.

სხვათა შორის, გალაკტიონმა სთხოვა გერონტის: ჩემს საღამოზე სიტყვით გამოდიო. ამასთან დაკავშირებით გერონტიმ ბრწყინვალე ბარათი გამოუგზავნა. ფრიად დასანანი იქნება, თუ ის დაიკარგა.

გერონტი წერდა: ჩვეულებრივ პოეტებს ხუთი გრძნობა აქვთ, თქვენ კი მეექვსეც გაგაჩნიათ. გამოირჩევით დიდი ინტუიციით, მოვლენების უზუსტესი აღქმა-შეგრძნებით. თქვენ გენიოსი ბრძანდებითო. შემდეგ შენდობას ითხოვდა, სიტყვით ვერ გამოვალო. გალაკტიონს ისე მოეწონა ნერილის პირველი ნახევარი, რომ, შენ წარმოიდგინე, არ გაბრაზებულა.

ერთ დღესაც გალაკტიონი ცეკაში დაიბარეს. შემფოთდა, რა უნდათ ჩემგანო. მთხოვა წავყოლოდი. უარი ვუთხარი. მე კი არ მიბარებენ, არამედ შენ-მეთქი. ნაი, გალაკტიონ, ნუ გეშინია, მე კარგი წინათგრძნობა მაქვს. გალაკტიონს სჯეროდა წინათგრძნობისა. ზოგჯერ ცრუმორწმუნეც იყო.

— კეთილი, წავალ. მხოლოდ შენ ფეხს



არ მოიცვლი ოთახიდან. ეს კაკლის ხე დახატე. ჩემს თხოვნას თუ შეასრულებ, ქალაქიდან საჩუქარს ჩამოგიტან.

გალაკტიონი გაემგზავრა. მე ხატვა დავეწყე, მაგრამ მომეწყინა ეულად ყოფნა. არაჩვეულებრივი ამინდი. ქვემოთ სიცილ-კისკისი. ჩავედი, თუმცა დიდ ხანს არ დარჩენილიყავი...

და აი, დაბრუნდა გალაკტიონი. სახე უცინის. ბედნიერია. — რა მოხდა? — ვეკითხები. ორდენი დამბრუნეს, ჩემი ორდენი.

მე და ჩერნიავსკი ყოველთვის ვამბობდით, რომ გამორიცხულია ქურდებს მოეპარათ ორდენი. ვის რად უნდოდა. ხომ ვერ გაყიდდნენ. ეს ვილაც-ვილაცებმა მოუწყვეს, რათა მგოსნის კომპრომეტირება მოეხდინათ.

გალაკტიონი ფიზიკური იღებს შეფუთულ ნივთს და ფრთხილად ხსნის. მარგალიტის ყელსაბამი. მართალია, იმიტაცია იყო, მაგრამ ძალზე ორიგინალურად და ლამაზად გამოიყურებოდა. არც კი მიკითხავს, რა მისცა. არც თვითონ უთქვამს.

ერთხანს დაიჭინა: აგარაკი უნდა გიყიდო. შენ ხომ ძლიერ გიყვარს ბუნებო. მე ვიცინოდი.

— სადაური ჰერცოგი ან ლორდი შენ მყავხარ, ასეთ საჩუქარს რომ მპირდები-მეთქი.

— ყველაფერი გამოანგარიშებული მაქვს. აუცილებლად უნდა გიყიდო. რა თქმა უნდა, ეს არ მომხდარა.

საგურამოში შალვა დადიანი მოვიდა. მოქეიფე კაცი იყო. გაიმართა ბანკეტი. რა თქმა უნდა, მე და გალაკტიონიც ვესწრებოდით. იმ ხანებში გალაკტიონი არ სვამდა. მის გვერდით იჯდა ვიქტორ გაბესკირია. დამაიმედა: ოლგა იურენვა, ერთ წვეთსაც არ დაუუსხამ, ნუ ლეღავთო. დანაპირები მართლაც შეასრულა. მწერალთა კავშირის თავმჯდომარეც ჩვენთან იყო. რომ შეზარხობდა, მოვიდა და მი-თხრა:

— Í ëüää Þ ðáá ñ, èâèí é-òí ñáí éí ÷ í äí èñáè ÿ èñ Ì Ñòàèè ò, — ცხადია, მან იცოდა, ვინც იყო წერილის ავტორი. მე ხომ ხელს ვანერდი.

ჩანს, ის წერილი თბილისში გადმოგზავნეს და ამიტომაც იყენებ ზოგ-ზოგნი აფორიაქებულ-შეშფოთებულნი.

ერთ ზაფხულს კისლოვოდსკი გავემგზავრეთ. მე და გალაკტიონი იალბუზზე ავედით. არ გვიჯერებდნენ, შეუძლებელიაო. ჩვენ კი მართლაც მოვექეციით მწვერვალს კენწეროზე.

კისლოვოდსკი მე სასტუმროში ვცხოვრობდი, რადგან ორადგილიანი საგზურის შოვნა არ მოხერხდა. იქვე იყო უშანგი ჩხეიძეც, მკურნალობდა. მზემ დამწვა და რამდენიმე დღე გარეთ ვერ გამოვიდოდი. გალაკტიონი გამიბრაზდა: სახეზე დამწვრობა სულაც არ გემჩნევა, ჩემთან რატომ არ მოდიხარო. ამ გაბრაზებას ლო-თობა მოყვა. არაფერიცა გაჭრა.

უშანგიმ თავისი დრამა გადასცა ნასაკითხად. გალაკტიონს კი ამისი თავი არ ჰქონდა. ვთხოვე, დაებრუნებინა ავტორისათვის. ვერ მოახერხა. მერე მე მივუტანე და ავუსხენი, რომ გალაკტიონი ავად იყო.

— ნუთუ, არ შეიძლება მისი განკურნება? — შეწუხდა უშანგი.

ბევრს ვხედავდით. ერთხელ გზისპირა სასადლოში შევედით. გალაკტიონი მიუჯდა მაგიდას და დაიწყო ბლოკის ციტირება: „მიჯაჭვული ვარ მე ამ დუქანზე“...

გალაკტიონს სიცილი უყვარდა. გადამდები იყო მისი ხარხარი. ცირკში ვართ. არენაზე ჯამბაზები გამოვიდნენ. მეხუთე რიგში გოგონამ კისკისი ატეხა. გალაკტიონი აყვა. გოგონას წკრიალა ხმა და გალაკტიონის ბარბიტონი — მომხიბვლელი შერწყმა იყო. მალე ეს სიცილი მთელ დარბაზს გადაედო და ზანზარებდა ცირკი.

გალაკტიონი დიდი ბავშვი იყო; არაჩვეულებრივად წმინდა და მორალურად სპეტაკი. არ უყვარდა ვალის აღება. არც მე მძღვედა უფლებას, მესესხა. ჩვენ კი დალხინებით როდი ვცხოვრობდით.

სტუმრებს ვერ გულობდა. თავადაც გაურბოდა ვიზიტებს. მხოლოდ ერთხელ დაფაცურდა, როცა მოსკოვიდან მხატვრული კითხვის ოსტატები მენვივნენ. სადილი გავემართეთ და გალაკტიონმაც კარგად მოილხინა.

მხოლოდ გიორგი ქუჩიშვილთან მეგობრობდა. სხვები არც მოდიოდნენ ჩვენთან. ზოგჯერ გიორგისაც აუხიბდებოდა. მეტყოდა:

— არ შემოუშვა, ლოთიაო.

ჩემი დისშვილი ემპაკურად მონკურავდა თვალებს:

— თქვენ კი არ ბრძანდებით ლოთი, ბატონო გალაკტიონ?

— არა! — უპასუხებდა გალაკტიონი.

— აი, ყველა ლოთმა პოეტმა საბოლოოდ მაინც აღიარა, რომ ლოთია, თქვენ კი არ ტყედებით, — არ ეშვებოდა ჩემი დისშვილი.

გალაკტიონი შეხუმრებული იყო მასთან. აქტიურადაც ერეოდა გოგონას ცხოვრებაში. სანყალი, ტუბერკულოზით დაავადდა. საჭირო იყო სასწრაფო დახმარება, და აი, ჩვენც მივაკითხეთ ჯანმრთელობის კომისარიატს. ფიცხელაური ფეხზე წამოუდგა:

— ამჯერად ძალიან გვიჭირს, ბატონო გალაკტიონ, მაგრამ მაინც მოგიხერხებთ რამესო.

მართლაც, აბასთუმნის საგზური გამოგვიყვანა. ჩემი დისშვილი 1944 წელს გარდაიცვალა.

გალაკტიონი ზოგჯერ მშობარაც იყო, მაგრამ მოქალაქეობრივ სიმამაცეს მაინც არ კარგავდა.

დაიწყო სამამულო ომი და ჩემი მეორე დისშვილი — ერიკი, რომელიც ოდესამდე ცხოვრობდა, სასწავლებლიდან გამორიცხეს, რადგან მამამისი გერმანელი იყო. სულ მთლად მაინც არ გასწირეს და თბილისში გამოგზავნეს. ცხადია, ჩემთან მოვიდა. ცოტა ხნის შემდეგ გალაკტიონი მეკითხება:

- რატომ არ დადის სკოლაში?
- იმიტომ, რომ არ იღებენ.
- რატომ არ იღებენ?
- იმიტომ, რომ გერმანელია.
- მერე რა. ახლავე წავიდეთ, სადაც ჯერ არს.

მივედით ქალაქის მილიციის სამმართველოში. გალაკტიონი იცნეს და დააკამათებულეს მისი თხოვნა.

აუცილებელი იყო ტექნიკუმში მონყოლა, თანაც ისეთში, რომელსაც ჯავშანი ჰქონდა. ასეთად ითვლებოდა საავიაციო სასწავლებელი. იქ დირექტორად ჯიბუტი მუშაობდა.

— ყველაფერს გავაკეთებ, ბატონო გალაკტიონო.

და მართლაც, ეს პრობლემაც მოგვარდა. მაგრამ ჩვენი გასაჭირი ამით არ დამთავრებულა. შეუძლებელი გახდა მუშაობის დაწყება, რადგან გერმანელი იყო.

ქალბატონი ოლგა მცირე ხნით ყოვნდებდა. შუბლი ეღარებდა. მერე ხელს ჩაიქნევს და აგრძელებს:

— ჰოდა, ერიკმა საბუთები დაკარგა. ახალ პასპორტში ეროვნებად ესტონელი ჩაუნერეს და ყველაფერი მოგვარდა. ლენინგრადში უმადლესი სასწავლებელი დაამთავრა. ახლა კუიბისევიში მუშაობს. როცა თბილისში ჩამოვიდა, მთხოვა მთანინდაზე ამეყვანა. გალაკტიონის საფლავი გვირგვინით შეამკო. გალაკტიონის უდღესი პატივისმცემელია, მოყვარული.

გალაკტიონი არცთუ იშვიათად ავადმყოფობდა — სვამდა. სამკურნალო კომბინატიდან ექიმი გვაკითხავდა, ეროვნებით სომეხი. მგონი, ლენინგრადის ქუჩაზე ცხოვრობდა. განათლებული და ჭკვიანი კაცი გახლდათ. გალაკტიონი კეთილად იყო განწყობილი მისდამი. ვარჯიში ურჩია. პირველ ხანებში გალაკტიონი სერიოზულად მოეკიდა ამ სიახლეს, მაგრამ მალე მობეზრდა. ასე იცოდა. უძნელდებოდა საქმის მიყვანა ბოლომდე.

კაბინეტში ყოველთვის უწესრიგობა სუფევდა. არეულ-დარეული იყო ნიგნები, ხელნაწერები დაფანტული. მე ვთხოვე, გვეყინა საქალაქეობრივი და წესრიგში მოგვეყვანა კაბინეტი. ენერგიულად შეუდგა მუშაობას, მაგრამ მალე მობეზრდა. მისთვის გარე სამყარო თითქმის არ არსებობდა. მთლიანად იყო შთანქმული პოეზიაში. ამიტომაც ბევრ რამეს ივინყებდა.

იცოდა თქმა: უამრავი მტერი მყავსო. თავდაპირველად არ მჯეროდა. მერე და მერე დაეწინმუნდი, რომ არ აჭარბებდა.

ხშირად ვუკითხავდი გოეთესა და ჰაინეს გერმანულად. ზოგჯერ ესტონური ლექსითაც ინტერესდებოდა. ჟღერადობაზე, მუსიკალობაზე ამახვილებდა ყურადღებას. იჭერდა რითმებს და იმეორებდა. ერთხელ მითხრა: მინდა დავწერო ლირიკის ფილოსოფიაო. მე ვურჩიე, პოეტურად მოეთხოვო. დამთანხმდა და შექმნა კიდეც დიდებული ნაწარმოები — „საუბარი ლირიკის შესახებ“...

ვატყობ, ქალბატონი ოლგა დაიღალა. თვალეში კი მაინც ის ცეცხლი უკიაფებს, რომელსაც ძვირფასი ადამიანის გახსენება იწვევს.

შევთანხმდით: ორი დღის შემდეგ კვლავ ვენვევი.

წარსულს დავიწყების ბინდი გადაეცა-ლა. სიცოცხლე გრძელდება.

გიგი ხორნაული

კონსტანტინე გამსახურდია

1965 წლის შემოდგომაზე მოვამთავრეთ „ხალხური სიბრძნის“ ხუთტომეულის გამოცემა და ახლა უკვე სხვა ნიგნებსაც მძღვედნენ სარეცენზიოდ და სარედაქტოროდ, განსაკუთრებით კი ისეთებს, რომლებთანაც რაიმე საჯახირო იყო დაკავშირებული, თუნდაც ავტორის მაგიერ დედნის მომზადება, ან „საოპარი“.

ბატონმა ხუტამ გამომიძახა და დამავალა: „ჩემი სახელით დაუკავშირდი ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას, როდის შეიძლება მიხვიდე მასთან „დიდოსტატის მარჯვენის“ ილუსტრაციების წამოსაღებად. ორი ცალი ნიგნიც სთხოვე — დედანს შენ მოამზადებ და რედაქტორიც შენვე იქნები“. წინა დღეს გაზეთ „კომუნისტში“ იყო წერილი: ფრანგულმა გაზეთმა „ლუმანიტემ“ მოამთავრა „დიდოსტატის მარჯვენის“ ბეჭდვა გაგრძელებითა და უხვი ილუსტრაციებით, მხატვარმა ჟან დორვიელმა კი ეს ყველაფერი ბატონ კონსტანტინეს საჩუქრად გამოუგზავნაო.

ბატონი ხუტა ასეთ შანსს, ასეთ იდეას ხელიდან არ გაუშვებდა. მუდამ იმის ძიებაში იყო, რა და როგორ გამოეცა. გამოცხადებული ჰქონდა: კარგ იდეაში ჰონორარს ვიძლევი, ოღონდ ვინმემ რამე მოიფიქრეთო.

ჩემთვის, მთლად ახალბედა რედაქტორისთვის, ასეთი დიდი მწერლის ნიგნის რედაქტორობა დიდი პატივი იყო. ამაღლევა იმანაც, რომ შესაძლებლობა მეძლეოდა პირადად გავცნობოდი ჩვენი დროის არამარტო დიდ მწერალს, არამედ დიდ პატრიოტს, საოცარ პიროვნებას, ვის შესახებაც ლეგენდები დადიოდა. მისი შორიდან ხილვაც კი დიდ თონინებას იწვევდა ჩემში. ეხლა კი მასთან საქმიანი ურთიერთობა უნდა დამემყარებინა. ძალიან ველევადი. ყურმილი კინალამ ხელიდან გამივარდა, როცა ტელეფონში ბატონი კონსტანტინეს ხმა გავიგონე. მითხრა, როცა გნებავთ, მაშინ მობრძანდითო. მე აღარ გადავედი, ეხლავე წამოვალ-მეთქი. მისამართის კითხვა არა მჭირდებოდა, რადგან კოლხური კოპკისთვის თვალის შესავლებად რამდენჯერმე ვიყავი ნამყოფი სტუდენტობის დროს. ჭიშკრის კარი ზვიადმა გამიღო. ბატონი კონსტანტინე მისალუბ ოთახში მელოდა. სავარძლიდან წამოწვეთ ჩამომართვა ხელი და მეორე სავარძელზე მიმიდითა. ზვიადიც იქვე შორიანხლოს ჩამოჯდა.

— ხორნაულიო, მგონი ის მითხარით, არა?

— დიახ, ბატონო კონსტანტინე.

— თქვენია, „ცისკარში“ რომ დაიბეჭდა მოთხრობა „თუთი“?

— დიახ, — ვუპასუხე და ვიგრძენი როგორ წამოვნითლდი. გავოცდი, ჩემი ნაცოდვილარის ნასაკითხად როგორღა მოიცალა, ან გვარი რამ დაახსომა-მეთქი. ფოლკნერის ერთ-ერთი ინტერვიუდან მახსოვდა: ისევ და ისევ მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების ხელახლა წაკითხვა მძღვეს ბევრ ახალს, თანამედროვე თუ რამე გახმაურდა, მხოლოდ იმას ვკითხულობო.

— ლადო ბალიაურის შემდეგ მთელი პროზაიკოსი არა გვყოლია. კარგი პროზაიკოსი დადგებოდა, რომ ეცლიათ. პროზაიკოსი ლადო და პოეტი გაბრიელ ჯაბუშაური. ძლიერნი იყვნენ.

— ლადო დედიძმა იყო ჩემი.

— მართლა?! კვიცი გვარზე ხტისო. მომენონა თქვენი მოთხრობა. გაგმარჯვებოდა, ჭაბუკო!

ქალბატონმა მირანდამ კეთილი ღიმილით შემოგვიტანა თევშებზე დაწყობილი ყველი, პური, ხორცი და ტყემალი. ღვინო ზვიადმა შემოიტანა დოქით და წელში გამოყვანილ ჭიქებში დაასხა. ბატონმა კონსტანტინემ აიღო და დაილოცა:

— კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, გიგიაე! მიხარია, როცა კარგ ახალგაზრდებს ვხვდები! ხელი მოგემართოს კეთილ საქმეზე! — სადღეგრძელოს ნახევსურულება სცადა.

— ბატონო კონსტანტინე, თუ გაქვთ, დედანისათვის მომეცით ორი ნიგნი და მე გავაკეთებ ყველაფერს, — შევბედე სამი სადღეგრძელოსა და ცოტა საუბრის შემდეგ.

— რა ვქნა, არ ვიცი. შვილებს გეფიცები, ორი ერთნაირი ნიგნი აღარ შემომრჩა. ასე საჩქაროდ კი საიდან...

— მეორეს მე ვიშოვი, თქვენი ნიგნების შოვნა არ გამიძნელდება-მეთქი, — დავაიმედე და ბოდიშის მოხდით ვთხოვე მეთს აღარ შეგანუხებთ-მეთქი.

მაგიდისხელა მუყაოებზე აღმოჩნდა



დანებებული გრაფიკულად შესრულებული ექვს-ექვსი ილუსტრაცია. ბევრი იყო. ნაწილი შევარჩიეთ და ზვიადმა მანქანით ჩამომატანინა გამომცემლობაში. ამ მცირე მანძილზე გზავრობისას ზვიადში შევიცანი ის საოცარი პიროვნება, რომლის მსგავსიც მხოლოდ ოცნებით თუ წარმომედგინა.

მეორე დღესვე ვიშოვე მეორე ცალი, ორივე ჩამოვაჭრევიც სტამბაში და ფურცლებად ქცეულისაგან დედანი დავანებე. დავიწყე კითხვა რედაქტორული თვალის და იმდენ შეცდომას ვპოულობდი, შევეჭვდი, აწყობის დროს დამახინჯებულ ვარიანტს ხომ არ ვკითხულობ-მეთქი. მანამდე ხუთჯერ მაინც მქონდა ნაკითხული, მაგრამ ამნაირი არაფერი შემიმჩნევია. ისე კითხვისას, საერთოდ ყველა ნაწარმოებში, და მითუმეტეს „დიდოსტატის მარჯვენაში“, შინაარსი გიტაცებს, ლაფსუსებს ვერ ამჩნევ და არცა აქვს მნიშვნელობა. რედაქტორული თვალი კი გიფოჭებს ხიბლს. შემდეგში სხვა მწერლების ნიგნები რომ წავიკითხე ამ თვალით, იქ უარესი ვითარება იყო ხშირად.

ანყობის შედეგად დაშვებული შეცდომების გარდა, იყო ზმნის პირის ნიშნების არაერთგვაროვნება, ზედმეტობა ან ნაკლებობა. მაგალითად ასეთები: „ამ დროს გამოსცვიდნენ გარამელებიდან მონები“. „ს“ აქ ზედმეტია. ერთი შეცდომა ასეთიც კი იყო: ზვიად სპასალარი საღამომხანს ესტუმრა მელქისედეს მეფის დავალებით — შორენა გორგელს მივთხოვოთო. შუადღე იყო, როცა მემამულეებმა გამოაცხადეს ჭიშკრამდე. მარტოდ დარჩენილმა ზვიადმა ვარსკვლავებით მოჭედო ცას ახედა.

აშკარა იყო აქ „შუადღის“ ნაცვლად „შუადამე“ უნდა ყოფილიყო. შეცდომებმა ერთი თორმეტფურცლიანი რვეული შეავსო. თანამშრომლებმა მითხრეს, მაგრველს კონია თავზე გადაგახეხეს, ვერ იტანა ენათმეცნიერულ ჩარევებს, — ენას მწერლები უდებენ კანონებს და არა ენათმეცნიერებიო.

ვერ გავბედე იმ რვეულის ჩვენება ბატონი კონსტანტინესთვის. ცალკე ამოვწერე აშკარა და ტიპური შეცდომები, დედანიც გავიყოლე და კიდევ ვესტუმრე. მან გულდაგულ ჩაათვალიერა, შიგადაშიგ შესძახებდა: მართლა ასე მიწერიაო?! შუადღე-შუადამის აღრევაზე გაგიჟდა — მაჩვენე, მაჩვენე ერთი დედანი, ნუთუ მართლა ასეთი ის სულელი ვარსი გაპარული?! ნახა და ლანძღვა დაიწყო „მტერი“ რედაქტორებისა. ხელი ჩამომართვა, ფურცლები დამიბრუნა და მითხრა:

— ყოჩაღ, ხევსურო, კარგად გიმუშავია, ეგ ყველაფერი ჩასასწორებელია, სხვაც თუ იყოს, ჩაასწორეო.

მაშინ დავრწმუნდი, უფიცთა აბდაუბდა ჩხიკის და კენას ვერ იტანდა ბატონი კონსტანტინე და ჭორებსაც ისინი უფრცვლებდნენ.



მწერალი

ლოგიკური იქნება, თუ საუბარს შენი ახალი კრებულით დაიწყო. „ნეგატივი“ უკვე დაიბეჭდა პოეზიის მოყვარულთა მალაღობრული შეფასება. რამდენად ვიცი, მასში გაერთიანდა რჩეული ლექსები ოთხი სხვადასხვა კრებულთან. რა გახდა მისი გამოცემის საფუძველი და როგორ იყო სამუშაო პროცესი?

ამ კრებულის გამოცემას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: პირველი ის, რომ მინდოდა რაღაცენაირად „ნამეშალა“ ჩემი ორი ძველი წიგნი — „ჩურჩულის გაკვეთილი“ და „გამომიგონე“, რომლებიც არ მიყვარს, არ მომწონს... ზუსტად არც კი ვიცი, რა ფორმულირება მოვძებნო. და კიდევ, მინდოდა გამოემსორობინა ის ხარვეზები, რაც „ჯიბის ჰაერისა“ და „გზები და დღეების“ გამოცემისას გაიპარა.

— ცოტა არ იყოს, უცნაურია ძველი წიგნების ასე მკვეთრად უარყოფა. მაინც რა არ მოგწონს პირველ ორ კრებულში, რომლითაც თავის დროზე პოეტურ სივრცეში ბევრის სიმპათია დაიმსახურე?

— ძალიან მარტივად რომ ვთქვა, არ მომწონს რაზე ვწერდი, როგორ ვწერდი... რაღაცას ვხლავორობოდი, სიყვარულზე მოვთქვამდი. იმ პერიოდში წიგნისადმი არანაირი მიდგომა არ გამაჩნდა. დაწერდი რაღაცებს, ჩავყრიდი ერთად და წიგნს ვუწოდებდი. დღეს ლირებულებები შეიცვალა. ამ გადასახედიდან წიგნი ჩემთვის სულ სხვა რამეა.

— რას გულისხმობ?

— ზოგადად, ვცდილობ, არ ვიყო კონცეპტუალისტი და მსგავსი განსაზღვრებები ყოველმხრივ ავირიდო, მაგრამ მიმაჩნია, რომ წიგნზე მუშაობისას გარკვეული სტრუქტურის ჩამოყალიბება და მის ერთ მთლიანობაში გააზრება აუცილებელია. ჩემთვის მნიშვნელოვანია ვიცოდე, რატომ მოსდევს ერთი ლექსი მეორეს. შესაძლოა, ვიღაცისთვის მეორეხარისხოვანი იყოს, მაგრამ მე უნდა ვიცოდე. ძველ წიგნებში ეს პროცესი თვითდინებაზეა მიშველებული. შემდეგ, ჩავვადმოდი და რაღაცები ჩამესწორებინა, განსაკუთრებით, „ჩურჩულის გაკვეთილი“, მაგრამ მივიჩნია, რომ ეს წიგნი ამდენ დროს და ნერვებზე არ ღირდა. რაც შეეხება დანარჩენ ორს (იგულისხმება „ჯიბის ჰაერი“ და „გზები და დღეები“ — ნ.კ.), მინდოდა ისინი ცალკე გამოცემულიყო.

— რა პრინციპით შეარჩიე ახალი კრებულისთვის ლექსები?

— სიმართლე გითხრა, განსაკუთრებული პრინციპებით არ მიხვდებოდი, რადგან საბოლოოდ, ჩემთვის ოთხივე წიგნი ერთი მთლიანობაა, ერთიანი კონცეფციით, სტილით, თემატიკითა და ხელნერით შექმნილი. ფიქრობ, საინტერესო კრებული გამოვიდა, მაგრამ არც იმას გამოვიცხავ, რომ ერთ დღეს აღარ მომეწონოს. თუმცა ეს უფრო ვარაუდია, რადგან საკუთარი თავი ისეთი დინამიური აღარ მგონია, რომ ეს ლექსებიც ძველებით იოლად მოვიკვებო.

— ერთიანი სტილი, თემატიკა და კონცეფცია ასევე. არადა, ოთხივე კრებული განსხვავებულია, წიგნიდან წიგნამდე იგრძნობა ცვლილებები.

— რასაკვირველია, ცვლილება იქნება, ეს ხომ ბუნებრივი პროცესია. სხვათა შორის, იმ წლების განმავლობაში, როდესაც ეს წიგნები ცალ-ცალკე თუ ერთად გამოიცემოდა, ჩემი ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა, რაც აისახა კიდევ ლექსებზე. მთლიანობაში ეს ყველაფერი არის ის, რასაც ვერ გავუქვები და ერთად მოვუყარე თავი. ალბათ მომავალშიც იგივეს გავაგრძელებ.

— ნებისმიერი ხელოვანისთვის ძალზე მნიშვნელოვანია საკუთარი თავის ძიება შემოქმედებით სივრცეში, განსხვავებული სტილისა თუ სამწერლო ენის შექმნა. როგორ ფიქრობ, მიაგენი შენს გამოკვეთილ სტილს, შენს არსს პოეზიაში?

— წერის პროცესში ძალიან ბევრ რამეზე ფიქრობ, მაგრამ ამ საკითხებზე — არასდროს. ხელოვნურად იმის გაკონტროლება, რასაც შექვია სტილი, ხაზი, არხი, ძალიან რთულია და არაბუნებრივიც გამოდის. ერთი შეხედვით, შეიძლება კარგი შედეგი მიიღო, მაგრამ საბოლოოდ, ეს შედეგი არ ამართლებს. ყოველ შემთხვევაში, ჩემთან მიმართებაში. ზოგადად, ყველაფერში ბუნებრიობა მიყვარს. წერაც, როგორც სხვა ნებისმიერი საქმიანობა, ბუნებრივ პროცესად მიმაჩნია, რომელიც ადამიანის პიროვნული თვისებებიდან, შინაგანი კონსტიტუციიდან და ხასიათიდან გამომდინარეობს. როგორც უნდა მიინდომო, თუ ნიჭი არ გაქვს, საკუთარ თავს ვერ გადაახტები. პირადად მე ვერ ვიტყვი, რომ რაიმე განსაკუთრებულს ვაკეთებ. სტილის თვალსაზრისით თავს სტანდარტულ ავტორად მივიჩნევ. სიანგლის შექმნის მოთხოვნებიდან არ მაქვს და

ზვიად რატიანი:

„ჩემთვის ოთხივე წიგნი ერთი მთლიანობაა“



გურამ ნიბახაშვილის ფოტო

არც მსგავს პირობებს ვუყენებ საკუთარ თავს. ერთადერთი, ჩემს თავს მკაცრად ვუთხარი: რახან არ იშლი, ჯანდაბას, წერე ლექსები, ოღონდ ცხოვრებაში არ იპოეტო. არ მინდა ეს ყველაფერი გადავიდე ყოველდღიურობაში, ქცევაში და ა.შ.

— როგორც პოეტმა, საკუთარი თავის ფასი თუ იცი?

— რა თქმა უნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არც დავეჭვადვდი. მით უმეტეს, ერთხელ დანარჩენი მგორედ აღარ გამოვაქვეყნებდი.

— ბევრია ლექსი, რომელსაც არ ბეჭდავ?

— ძალიან. საერთოდ, ნელა ვწერ. იშვიათად გამომდის ხოლმე ის, რაც მინდა. ლექსებს, რომლებშიც მკვეთრად ავციდი ჩანაფიქრს, აღარ ვაქვეყნებ. ხანდახან მათ სხვა ნაწარმოების „საშენ მასალად“ ვიყენებ, მაგრამ ძირითადად თავს ვანებებ და აღარ ვუბრუნებდი.

— მე ვიცი, როგორი თვითკრიტიკული ხარ საკუთარი ნაწარმოების მიმართ.

— თვითკრიტიკული ნამდვილად ვარ, იმიტომ რომ ყველაზე უკეთ ვგრძნობ, რა დავაკელი ლექსს, რისი გაკეთება მინდოდა და რა გამოვიდა. ბოლო დროს ვცდილობ, ამის დემონსტრირებისგან თავი შევიკავო, რადგან ასეთმა დამოკიდებულებამ შეიძლება მავანი გააღიზიანოს. ხანდახან თავის ქება გაცილებით ბუნებრივია, ვიდრე კრიტიკა. ერთი რამ მაშეშვინებს — ინტერვიუს იშვიათად ვიძლევი და ამდენად, ჩემი თვითკრიტიკულობა საშუალოზე ნაკლებად გამოდის. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ თემაზე არც ვილაპარაკებდი.

— მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თავს გამორჩეულად არ მიიჩნევ, ბევრი ნოვატორი პოეტს გინოდებს. როგორ ფიქრობ, რატომ?

— ვერ გეტყვი. ზოგადად, თითოეული ადამიანი არის ნოვატორი, გამომდინარე იქიდან, რომ განუმეორებელი გენეტიკური კოდი აქვს და სამყაროში მისი მსგავსი არავინაა. რაც შეეხება ნოვატორს პოეზიაში, აქ ყველაფერი ლექსის ხარისხამდე მიდის, ანუ, რამდენად ხარისხიანად ვწერ მე, პოეტი ზვიად რატიანი იმას, რასაც ვწერ. სწორედ ეს განაპირობებს სიახლეს და ზოგადად, მოძრაობას პოეზიაში. მე რე კიდევ, პოეზია ხომ თვითრეგულირებადი სუბსტანციაა, ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც თავად იგონებს რაღაცებს.

— რას გულისხმობ?

— როცა იგრძნობ, რომ ნოვატორია საჭირო, სწორედ მაშინ გამოიგონებს იმ ბაგეს თუ კალამს, რომელმაც ეს სიახლე უნდა მოიტანოს.

— ანუ, თავად ანესრიგებს პროცესებს?

— რასაკვირველია. ენა ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც თავისი წესები აქვს და რამდენიც უნდა ეცადო, მისი ბუნებისთვის მიუღებელს იძულებით ვერ მიაღებინებ.

— ენობრივი ძიებები თუ გიტაცებს?

— რა თქმა უნდა, როგორც პოეზიით სერიოზულად დაკავებულ ნებისმიერ ადამიანს, თუმცა ეს ყველაფერი თვითმიზნად არასდროს გამიხდია. ჩემი ენობრივი ძიებების ძირითადი არის სიმარტივესთან მიდის. მინდა, ნაწერი რაც შეიძლება სადა და გამჭვირვალე გამოვიდეს. გარკვეული თვალსაზრისით, მშრალიც კი. აზრი ბოლომდე იყოს ნათელი და სათქმელს ზუსტად გადმოსცემდეს.

— არადა, ბოლო დროს პროზაშიც და პოეზიაშიც ბუნდოვანების ტენდენცია მძლავრობს.

— ასეთი რამ ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია, ბუნდოვანებას ლიტ-

— შვილო, ჩვენ განა გაჩენიდან ასე ვიყავით! დედის მუცლიდან, აკვნიდანვე კი არ შეგვახმა მუშის თვალებით განწყობილი ცვილის ნილაბი; შენ ეს თვალები ოცი წლის წინ უნდა გენახა — ანთებულები სიამაყით, შავ-მწვანე დროშების ქარში, ბნელ ქუჩებში, როდესაც ქმენით ხმის ჩახლჩამდე გავყვიროდით: ენა, მამული, სარწმუნოება...“

(ნეგატივი. 20 წლის შემდეგ)

ამ სიტყვების ავტორი ზვიად რატიანია, ერთ-ერთი გამორჩეული პოეტი თანამედროვე ლიტერატურულ სივრცეში. მისი ლექსები კარგა ხანია შეიყვარა მკითხველმა და მიუხედავად იმისა, რომ სიახლეებით ხშირად არ გვანებებენ, მოუთმენლად ველით მისი ყოველი ახალი წიგნის დაბადებას.

რამდენიმე თვის წინ კიდევ ერთი კრებული გამოსცა, რომელშიც ავტორის ბოლო ოთხი წიგნი გაერთიანდა: „ბოლოსწინა ლექსები“ (2009), „ლია და ფარული მიძღვნები“ (2008), „გზები და დღეები“ (2005) და „ჯიბის ჰაერი“ (2000). აქედან პირველი ორი ციკლი ახალია, დანარჩენ ორს კი უკვე იცნობს მკითხველი. კრებულს „ნეგატივი“ ჰქვია და ნეგატივის, ანუ უკუღმა ხედვის პრინციპითაა დალაგებული. მან უკვე მიიპყრო ლიტერატურის კრიტიკოსთა ყურადღება და ვფიქრობთ, შესაბამის შეფასებასაც დაიმსახურებს, მანამდე კი თავად ავტორს მოვუსმინოთ.

ერატურულ ბოროტებას ვეძახი. შეიძლება ერთს გულისხმობდე და მკითხველმა სხვა რამ დაინახოს, მაგრამ ის, რომ მიზანმიმართულად დაამახინჯო სათქმელი, არ მესმის. ის კი არა, ვცდილობ ნაწერი მაქსიმალურად დაგვმინდო, რომ არ დარჩეს ზედმეტი შეკითხვა, არ იყოს ზედმეტი სიტყვები, ფრაზები და სახეები, თუნდაც, ლამაზი.

— არ შემიძლია არ გკითხო „ნეგატივის“ შესახებ. ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო ოპუსი შენს ბოლოდროინდელ ნაწარმოებში. ჩემთვის „ნეგატივი“ — ის თაობის პროტესტია, რომელმაც ის სამწინელი 20 წელი დამსხვრეული ოცნების კომპეტან ერთად საკუთარი მხრებით ზიდა. რა განწყობით დაინერა იგი?

— შეიძლება კითხვის დროს ეს ლექსი აღქმული იყოს, როგორც პროტესტი, მაგრამ წერისას ასეთი განწყობა ნამდვილად არ მქონდა. წინა პლანზე მწარე მოგონებები გადმოვიდოდა, რომელთაც სალექსო ფორმას ვაძლევდი. ეს ლექსი ერთგვარი ხარკია იმ სასტიკი წლების წინაშე, რომელიც მძიმე ტვირთად გვანებეს ყველას, ვინც ეს წლები გამოვიარეთ. მე ერთ-ერთი მათგანი ვიყავი, პატარა ბიჭი, რომელიც დროშას ამაყად ვაფრიალებდი და მიხაროდა, რომ ჩემი სუსტი ხელებით ბედნიერ საქართველოს ვაშენებდი. თუმცა ამას მოჰყვა უამრავი უბედურება, რომელიც დღემდე გრძელდება. ამ ლექსში კონკრეტულ გვაგებზე, კონკრეტულ ადამიანებზე ვწერ. ეს ყველაფერი ჩემთვის მძიმე გადასატანია. სხვათა შორის, იმ წლების მიმი დღემდე მომყვება, ზოგჯერ სიზმრის დონეზეც კი. მას შემდეგ ვუფრთხი ხალხმრავლობასაც. ეს არ არის პოზა ან თამაში, მართლა კონკრეტული შიშია, რადგან სხვების მსგავსად, იმ პერიოდში მეც თავზე დამემსხვრა იდეალები. ამიტომაც არის ჩემთვის „ნეგატივი“ არა პროტესტი, არა მანიფესტი, არამედ — ლირიკა. უფრო ზუსტად კი, სამოქალაქო ლირიკა. დროდადრო მაქვს პერიოდები, როდესაც ამ განწყობის ლექსებს ვწერ. ასეთი იყო „მამები“, „რეკვიემი ცოცხლებისათვის“, რომლებიც იმავე ტიპივლსა და გამოცდილებაზეა აგებული.

— ანუ, ერთი ჯაჭვის სხვადასხვა რგოლია?

— ალბათ ასეა. ეს ნაწარები მკითხველმა შეიძლება სამოქალაქო ან თუნდაც საპროტესტო ლირიკად მიიჩნიოს, ჩემთვის კი ისეთივე ლექსებია, როგორც ნებისმიერი სხვა.

— საინტერესოა ისიც, რომ ამდენი წლის შემდეგ თქვი სათქმელი.

— ეს ლექსი ძალიან დიდხანს და მრავალნაირად ინერებოდა. მასზე მუშაობა ჯერ კიდევ 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო, საბოლოოდ კი ასეთი სახე მიიღო. მე მგონი, ცუდი არ არის. ყოველ შემთხვევაში, ზუსტად ისეთი გამოვიდა, როგორც მინდოდა. ფიქრობ, „ნეგატივი“ ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს მივანღე, რაც იშვიათად ხდება.

— ამიტომაც ხომ არ ენოდა კრებულს ამ ლექსის სახელი?

— ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, თუმცა არა ერთადერთი. კრებულის სახელწოდება ბევრი თვალსაზრისითაა გამართლებული: „ნეგატივი“ უკუღმა ხედვას ნიშნავს, წიგნში კი თარიღები უკუღმა დალაგებული. ფოტოგრაფიაში ნეგატივი ფირების შეხახვას უკავშირდება, აქაც ძველი ლექსებია შემონახული. ერთი სიტყვით, ეს სიტყვა იძლევა საშუალებას, ქოთანს ყური ნებისმიერი მხრიდან შობა. უკეთესი შეფუთვა ვერ მოვიფიქრე.

— „არავითარი ნიჭი წინათგრძნობის — დამინდო ღმერთმა. მაგრამ, რათა ილბიანად მეგრძნო თავი, მომცა მეორე — წარსულის ნიჭი. წარსულის, სადაც გაუმდებელი რალაც იცვლება.“

წარსული შენს ნაწარებში აქტიურად ფიგურირებს. რატომ მაინცდამაინც ეს თემატიკა?

— ჩემს ლექსებში წარსული აქტიურად ფიგურირებს, რამდენადაც ძირითადად საკუთარ თავზე ვწერ, საკუთარ განცდებზე; ამბებზე, რომელიც თავად გადაამხდა, ადამიანებზე, რომლებიც ჩემს გარშემო ტრიალებენ. ჩემი პოეზია არ არის ორიენტირებული ზოგადსაკაცობრიო პრობლემებზე, მასშტაბურ მასალაზე. რასაკვირველია, ეს შეზღუდულობაა, რაც ძალიან არ მომწონს. მინდა გავარღვიო ეს წრე, ანუ, ვწერო ისე, რომ ყველა ლექსში მე არ ვიგულისხმებოდე. არადა, ყოველთვის ასე გამომდის. ამერიკულ პოეზიაში არსებობს ტერმინი — „ალარბითი პოეზია“, რომელიც ყველაზე ზუსტად მიესადაგება ჩემს შემოქმედებას. აქ იგულისხმება როგორც ცხოვრებითელი ბიოგრაფია, ასევე შემოქმედებითიც. როდესაც საკუთარ თავზე წერ, გრჩება მხოლოდ წარსული.

— ანმყოსა და მომავალში თავს ვერ ხედავ?

— მომავალი ჩემთვის მხოლოდ კეთილი სურვილებით შემოიფარგლება. ზოგადად, მეოცნებე არ ვარ და არც იმ ასაკში ვყოფილვარ, როცა, წესით, უნდა ვყოფილიყავი. ბავშვობას ვგულისხმობ.

— სევდასა და მელანქოლიაზე რას იტყვი? შენს ლექსებში ხშირად საოცარი სევდა იგრძნობა.

— ყოველთვის მინდოდა, ცოტა უფრო მსუბუქად მეწერა, მაგრამ გამოდიოდა ისე, რომ ირონიისა და ცინიზმის მცდელობების მიუხედავად, რისი გამოხატვაც კონკრეტულ ლექსში მინდოდა, საბოლოოდ სევდა რჩებოდა.

— ერთი პერიოდი აქტიურად იყავი დაკავებული თარგმანით. მკითხველს ახსოვს შენს მიერ გადმოქართულებული ცვლილი, ელიოტი, რილკე... ამჟამად თუ თარგმნი?

— ისეთი ინტენსივობით ვეღარ. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დრო ცოტა მაქვს და მიჩვევია საკუთარ შემოქმედებას მოვახმარო. ისე, მზად მაქვს ამერიკელი პოეტის, მარკ სტრენდის ლექსები. საკმაო მასალა დამიგროვდა, მაგრამ ჯერჯერობით გამოცემას ვერ ვახერხებ. დროდადრო წვრილ-წვრილ თარგმანებსაც ვაქვეყნებ, მაგრამ იმ სიხშირით არა, როგორც „არილის“ ხანაში.

— შენს პოეზიაში რა ხდება? ამ კრებულის შემდეგ შეისვენებ თუ კიდევ გვიმზადებ ამბებს?

— კრებულში შესული ახალი წიგნები სრული სახით არ არის წარმოდგენილი. „ბოლოსწინა ლექსებიც“ და „ლია და ფარული მიძღვნებიც“ გაცილებით მასშტაბურია. აქ მხოლოდ მცირე ნაწილი შევიდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ გამოცემით ჩემი ახალი წიგნი დავაანონსე. ბევრი ლექსი დამრჩა, განსაკუთრებით „ბოლოსწინა ლექსებიდან“, რომელთაც აუცილებლად გამოვაქვეყნებ.

— ანუ, გაგრძელება იქნება.

— აუცილებლად, ოღონდ დროა საჭირო. იდეები მანუხებს, თუმცა მათ ჯერ ამორფული სახე აქვს. ამ ეტაპზე გონებაში მხოლოდ ცარიელი ფორმებია, რომლებიც სიტყვებით უნდა შევავსო. შემდეგ კი იქნება გაგრძელება. სხვანაირად შეუძლებელიც არის, რადგან საბოლოოდ, ამ საქმიანობით ბედნიერი ვარ.

ესაუბრა ნანა კობაიძე



მთარგმნელი



ნინო დოლიძე:

„პარბად რომ თარგმნო, ავტორს პიროვნულ დონეზე უნდა გაუბო“

დიდი ხანი არ არის, რაც ქართული წიგნის ბაზარზე კიდევ ერთი ახალი თარგმანი გამოჩნდა. „მე ვნახე რამალა“ — ასე ეწოდება ცნობილი პალესტინელი პოეტის, მურიდ ალ-ბარლუთის პირველ პროზაულ ქმნილებას. მემუარები ახალგაზრდა არაბისტმა ნინო დოლიძემ თარგმნა. წიგნის ავტორი საკუთარ თავზე, დევნილობის ტკივილზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე გვიამბობს. გულწრფელად გადმოცემული განცდები, ავრესიისა და ბოღმისგან თავისუფალი ხედვა, თანაგრძნობით დანახული პალესტინა-ისრაელის უბედურება — ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მთელ ტრაგიკულ საოცარი სიმძაფრით განვკაცდევინებს და მედია საშუალებებით „შექმნილი“ აღმოსავლური სინამდვილის ნაცვლად, სულ სხვა რეალობას წარმოგვიდგენს.

თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილის ხსოვნას ეძღვნება. ბატონ ვახუშტისთან, მისი სიცოცხლის ბოლო წლებში, მხატვრული თარგმანის შემოქმედებით სახელოსნოში დადიოდა ნინო დოლიძე და სხვებთან ერთად მთარგმნელობითი საქმის კოტეტიშვილისეულ გამოცდილებასა და ცოდნას იზიარებდა.

— ქალბატონო ნინო, მარტინ ბოლოს კაიროში იმყოფებოდით და მონაწილეობა მიიღეთ საერთაშორისო კონფერენციაში „თარგმანი და ეპოქის გამოწვევა“. თქვენი მოხსენება „მე ვნახე რამალა“ ქართულ თარგმანს შეეხებოდა. ზოგადად, კონფერენციის თემატიკა მრავალფეროვანი იყო. როგორც ვიცით, ევკავტელებმა საკმაოდ მასშტაბური ღონისძიება გამართეს. მოკლედ მაიმბეთ კონფერენციის შესახებ...

— „თარგმანი და ეპოქის გამოწვევა“ — ევკავტის „თარგმანის ეროვნული ცენტრის“ მიერ ორგანიზებული პირველი საერთაშორისო კონფერენცია გახლდათ. ცენტრი 2008 წლამდე ევკავტის კულტურის სამინისტროს ბაზაზე, პროექტის სახით არსებობდა, შემდეგ კი დამოუკიდებელ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. მისი მიზანია ორიგინალი ენიდან არაბულ ენაზე თარგმანის ნახალობა. დაარსებიდან მოკლე დროში ცენტრმა ხუთასამდე წიგნის გამოცემა შეძლო. არაბულ ენაზე თარგმნება როგორც მხატვრული, ისე სამეცნიერო, საგანმანათლებლო, შემეცნებითი ხასიათის ლიტერატურა. თარგმანიან როგორც ევროპული ენებიდან, ასევე ინდურიდან, ჩინურიდან, სპარსულიდან, თურქულიდან... ბოლო დროს კი ენათა ამ ჩამონათვალს ბოსნიური, კორეული, ყაზახური, ეთიოპური და სხვ. შეემატა. კონფერენციაში ოთხმოცამდე უცხოელმა სპეციალისტმა, მეცნიერმა და მთარგმნელმა მიიღო მონაწილეობა. მონაწილეთა რაოდენობა ასორმოდდათა აღემატებოდა. ღონისძიება კაიროს ოპერის დიდ დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა. მისასალმებელი სიტყვა ევკავტის კულტურის მინისტრმა წარმოთქვა. მანვე „თარგმანის ეროვნული ცენტრის“ მიერ საგანგებოდ დანესებული რიფა'ა ატ-ტაჰტაჰის სახელობის პრემია, ასევე ევკავტური ფუნდის ოდენობით, რამდენიმე უცხოელ და არაბ მთარგმნელს გადასცა. ევკავტეში მთარგმნელობითი საქმის განვითარება სახელმწიფო ინტერესს წარმოადგენს, ამისთვის თანხებს არ იმუშრებენ.

— სახელმწიფოს მხრიდან გამორჩეული ყურადღება თარგმანის საქმეს რატომ ექცევა?

— სახელმწიფო დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტი წიგნი ითარგმნოს და გამოიცეს არაბულ ენაზე. ითვლება, რომ მთარგმნელობითი სკოლის დანერგვა თანამედროვე ევკავტური კულტურისა თუ ხელოვნების განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ამას ისტორიული გამოცდილებაც კარნახობს. საქმე ისაა, რომ ნაპოლეონის ექსპანსიის შემდეგ (ცნობილი რეფორმატორის — მუჰამედ ალის ეპოქაში), როცა ე.წ. „ევკავტური აღორძინება“ დაიწყო, ევკავტელი მოღვაწის — რიფა'ა ატ-ტაჰტაჰის ძალისხმევით გაჩაღებულმა მთარგმნელობითმა მუშაობამ, დიდად შეუწყო ხელი ქვეყნის განვითარებას და ევკავტე ევროპულ კულტურას აზიარა. მაშინ ათასობით წიგნი ითარგმნა არაბულ ენაზე. ასე რომ, თანამედროვე ევკავტის დაინტერესება არაბულენოვანი თარგმანებით, შემთხვევითი და უსაფუძვლო არაა. სახელმწიფო, ამასთან ერთად, მსოფლიოში არაბული ენისა და კულტურის პოპულარიზაციისთვისაც ზრუნავს.

— კონფერენციაზე მრავალფეროვანი თემატიკა იყო წარმოდგენილი — თარგმანი და გლობალიზაცია, თარგმანი და კულტურული იდენტობა, ტერმინოლოგიის თარგმანის საკითხები, მხატვრული თარგმანის პრობლემები და სხვა. სწორედ ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით მინდა ვკითხოთ — მხატვრული თარგმანის სფეროში, რა ძირითადი პრობლემები გამოიკვეთა? ასევე, მაინტერესებს, რამდენად ნაც-

ნობია ეს თემები ქართველი მთარგმნელებისთვის?

— კონფერენციაზე საუბარი შეეხო უშუალოდ მხატვრული თარგმანის პროცესთან (ენასთან, ევრსიფიკაციულ სისტემებთან) დაკავშირებულ კონკრეტულ პრობლემებს, ასევე არაბულიდან შესრულებულ მხატვრულ თარგმანებს და საერთოდ, ამა თუ იმ ქვეყანაში არაბულიდან თარგმანის ტრადიციას. გარდა ამისა, განიხილეთ იდენტობის ტექნიკური საკითხები, როგორცაა სხვადასხვა უცხო ენებზე სათარგმნი არაბული მასალის შერჩევა, სხვადასხვა ქვეყნებში არაბულიდან სათარგმნი ტექსტების გამოცემა, გავრცელება, მთარგმნელების სპეციალური პრემიების დანესება. თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში გარკვევას ართულებს ის ფაქტი, რომ ერთი მხრივ, არაბული სამყარო ათეულობით ქვეყანას მოიცავს, მეორე მხრივ, იქმნება დიდი რაოდენობით ლიტერატურული პროდუქცია და არ არსებობს წიგნების აგენტების სისტემა, რაც დაგვეხმარებოდა მათ აღწასახვასა და შეფასებაში. არაერთ ქვეყანაში (ბრიტანეთი, გერმანია, ესპანეთი...) არსებობს სპეციალური, მხოლოდ არაბულ ლიტერატურაზე ორიენტირებული გამომცემლობები, ასევე პერიოდიკა — „ბანიჰალი“, „ლისანი“ — რომელიც მხოლოდ თანამედროვე არაბული ლიტერატურის თარგმანებს აქვეყნებს. მათ მუშაობაში დიდ როლს ასრულებენ ევროპაში მცხოვრები არაბები.

— როგორც ვიცით, კონფერენციაზე აღინიშნა, თუ რამდენად დიდად მთარგმნელის როლი ამა თუ იმ ენის განახლების საქმეში. იქ ითქვა: „ჩვენ ვთარგმნით ტექსტს და არა ენას. კულტურას, მის უმნიშვნელოვანეს ნიშნებს ხომ სწორედ ტექსტი შეიცავს“. საინტერესოა, რა იგულისხმება ამ სიტყვებში და თქვენი, როგორც მთარგმნელის, გამოცდილება თუ „ეთანხმება“ ამ აზრს?

— რა თქმა უნდა, ვეთანხმები და ეს, უპირველესად, მხატვრულ ტექსტს ეხება. ტექსტი არის არამხოლოდ რაღაც ენაზე დანერგილი სიტყვები, არამედ კონკრეტული ენის მატარებელთა მსოფლალქმისა თუ ხედვის ამსახველია. ამიტომ, რომ თარგმანი ნებისმიერ ეპოქაში კულტურულ აღმავლობასა და პროგრესთან იყო დაკავშირებული. მთარგმნელი არა მხოლოდ ამდირებს საკუთარი ენის ნიალს, არამედ ის კულტურული პროცესის უშუალო მონაწილე გვევლინება. რაც არ უნდა დავინროვდეს მსოფლიო, ადამიანები უარს არ იტყვიან საკუთარი კულტურის ენაზე. თანამედროვე მსოფლიოში არსებობს გლობალური ენა და იდენტობის გამოხატველი ენები. იდენტობის ენაა სწორედ ის ენა, რომელიც საუკეთესოდ გამოხატავს და გადმოგვცემს კონკრეტული ერის ტკივილსა თუ სიხარულს. ასევე იდენტობის ენაზე თარგმნილი ნაწარმოები ალიქმება ყოველთვის უფრო სრულფასოვნად, ვიდრე სხვა შუალედურ ენაზე ნაკითხული. დღეს, როდესაც მსოფლიო ისე დაჰატარავდა, რომ უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებისას ვერც კი ვგრძნობთ მანძილს სხვადასხვა შორეულ ქვეყნებსა და ადამიანებს შორის, არსებობს პრობლემა, რომელსაც მხატვრული თარგმანის გარდა ვერაფერი მოაგვარებს. ამის საილუსტრაციოდ მურიდ ალ-ბარლუთის ცნობილი მემუარები „მე ვნახე რამალა“ შეიძლება გამოდგეს. ეს უპრეტენზიო წიგნი, მხატვრულ-დოკუმენტური პროზა, რომელიც თანამედროვე არაბული სამყაროს უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე და ერთ-ერთი პოეტის ცხოვრებასა და განცდებზე მოგვითხრობს, გაცილებით მეტისმეტყველია, ვიდრე ყველა თანამედროვე მედია საშუალებით გადაცემული ინფორმაცია, ერთად აღებული. ასეთ შემთხვევებში მხატვრულ თარგმანს, როგორც სხვა ტერიტორიაზე, დედამიწის სხვა კუთხეში მიმდინარე პროცესების შესახებ უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის შემცველ საშუალებას, ვერაფერი ჩანაცვლებს, რადგან ეს

„ინფორმაცია“ ისტორიულ ფაქტებსა და პოლიტიკურ მოვლენებს კი არ ეყრდნობა, არამედ ადამიანურ ტკივილსა და განცდებს. მოგეხსენებათ, პირადულ გამოცდილებაზე დაყრდნობილი ლიტერატურა ამსხრავს სტერეოტიპებს. ამიტომ, რომ ამ წიგნის გამოსვლის და სხვა ენებზე გადათარგმნის შემდეგ, ბევრმა ევროპელმა მკითხველმა შეიცვალა აზრი პალესტინის კონფლიქტთან დაკავშირებით. ჩვენც სტერეოტიპები ბატონობის პირობებში გვინებს ცხოვრება. ერთ-ერთი ასეთი გაბატონებული შეხედულება, პალესტინელ არაბს მხოლოდ ტერორისტს ან ნერაკითხვის უცოდინარს უკავშირებს.

— მხატვრული თარგმანის შემოქმედებით სახელოსნოში დადიოდით. ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილი საკუთარ გამოცდილებას გიზიარებდათ... რა არის ის ძირითადი, რაც მისგან ისწავლეთ? რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ მხატვრული თარგმანი სრულყოფილად შესრულდეს?

— ერთი შეხედვით, მხატვრული თარგმანის სწავლა ან სწავლება შეუძლებელიცაა. რა თქმა უნდა, არის ტექნიკური მხარე, გართიმების სქემები, სარიტმო სიტყვების სემანტიკა... შეიძლება საუბარი სტილზე, ინტონაციაზე, მელოდიკაზე, მაგრამ საბოლოო ჯამში ის, თუ როგორ თარგმნი (განსაკუთრებით პოეზიას), ნშირად ქვეცნობიერ დონეზე რჩება და თვითონ მთარგმნელმაც არ იცის. ბატონი ვახუშტის შემოქმედებითი სახელოსნო იმით გამოირჩეოდა, რომ ეს იყო არა მხატვრული თარგმანის თეორიული კურსი, რომელიც უნივერსიტეტში იკითხება როგორც დასავლეთ ევროპის, ისე აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულთაზე, არამედ უშუალოდ მის მიერ დაგროვილი გამოცდილების ჩვენთვის გაზიარება. გამოცდილება კი, როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური პოეზიის თარგმნისა, მას საკმაოდ დიდი ჰქონდა და ის, როგორც თავად ამბობდა, „ტანჯვისა და წვალების“ ათეულობით წელიწადს მოიცავდა. ამ „სასიამოვნო წვალებისთვის“ კი არ არის საკმარისი მხოლოდ უცხო ენის ცოდნა, აუცილებელია სათარგმნი ტექსტის სწორი აღქმა და გააზრება, ნაგულსხმევი ქვეტექსტის ნაკითხვა და ამ ნაგულსხმევის თარგმანში გადმოტანა. მთარგმნელი უნდა იცნობდეს იმ კულტურას, რომელსაც მიეკუთვნება სათარგმნი ნაწარმოები. საჭიროა აგრეთვე ერთგვარი პოეტური ალლო, ზნეობა და კეთილსინდისიერება.

— „მე ვნახე რამალა“ თქვენი პირველი თარგმანი არ არის. თანამედროვე აღმოსავლური ლიტერატურის ნიმუშებს დროდადრო ქართულ პერიოდულ გამოცემებში აქვეყნებთ ხოლმე. საინტერესოა, რა მოტივით იწყებთ ამა თუ იმ ნაწარმოების თარგმნას?

— აზრი, რომ რაღაც თარგმნო, დაკავშირებულია სურვილთან, შენ მიერ ნაკითხული სხვასაც გაუზიარო. მოგეხსენებათ, ჩვენთან, მთარგმნელის შრომას არავითარი მატერიალური საზღაური არ მოსდევს. ამიტომ, თუ ნაწარმოები მართლა არ მოგეწონა, მის მიმართ არ განეწყვე, ამხელა შრომის განევა სრული მაზოხიზმი გამოდის. სხვისთვის აზრის გაზიარება ყველაზე მნიშვნელოვანია მთარგმნელისათვის. და რაკი ასეა, წარმოიდგინეთ, როგორი მაღლობები ვარ მათი, ვინც დრო გამოხაზა და მაშინ, როცა ადამიანი წიგნის კითხვას საერთოდ ვეღარ ასწრებს, სწორედ ეს თარგმანი ნაიკითხა.

— მურიდ ალ-ბარლუთის მანამდე შეხვედით, სანამ მის შემოქმედებას გაეცნობოდი. მისი მემუარების ნაკითხვის სურვილიც, ალბათ, ამ შეხვედრის შემდეგ გაგინდათ. რატომ მოგეწონათ ეს წიგნი?

— მურიდ ალ-ბარლუთის, პირველად, 2006 წელს ბეირუთში, სამეცნიერო ფორუმზე ყოფნისას შევხვდი. ღონისძიებას ბეირუთის ამერიკის უნივერსიტეტი მართავდა. პალესტინელ ავტორთან შეხვე-

დრაც, ფორუმის ფარგლებში მოხდა. შეკითხვები „მე ვნახე რამალასთან“ დაკავშირებით დაუსვეს. ნაწარმოებში სწორედ მაშინ დაინტერესდი. წიგნი მომეწონა იმიტომ, რომ იქ ადამიანური განცდა, ემოციები წინა პლანზე დგას. ასეთ დროს, გადაჭარბებული სენტიმენტალიზმის „სამიშროება“ ყოველთვის არსებობს, თუმცა ალ-ბარლუთი საფრთხეს ოსტატურად იცილებს თავიდან. ის ძალიან გულწრფელია. პოზა, რომელიც დამახასიათებელია საკუთარ თავზე მთხრობელი ადამიანისათვის, მინიმუმადეა დაყვანილი ნაწარმოებში. მომეწონა ის, რომ სამშობლო-დაკარგული პალესტინელი პოეტი აგრესიული და ბრახისგან გონდაკარგული სულაც არ არის. ის არამხოლოდ იმპერი-ალისტი დამპყრობლებისგან მიყენებულ ზარალზე საუბრობს, არამედ საკუთარი ხალხის ნაკლსაც კარგად ხედავს. „მე ვნახე რამალა“ კიდევ იმიტომ მომეწონა, რომ მასში ცხოვრებისეული გამოცდილება უშუალოდ და პოეტურადაა ასახული. ალ-ბარლუთი პირველ რიგში პოეტი და ეს მისი პროზიდანაც კარგად ჩანს. ისე მოხდა, რომ უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე ალ-ბარლუთის საყვარელ ნორმალური და ანომალური მოვლენები ერთმანეთს გადაეჯაჭვა. ხალხს უნევეს თავისი ყოველდღიური ცხოვრება ისტორიული ექსტრემიზმის, ომების, ემიგრაციის, ზენოლისა და უსამართლობის პირობებში გაატაროს. მაგალითად, ერთ-ერთი პარადაქსი ხუთ მილიონამდე ლტოლვილი ქვეყნული პალესტინელისთვის არის ის, რომ დაბომბვა, პალესტინური ოჯახის გამთლიანებასთან, მისი ყველა წევრის თავმოყრასთან შედარებით, ნაკლებმნიშვნელოვან სიახლედ აღიქმება. ალ-ბარლუთი ამბობს: „ცხოვრება არასოდეს იქნება იოლი. გამარტივება და გაუბრალოება, ყოველთვის იქნება ჩემი, როგორც პოეტის, მტერი“.

— თარგმანის გამოსვლის შემდეგ, არაერთმა ადამიანმა პარალელური ქართულ სინამდვილესთან გაავლო. ვიცი, რომ ქართველი დევნილები გამოგებამაურნენ — ასე გვგონია, წიგნი ჩვენზეა დაწერილი...


— წიგნის შესახებ საინტერესო რეცენზიები გამოაქვეყნეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა, ასევე ბატონმა როსტომ ჩხეიძემ. პარალელურად მეც ვფიქრობდი, თუმცა თარგმნის მოტივაცია ეს არ ყოფილა. წიგნი საუბარია ემოციაზე, დევნილობას რომ სდევს; გაუცხოების პრობლემა კი, წების-მიერი ეთნიკური წარმომავლობის დევნილების სრულიად ადექვატურია... მაგალითად, წიგნში ალ-ბარლუთი წერს: „ადგილები, რომლებიც ჩვენს სურვილებშია, დროა, მაგრამ მთავარი კონფლიქტი ხომ ადგილებს ეხება. ისინი ხელს გიშლიან იმაში, რომ გქონდეს ეს ადგილები და მამასადამე, მათთან ერთად მიაქვთ შენი ცხოვრების ნაწილიც“. სწორედ ეს განცდა უწნდებათ ჩვენს დევნილებსაც. მათთვის აფხაზეთი არის დრო, რომელიც იქ გაატარეს.

— ქართველ მკითხველს თანამედროვე აღმოსავლური ლიტერატურის ნიმუშებს, ალბათ, კვლავაც შესთავაზებთ...

— ალბათ ასე იქნება, რადგან აღმოსავლეთთან ბევრი რამ გვაკავშირებს. ვფიქრობ, ქართველ მკითხველს კარგად ესმის აღმოსავლური ლიტერატურა. ზოგ შემთხვევაში ქართველ მთარგმნელებსაც უკეთ ესმით აღმოსავლელი მწერლებისა, ხალხისა, ვიდრე ვთქვით, რუსებს ან დასავლეთ ევროპელებს. იმისათვის, რომ კარგად თარგმნო, ავტორს პიროვნულ დონეზე უნდა გაუგო. შეუძლებელია, თან ზემოდან უყურებდე და თან თარგმნიდე მას.

ესაუბრა თამარ ჟურული





ჩემი დღევანდელი თემა ბუდიზმი. მე

მოგიტოხრობთ მის ხანგრძლივ თავგადასავალს, ორი ათას ხუთასი წლის წინ რომ დაიწყო ბენარესში, როცა მომავალ ბუდად შობილმა ნეპალელმა უფლისწულმა სიდჰართამამ თუ გაუტამამ ამოდრავა დჰარმის ბორბალი, ჩამოაყალიბა ოთხი კეთილშობილური ჭეშმარიტება და დასახა რვაჯერადი გზა. მოგიტოხრობთ იმას, რაც მთავარია მსოფლიო რელიგიათა შორის ამ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ რელიგიაში. ბუდიზმის პირველსაწყისი უცვლელად არსებობენ ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნიდან მოყოლებული დღევანდელ დღემდე, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პერაკლიტეს, პითაგორასა და ძენონის დროიდან მოყოლებული იმ მომენტამდე, როცა იაპონიაში დოქტორმა სუტჰუკიმ განმარტა მისი საფუძვლები, რომლებსაც დღემდე ცვლილებები არ განუცდიათ. ეს რელიგია შეიცავს მითოლოგიას, ასტროლოგიას, ნასესხებ სარწმუნოებებს, მაგიას, მაგრამ ჩემს წინაშე მდგარი პრობლემის სირთულის გამო შემოვიფარგლები მხოლოდ იმაზე საუბრით, რაც საერთოა ბუდიზმის სხვადასხვა სექტებისათვის, რომლებიც შეიძლება გავაერთიანოთ ჰინაიანად, ანუ „პატარა ეტლად“.

უწინარეს ყოვლისა, განვიხილოთ ბუდიზმის სიცოცხლისუნარიანობის საკითხი, რასაც შეიძლება ისტორიული ახსნა-განმარტებანი მოეძებნოს, მაგრამ ყველა ეს განმარტება შემთხვევითი, ან, თუ გნებავთ, სადავო და საჭოჭმანო იქნება. პირველი ბუდიზმის რელიგიურ შემწყნარებლობაში მდგომარეობს. ეს უჩვეულო შემწყნარებლობა გარკვეული ეპოქებით როდია შემოფარგლული: სხვა რელიგიებისგან განსხვავებით, ბუდიზმი ყოველთვის გამოირჩეოდა შემწყნარებლობით.

ბუდიზმს არასდროს მიუშვრთავს ცეცხლისა და მახვილისათვის, არასოდეს უფიქრია, თითქოს ცეცხლითა და მახვილით შეიძლებოდა რწმენის ჩანერგვა. როცა ამოკამ, ინდოეთის მბრძანებელმა, ბუდიზმი მიიღო, არასოდეს უცდია ახალი რელიგიის ძალით დანერგვა. ნამდვილ ბუდიზმს თავისუფლად შეუძლია გახდეს ლუთერანელი, მეთოდისტი, პრესბიტერიანელი, კალვინისტი, სინტიოსტი; შეუძლია აღიარებდეს კათოლიციზმს, დაოსიზმს; იზიარებდეს მაჰმადიანურ თუ იუდეურ სარწმუნოებას. და პირიქით, ქრისტიანს, იუდეველს, მუსულმანს ეკრძალება ბუდიზმის აღიარება.

ბუდიზმის რელიგიური შემწყნარებლობა მისი სისუსტე კი არა, მისი ოდინდელი თავისებურებაა. ბუდიზმი, უწინარეს ყოვლისა, იყო ის, რასაც ჩვენ იოგას ვუწოდებთ. რას ნიშნავს სიტყვა „იოგა“? ის წარმოსდგება ლათინური „jugo“-დან. „ჯუგო“ დისციპლინაა, რომელსაც ექვემდებარება ადამიანი.

და მერე, თუკი ვეცდებით გავიგოთ,

\* jugo ნიშნავს „შეკვრას“, „მიკვრას“, „მბზას“; jugum — „ულელს“ (მთარგმნ).

რას ასწავლიდა ბუდა თავისი პირველი ქადაგებით ბენარესის „ირმის ბაღში“ ორი ათასი წლის წინათ, ჩვენ ვავიგებთ ბუდიზმს. მაგრამ აქ საქმე გაგებას კი არ ეხება, არამედ იმას, რომ ღრმად, სულით და ხორცილად ჩვენ ვეცდებით მის არსს. თუმცა ბუდიზმი არც სხეულის რეალობას აღიარებს და არც სულისას. მოგვიანებით ვეცდებით აგისნათ ეს.

მაგრამ არის ერთი მიზეზიც. ბუდიზმი ძალზე მომთხროვნი რწმენის მიმართ. ეს ბუნებრივია, რადგანაც ყველა რელიგია რწმენის გამოვლენაა. არაერთხელ მიკითხავს ჩემი თავისთვის: რას ნიშნავს იყო არგენტინელი? იყო არგენტინელი — ნიშნავს გრძნობდეს, რომ არგენტინელი ხარ. რას ნიშნავს იყო ბუდიზმი? იყო ბუდიზმი — არ ნიშნავს გესმოდეს

ხორხე ლუის ბორხესი

ბუდიზმი

ბუდიზმი, რადგანაც გაგება ორიოდ წუთის საქმეა; იყო ბუდიზმი, ნიშნავს გრძნობდეს ოთხ კეთილშობილურ ჭეშმარიტებას და რვაჯერად გზას. ჩვენ არ ჩავუღრმავდებით რვაჯერად გზის წვრილმანებს, რადგანაც ეს რიცხვი დაყოფისა და ქვედაყოფის ინდუსტრიული ტრადიციისაგან იღებს დასაბამს, და ჩავუღრმავდებით ოთხ კეთილშობილურ ჭეშმარიტებას.

მათ გარდა, არსებობს ლეგენდაც ბუდაზე. ჩვენ შეგვიძლია ეჭვის თვალთ ვუყურებდეთ ამ ლეგენდას. მე მყავს იაპონელი მეგობარი, ძენ-ბუდიზტი, რომელსაც დიდხანს და მეგობრულად ვეპაექრები ხოლმე. ერთხელ როგორღაც ვუთხარი, ბუდას ისტორიული რეალურობა მნამს-მეთქი. დიახ, მნამდა და მნამს, რომ ორი ათას ხუთასი წლის წინათ ცხოვრობდა ნეპალელი უფლისწული სიდჰართამა (ანუ გაუტამა), რომელიც გახდა ბუდა, რაც ფიზიკურად, გაბრწყინებულს, გასხივოსნებულს, ჩვენგან განსხვავებულს ნიშნავს; დიახ — ჩვენგან, რომელიც გვიჩნავს და ძილში ვხედავთ ამ გრძელ სიზმარს — ჩვენსაც ცხოვრებას. მახსენდება ჯოისის ფრაზა: „ისტორია კომპარული სიზმარია, საიდანაც გინდა მალე გამოფხიზლდე“. ოცდაათი წლის სიდჰართამამ გაიღვიძა და ბუდა გახდა.

მე ვეკამათებოდი ამ ჩემს მეგობარ ბუდიზტს (დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რომ ქრისტიანი ვარ, მაგრამ გადაჭრით კი შემოიძლია ვთქვა, რომ ბუდიზტი არა ვარ) და ვეუბნებოდი: „რატომ არ უნდა გვწამდეს უფლისწული სიდჰართამა, კაპილოვასტში რომ დაიბადა ქრისტეს შობამდე ხუთასი წლის ადრე?“ ის კი პასუხად მეუბნებოდა: „იმიტომ, რომ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია გვწამდეს მოძღვრება“. მან დასძინა, ვფიქრობ, უფრო ინტელექტურად, ვიდრე გაცნობიერებულად, რომ გვწამდეს ან განიტყვებდეს ბუდას ისტორიული რეალობა, — იგივეა, რაც მათემატიკის შესწავლის გაიგივება პითაგორასა თუ ნიუტონის ბიოგრაფიასთან. ჩინური თუ იაპონური მონასტრის ბერ-მონაზონთა მედიტაციის ერთ-ერთი თემა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საეჭვოდ მიგაჩნდეს ბუდას არსებობა. ესაა ერთ-ერთი იმ ეჭვთაგანი, რომელთაც უნდა შეაგონებდეს საკუთარ თავს ჭეშმარიტების სანვდომად.

სხვა რელიგიები უფრო მეტ ნდობას მოითხოვენ. თუ ქრისტიანები ვართ, ჭეშმარიტებად უნდა მიგვაჩნდეს, რომ ღვთის ერთ-ერთი ჰიპოსტასი ადამიანის იერამდე დაეშვა და იუდეაში მონათლულ იქნა. თუ მუსულმანები ვართ, ჭეშმარიტებად უნდა ვრაცხედეთ, რომ არ არის ღმერთი, გარდა ალაჰისა, და მუჰამედი წინასწარმეტყველია მისი. მაგრამ ჩვენ შეიძლება

ჭეშმარიტი ბუდიზტი ვიყოთ და ბუდას არსებობას კი უარყოფდეთ: ასე ვთქვათ, შეგვიძლია ვფიქრობდეთ, რომ მისი რეალურობის რწმენა არსებითი როდია, — არსებითია, მოძღვრება გნამდეს. ჭეშმარიტად, ლეგენდა ბუდაზე იმდენად მშვენიერია, რომ მე აუცილებლად მოგიტოხრობთ მას.

ფრანგები ძალზე გულმოდგინედ სწავლობენ ბუდას ლეგენდას. მისი დასკვნა ასეთია: ბუდას ცხოვრება ამბების მთელი რიგია, ხანმოკლე დროის მანძილზე რომ გადახდა ერთ, ერთადერთ კაცს. ეს ამბები შეიძლება ასეთივე ყოფილიყო და ისეთიც. ბუდას ლეგენდა აღაფრთოვანებდა და კვლავაც აღაფრთოვანებს მილიონობით ადამიანს. სწორედ ამ ლეგენდითაა შთაგონებული ამდენი მშვენიერი სურათი, სკულპტურა, პოემა.

ბუდას ლეგენდა განმანათლებლური ხასიათისაა. ის არ მოითხოვს რწმენას. იაპონელები ამტკიცებენ, რომ ბუდა ისტორიული როდია. ისტორიულია მოძღვრება. ლეგენდა ცაში იწყება, სადაც ცხოვრობს არსება, რომელიც საუკუნეების, სიტყვა-სიტყვით, უსასრულო ასწლეულების მანძილზე აგროვებს სიქველეს და სათნოებას, ვიდრე არ გაიცნობიერებს, რომ თავისი უახლოესი გარდასხეულები-

სას ბუდად იქცევა.

ეს არსება ირჩევს კონტინენტს, სადაც განსხეულებისას უნდა დაიბადოს. ბუდიზტი კოსმოგონის მიხედვით, სამყარო ოთხ სამკუთხა კონტინენტად და ნანევრებულად; ცენტრში ოქროს მწვერვალი — მერუს მთა მდებარეობს. ზეციური არსება იმ კონტინენტზე იბადება, რომელსაც შეესაბამება ინდოეთი. ის ირჩევს თავისი შობის საუკუნეს და ირჩევს დედას. ახლა კი — ლეგენდის მიხედვით ნაწილი. დედამინაზე ცხოვრობს დედოფალი — სახელად „მაია“. მაია „ილუზიას“ ნიშნავს. დედოფალი ხედავს სიზმარს, რომელიც ჩვენ უჩვეულოდ გვეჩვენება, მაგრამ სავსებით ჩვეულებრივია ინდოელებსთვის.

ერთხელ დედოფალი, მეფე შუდჰოდანას მეუღლე სიზმარს ნახულობს: ექვსეშვიანი თეთრი სპილო, ოქროს მთის კალთებზე მოხეტიალე, უმტიკინეულოდ შევიდა მის ფერდში. დედოფალი იღვიძებს; მეფე თავის ასტროლოგებს უხმობს, რომლებიც უხსნიან, რომ დედოფალი შობს ძეს, რომელიც ან სამყაროს მბრძანებელი იქნება, ანდა ბუდა — ფიზიკური, ნათელმოსილი, რომლის მისიაც კაცთა მოდგმის ხსნაა. მეფე პირველ ხვედრს ირჩევს: მას სურს შვილი სამყაროს მბრძანებლად იხილოს.

მიუზბრუნდეთ ექვსეშვიან თეთრ სპილოს. ოლდენბერგის შენიშვნით, ინდოეთში სპილო შინაური და ჩვეულებრივი ცხოველია. უნდა გვახსოვდეს (ზოგჯერ სასარგებლოა მივხრთოთ ისტორიას), რომ რიცხვი ექვსი — ჩვენთვის თვითნებური და უხერხული რიცხვი (აკი სამს ან შვიდს ვამჯობინებთ), ინდოეთში სულ სხვაგვარად აღიქმება, რადგანაც იქ მიაჩნიათ, რომ არსებობს სივრცის ექვსი მიმართულება: ზევით, ქვევით, წინ უკან, მარჯვნივ, მარცხნივ. ექვსეშვიანი სპილო ინდოელებსათვის უცნაურობა როდია.

მეფე ქურუმ-ბრაჰმანებს მოუხმობს და დედოფალი უმტიკინეულოდ მშობიარობს. მელოგინის შესწავლენად ბოდჰის წმინდა ხე დაბლა ხრის თავის ტოტებს. ქუდბედიანი ყრმა დაბადებისთანავე ოთხ ნაბიჯს გადადგამს: ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით, დასავლეთით, და, თანაც, ლომივით ბუხუნებს: „მე ვარ უებრო, ეს ჩემი ბოლო განსხეულებაა“. ინდოელებს სწამთ ადრინდელ გარდასხეულებათა ურიცხვი სიმრავლე. უფლისწული იზრდება: აი, ის უკვე მოისარია, უებრო მხედარი, უებრო მოცურავე, სწორუპოვარი ათლეტი, უბადლო კალთგრაფი და ბრძენთა შორის სწორუპოვარი (აქ ჩვენ შეიძლება გავიხსენოთ ქრისტეს და მწიგნობართა ამბავი). თექვსმეტი წლისა ქორწინდება.

მამამ იცის (ასტროლოგებმა აუწყეს), რომ მის ვაჟს საფრთხე ემუქრება: შეიძლე-

ბა ბუდად — ადამიანად იქცეს, რომელიც იხსნის კაცთა მოდგმას, თუკი ოთხ რამეს შეიცნობს: სიბერეს, სნეულებას, სიკვდილს და ასკეტიზმს. მამა სასახლეში გამოამწყვდევს და მთელ ჰარემს ჩუქნის თავის ძეს; ქალების რიცხვს არ დავასახელებ, რადგანაც ის განპირობებულია მეტიმეტობისაკენ სწრაფვით, რაც ესოდენ ნიშნულია ინდოელებისათვის. თუმცა რატომაც არ უნდა ვთქვა: ოთხმოცდაოთხი ათასზე მეტი იყვნენ.

უფლისწული ბედნიერად ცხოვრობს. მან არ იცის, რომ ქვეყნად არსებობს ტანჯვა, რადგანაც უმაღლეს სიბერეს, სნეულებას და სიკვდილს. დანიშნულ დღეს თავისი საზეიმო ეტლით სასახლის ოთხი სწორკუთხა კარიბჭიდან ერთ-ერთი ბჭით გამოდის. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ უცნაურ არსებას ხედავს, ყველასაგან განსხვავებულს, ვინც კი მანამდე უნახავს: მობლუნკულს, დანაოჭებულს და თმაგაცვენილს, რის ვაივავლახით რომ მილასლასებს, ჯოხს დაყრდნობილი. უფლისწული კითხულობს: ვინაა ეს უბედური: ადამიანს კი ჩამოჰგავს, მაგრამ მართლა ადამიანია? მეეტლე პასუხობს: ეს ბერიკაცია; ყველანი მას დავემგვანებით, თუკი სიბერეს მივაღწევთ.

შემცბარი უფლისწული სასახლეში ბრუნდება. ექვსი დღის შემდეგ სამხრეთის ბჭით ხელახლა გადის სასახლიდან. გალავანთან კიდევ უფრო უცნაურ არსებას — კეთრისგან სახედრისაგან რებულ და სისხლდარეტილ კაცს ხედავს. კითხულობს, ვინაა ეს კაცი, თუკი შეიძლება ამას კაცი ეწოდოსო. — ავადმყოფო, — მიუგებს მეეტლე, — ყველანი ამას დავემგვანებით, თუკი სული შეგვრჩაო.

შემფოთებული უფლისწული კვლავ სასახლეში ბრუნდება. ექვსი დღის შემდეგ ისევ გამოდის სასახლიდან და ხედავს ადამიანს, რომელიც ცოცხალი გეგონებოდათ, კანის ფერს სიცოცხლის ნიშანყალი რომ შერჩენოდა. — ვინ არისო, — კითხულობს უფლისწული. — მკვდარიო, — მიუგებს მეეტლე. — ყველანი მას დავემგვანებით, თუკი კარგა ხანს ვიცოცხლებთ.

უფლისწულს სასონარკვეთა იპყრობს. მის წინაშე სამი გამოგნებული ჭეშმარიტება გაიხსნა: ჭეშმარიტება სიბერისა, ჭეშმარიტება სნეულებისა, ჭეშმარიტება სიკვდილისა. შემოხეჯვრაც გამოდის. ხედავს ნახევრად მოშველ კაცს, სახეზე სიმშვიდე რომ გადაჰყვანია. კითხულობს, ვინ არისო. პასუხად ესმის: ეს ასკეტია, რომელმაც უარყო ყველაფერი და მიაღწია ნათელმოსილებას.

ამნაირი სულიერი ცხოვრება უფლისწულს გადააწყვეტინებს ყველაფერს ზურგი აქციოს. ბუდიზტი მოძღვრების თანახმად, ასკეტიზმი ნათელმოსილების მიღწევის ერთ-ერთი გზაა, მაგრამ ჯერ სიცოცხლის სიტკბოება უნდა იგემო. არ შეიძლება ყველაფრის უარყოფით დაიწყო. აუცილებელია ბოლომდე დატოლო სიცოცხლის ფილა, და მხოლოდ შემდეგ აიყარო გული ამ ცხოვრებაზე. მაგრამ ცნობით კი უნდა იცნობდეს მას.

უფლისწული გადაწყვეტს ბუდას გახდეს. მაგრამ სწორედ ამ დროს ახარებენ: შენმა ცოლმა ვაჟი შობაო. უფლისწული ნამოიხახებს: „ჯაჭვი მომდესო“, რაც იმას ნიშნავს, რომ შვილი სიცოცხლეს აჯაჭვავს. ამიტომ ახალშობილს „ჯაჭვს“ არქმევენ სახელად. სიდჰართამა თავის ჰარემში შედის. ხედავს სიცოცხლით სავსე მშვენიერ ქალებს, მაგრამ მახინჯ და კეთროვან დაედარება აღიქვამს მათ. მერე სანთობოს მიაშურებს. ქალს სძინავს. ხელში პატარა უჭირავს. უფლისწული კოცნას უპირებს, მაგრამ იცის, რომ თუ აკოცა, ნასვლას ვედარ შეძლებს, და მიდის.

მოძღვრებს დაეძებს. აქ იწყება ბიოგრაფიის ის ნაწილი, რომელიც შეიძლება არც იყოს ლეგენდარული. რად უნდა ვსახავდეთ იმით შეგირდად, ვისაც ის შემდეგ მიატოვებს? მოძღვრები ასკეტიზმს ასწავლიან, რაშიც კარგა ხანს ინაფასებს თავს. ბოლოს და ბოლოს, ტრიალ მინდორში ტოვებენ. მისი სხეული უძრავია, და ღვთაებებს, ოცდაცამეტი ზეციდან რომ დასცქერიან, ჰგონიათ უკვე მოკვდაო. მაგრამ ერთ-ერთი მათგანი, ყველაზე ბრძენი, ამბობს: „არა, კი არ მომკვდარა, არამედ ბუდად იქცევაო“. უფლისწული იღვიძებს და იქვე, მახლობლად მოიხჩხუნებ



წყაროს მიაშურებს. წყურვილს მოიკლავს და წმინდა ბოდვის — ცოდნის ხის ქვეშ მოიკალათებს.

ამას მოსდევს სასწაულებრივი გადახვევა, ეშმაკთან ბრძოლის სახარებისეულ სიუჟეტს რომ ეხმარება. ეშმაკს მარაჰ ჰქვია. ეს სიტყვა იმის ლამაზი ეშმაკი — "nightmare"-ის სახელია. ეშმაკი გრძნობს, რომ მბრძანებლობს ქვეყნად, მაგრამ ან უკვე საფრთხე ემუქრება, და ის თავის სასახლეს ტოვებს. განყდა მისი საკრავის სიმები, სურათი კი წყალი ამოშრა. ის საჩქაროდ კრებს თავის ლაშქარს, კაზმავს სპილოს, რომელიც, ღმერთმა უწყის, რამდენი უტყევანის სიმაღლისაა, ამრავლებს როგორც თავისი ხელების, ისე საჭურვლის რიცხვსაც, და უფლისწულის წინააღმდეგ საომრად მიდის.

სალამობანს უფლისწული ცოდნის ხის ქვეშ ზის, მასთან ერთად რომ მოვლენია ქვეყნიერებას. ეშმაკი მთელი თავისი ლამაზობით, ლომების, ვეფხების, სპილოებისა და აქლემებისაგან რომ შედგება, უფლისწულს სეტყვასავით აყრის ისრებს; მაგრამ როგორც კი უახლოვდებიან სამიზნეს, ისრები ყვავილებად იქცევიან. ბუდას ცეცხლის ზევი ატყვდება თავს, მაგრამ ის მის ზემოთ ლაპლაპა გავალაქს ქმნის. გულხელდაკრეფილი და უძრავად მჯდომარე უფლისწული ჭერებში ინთქმება. შესაძლოა, ვერც ამჩნევს, რომ თავს ეხსმანს. გახვევითი სიცოცხლის არსზე ფიქრობს. და, ამრიგად, უახლოვდება ნირვანას — ხსნას. მზის ჩასვლისას ეშმაკი უკვე ძლეულია. კონტემპლაციის გრძელი ღამე კი კვლავაც გრძელდება. განთიადისას სიდჰარათჰა უკვე სიდჰარათჰა კი აღარაა, არამედ — ბუდა. მან მიაღწია ნირვანას.

ის გადანყვეტს იქადაგოს თავისი მოძღვრება და ფეხზე დგება. მან უკვე იხსნა თავისი თავი, ახლა კი სხვებიც უნდა იხსნას. თავდაპირველად ბენარესში, „ირმის ბაღში“ ქადაგებს; ამას მოსდევს მეორე ქადაგება, სადაც ბუდა ამბობს, რომ ყველაფერი ცეცხლის ალშია გახვეული: სხეულიც, სულიც, საგნებიც — ყველაფერი იწვის. დაახლოებით ამავე დროს ჰერაკლიტე ეფესელი ამბობს, რომ ცეცხლია ყველაფერი.

ბუდას მოძღვრება ასკეტიზმი როდია, რადგანაც ასკეტიზმი, მისი აზრით, შეცდომაა. ადამიანმა ხელი როდი უნდა აიღოს ხორციელ ცხოვრებაზე, — იმის გამო, რომ ხორციელი ცხოვრება მდაბალია, არაკეთილშობილური, შეურაცხყოფელი და ავადმყოფური, — და არც ასკეტიზმზე, რომელიც ასევე არაკეთილშობილურია და ავადმყოფური. ის ქადაგებს კეთილშობილურ საშუალო გზას (ვისარგებლოთ თეოლოგიური ტერმინოლოგიით). მან მიაღწია ნირვანას, მაგრამ კვლავ, ორმოც წელზე მეტხანს ცოცხლობს, რომლებსაც ქადაგებას უძღვნის. მას შეეძლო უკვდავი გამხდარიყო, მაგრამ როცა უკვე ბევრი მონაფე ჰყავს, თვითონვე ირჩევს თავისი სიკვდილის მომენტს.

ის მჭედლის სახლში კვდება, სასომიხდელი მონაფეებით გარემორტყმული. რა უშველებათ უმისოდ? ბუდა ეუბნება მათ, რომ ის, არსებითად, არც არის; რომ ისე ითვება, როგორც ყველა მათგანი; მათსავე ით არარეალური და მოკვდავი; და თავის მოძღვრებას უტოვებს მათ. ამ მხრივ, ის პრინციპულად განსხვავდება ქრისტიანგან. იესოს, ჩემი აზრით, შეუძლია უთხრას თავისი მონაფეებს, რომ თუკი შეიყრებიან ორნი, თვითონ იქნება მესამე. ბუდა სხვაგვარად ფიქრობს; ის ეუბნება მათ: ჩემს მოძღვრებას გაიანდერძებთო. სხვა სიტყვებით, თავისი პირველი ქადაგებისას მან აამოძრავა დჰარმის ბორბალი. ამას იქით ბუდიზმის ისტორია იწყება. მასში ბევრი რამ ხდება: ლამაზიზმის, მაგიური ბუდიზმის, მაჰაიანას, ანუ „დიდი ეტლის“ ბუდიზმის წარმოშობა, ჰინაიანას, ანუ „მცირე ბუდიზმის“ გაგრძელება რომ გვევლინება, ძენ-ბუდიზმის გავრცელება იაპონიაში.

ჩემი აზრით, ბუდიზმში არსებობს ორი — ურთიერთმსგავსი და ლამის თანმხვედრი მიმართულება: პირველი ბუდას ქადაგებებისგან იღებს დასაბამს; მას ამჟამად ჩინეთსა და იაპონიაში ასწავლიან და ძენ-ბუდიზმად იწოდება. მეორე მითოლოგიური დანაშრეგებია, ზღაპრები.

საინტერესოა ზოგიერთი ამ ზღაპართაგანი. ცნობილია, რომ ბუდას შეეძლო სასწაულების მოხდენა, მაგრამ იესო ქრისტესი არ იყო, არც მას უყვარდა სასწაულები და ეს ბარბაროსულ სანახაობად მიაჩნდა. აქ გადმოცემთ სანდალოზის ბურთულის ამბავს.

ინდოეთის რომელიღაც ქალაქში ერთი ვაჭარი ბრძანებს სანდალოზის ხისგან გამოჭრან ექვსი ბურთულა, რომლებსაც ლერწმის გასაპნული გრძელი ჯოხის თავზე ათავსებს და ამბობს, სანდალოზის ბურთულას იმას მივცემ, ვინც მას მისწვდება. მოდის რამდენიმე არამართლმორწმუნე მოქადაგი, მაგრამ ვერცერთი ვერ ასრულებს პირობას. ცდილობენ ვაჭარი მოისყიდონ და ათქმევიანონ, თითქოს მათ შეეძლეს ჩამოეღოთ ბურთულა. ვაჭარი ცივ უარზეა, და მაშინ მასთან მიდის ბუდას უმცროსი შვილი, ვისი სახელიც, ამ ეპიზოდის გარდა, არსად არ იხსენიება. შვილი ჰაერში აიწევა, ექვსჯერ შემოუფრენს ბურთულას, მოხსნის და ვაჭარს მიართმევს. ეს ამბავი ბუდას ყურამდე მიაღწევს და ამნაირი მკრეხელობით განრისხებული მორწმუნეთა თემიდან აძევებს შვილიან.

თუმცა ბუდა თვითონვე ახდენდა სასწაულებს. მაგალითად, თავზიანობის სასწაულს. შუადღისას უდაბნო უნდა გადაესერა. ოცდაცამეტ ცაზე მსხდომარე ღმერთები ჩრდილს აფენდნენ თავზე. ბუდას არ უნდოდა რომელიმე მათგანი მოემუდგებინა და ოცდაცამეტ ბუდად იქცა, რათა თვითვე ღმერთს დაენახა მის მიერ ჩრდილდნაფენი.



ბუდისტურ არაკებს შორის განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია ერთი — ისრის არაკი. ბრძოლაში დაჭრილი მეომარს არ უნდა ისარი ამოეღონ. თავდაპირველად, მას სურს გაიგოს მშვილდოსნის სახელი; კასტა, რომელსაც ის ეუთვნის; მასალა, რომლიდანაც დამზადებულია ისარი; ადგილი, სადაც მშვილდოსანია და ისრის სიგრძე. ვიდრე ყოველივე ამას გაარკვევდნენ, დაჭრილი კვდება. „მაგრამ მე გასწავლით, — ამბობს ბუდა, — ისრის ამოღებას“. ამ იგავში ისარი სამყაროა, ჩვენი პიროვნებისა და ყოველივე იმის იდეა, რაც მოქცეულია ჩვენში. ბუდა ამბობს, რომ ფუჭი კითხვების გულისთვის არ უნდა ვკარგავდეთ დროს. ასე მაგალითად, რას გვარგებს იმის გაგება, სასრულია სამყარო თუ უსასრულო? ანდა ნირვანის შემდეგაც იცოცხლებს ბუდა თუ არა? ყოველივე ეს არაარსებითია. არსებითი კი ისრის ამოღებაა. საქმე ეხება შელოცვას, ხსნის კანონს.

ბუდა ამბობს: „მსგავსად იმისა, როგორც მთელი ოკეანის წყალს მხოლოდ ერთი გემო აქვს — მლაშე, ჩემს მოძღვრებასაც მხოლოდ ერთი გემო აქვს — ხსნისა“. მოძღვრება, რომელსაც ქადაგებს ბუდა, უზარმაზარია, როგორც ოკეანე, მაგრამ მხოლოდ ერთი გემო აქვს — ხს-

ნის გემო. რა თქმა უნდა, ბუდას მიმდევრები დაეხეტებოდნენ და, ალბათ, ხვდებოდნენ კიდევ ერთმანეთს მეტაფიზიკური პაექრობებისას, მაგრამ ბუდიზმის არსი ამ პაექრობებში როდია. ბუდისტი შეიძლება აღიარებდეს ნებისმიერ რელიგიას, თუკი იმავდროულად მოძღვრების არსს მისდევს. არსებითია მხოლოდ ხსნა და ოთხი კეთილშობილური მოძღვრება: ტანჯვა, ტანჯვის მიზეზი, ტანჯვისგან განკურნება და მისი განკურნების საშუალება. უზუნაესი მიზანი ნირვანაა. ჭეშმარიტებათა რიგს მნიშვნელობა არა აქვს. მიიჩნევენ, რომ ისინი შეესაბამებიან ძველ სამედიცინო ტრადიციას, რომელშიაც მსჯელობენ ბოროტებაზე, დიაგნოზზე, მკურნალობასა და განკურნებაზე. ამ შემთხვევაში განკურნება სწორედ ნირვანაა.

ახლა კი რთულ საკითხებს ვუახლოვდებით. იმას, რის უარყოფასაც ჩვენი დასავლური გონება ცდილობს. ჩვენთვის გარდასხეულება, უწინარეს ყოვლისა, პოეტური ცნებაა. ბუდისტისათვის სული კი არ გარდასხეულებს, რამდენადაც ბუდიზმი უარყოფს სულის არსებობას, არამედ — კარმა, ცნობიერების თავისებური სტრუქტურა, რომელიც უსასრულოდ გარდასხეულების უნარი შესწევს. დასავლეთში ეს იდეა უკავშირდება სხვადასხვა მოაზროვნის სახელებს, უწინარეს ყოვლისა, პითაგორასას. პითაგორამ იცნო ფარი, რომლითაც ტროას ომში იბრძოდა, მაგრამ მაშინ მას სხვა სახელი ერქვა. „სახე-მნიშვნელობა“ მეთაუ ნიგმში პლატონი ალგვიენერს მეომრის — სახელად ერ-ის სიზმარს. ეს მეომარი ხედავს იმათ სულებს,

გინდ ერთი სიცოცხლიდან გადასულხარ მეორე სიცოცხლეში, და გინდ ერთი საწოლიდან გადაგინაცვლებია დასაძინებლად მეორე ოთახში მდგარ საწოლზეო. მე მგონია, თვითვე ჩვენგანს ერთხელ მაინც ჰქონია ისეთი განცდა, თითქოს ამნაირი წამი უკვე განგვეცადოს ამა თუ იმ წინა განსხეულებისას. დანტე გაბრიელ როსეტის მშვენიერ ლექსში — „ანაზდეული ნათელი“ ვკითხულობთ: "I have been here before"\*. ის მიმართავს ქალს, რომელსაც ფლობდა ან ანი დაუფლებს, და ეუბნება მას: „შენ ჩემი ხარ, უსასრულოდ მრავალჯერ ყოფილხარ ჩემი და მთელი მარადისობის მანძილზე ჩემი იქნები“. ეს ჩვენ გვაგონებს ბუდიზმისათვის ესოდენ ნიშნულ „ციკლთა დოქტრინას“, ნეტარი ავგუსტინე რომ ეპაექრება „უფლის ქალაქში“.

საქმე ისაა, რომ ძველი ისტორიკოსები და პითაგორელები იცნობდნენ ინდუისტურ მოძღვრებას, რომლის თანახმადაც სამყარო ციკლთა უსასრულო სიმრავლისაგან შედგება, რომლებიც იზომებიან კალკებით. კალპა ადამიანური წარმოსახვის უნარს აღემატება. წარმოვიდგინოთ თექვსმეტი ათასი კილომეტრის სიმაღლის რკინის კედელი, რომელსაც ყოველ ექვსას წელიწადში ერთხელ ბენარესული სიფრიფანა ქსოვილით წმენდს ანგელოზი. როდესაც ეს თექვსმეტი ათასი კილომეტრის სიმაღლის კედელი დაიღვევა, კალპის მხოლოდ პირველი დღე გაივლის. ღმერთები იმდენხანს ცოცხლობენ, რამდენ ხანსაც გრძელდება კალპა. შემდეგ კი კვდებიან.

მსოფლიო ისტორია ციკლებად იყოფა. ამ ციკლებს შორის თავს იჩენს უზარმაზარ სიცარიელეთა სიმრავლე, როცა არაფერი არ ხდება, ანდა არსებობენ მხოლოდ ვედების წიგნთა სიტყვები. ეს სიტყვები არქტიპები, დასაბამს რომ აძლევენ საგნებს.

თვით ღვთაება ბრაჰმაც კვდება და კვლავ იბადება. არსებობს ერთი გულის-შემძვრელი თქმულება ბრაჰმზე, თავის სასახლეში რომ ცხოვრობს. ერთი ამნაირი სიცარიელის შემდეგ ბრაჰმა გარდაიქმნება, ის დასაიერნობს სრულიად დაცარიელებულ დარბაზებში და სხვა ღვთაებებზე ფიქრობს. მისი ნებით ჩნდებიან სხვა ღმერთები, რომლებსაც სწამთ: ბრაჰმამ იმიტომ შექმნა ისინი, რომ უწინაც აქ იყო მათი სავანე.

ყურადღება შევაჩეროთ სამყაროს ისტორიის ამ ხილვაზე. ბუდიზმი არა სცნობს ერთ ღმერთს; ანუ, უფრო სწორად, შეიძლება ერთ ღმერთი იყოს, მაგრამ ეს არაარსებითია. არსებითია ის, რომ ჩვენს ბედს ჩვენივე კარმა განსაზღვრავს. ის, რომ მე მენერა 1899 წელს დავბადებულიყავი ბუენოს აირესში; ისიც, რომ ამ საღამოს ეს ლექცია უნდა წამეკითხა თქვენთვის, და ისიც, რომ თვალის ჩინი უნდა დამშრეტოდა, — ყოველივე ეს წინასწარ განსაზღვრული იყო ყველა ჩემი უწინდელი გარდასხეულებით. და სწორედ ამიტომ იწოდება ეს კარმად. კარმა, როგორც მოგახსენეთ, ესაა სტრუქტურა ცნობიერებისა, უნატიფესი აზრობრივი სტრუქტურა.

ჩვენ ყოველწამიერად ვქსოვთ და ვხლართავთ ჩვენს კარმას. მას ქსოვენ არა მარტო ჩვენი მისწრაფებანი და ჩვენი მოქმედებანი, არამედ ჩვენი მოსვენებაც, ჩვენი ნახევრად თვლებაც: ჩვენ გამუდმებით ვქსოვთ მას. როდესაც ვკვდებით, იბადება სხვა არსება, ჩვენივე კარმის შემდეგ.

დეისენი, შოპენჰაუერის მონაფე, ბუდიზმის დიდი პატივისმცემელი, გვიამბობს, როგორ შეხვდა ინდოეთში ერთ ბრმა მათხოვარს და შეიბრალა. მათხოვარმა კი უთხრა: „მე თუ ბრმად დავიბადე, მამასა-დამე, ესაა ჩემს მიერ ყველა უწინდელი დაბადებისას ჩადენილი ცოდვის სასჯელი. ასე რომ, ჩემი სიბრმავე სავესებით სა-მართლიანიაო“. ამ ადამიანებისთვის მისაღება ტკივილი. განდი წინააღმდეგი იყო საავადმყოფოების დაარსებისა და ამბობდა: საავადმყოფოები და საქველმოქმედო დაწესებულებანი მხოლოდ აფერხებენ ვალის გადახდას და ამიტომ არა ღირს შევე-ნიოთ გაჭირვებულთ; თუ ისჯებიან, ესე იგი, წილად ხედომიათ ტანჯვა, რადგანაც

დასასრული მე-16 გვერდზე

\* „აქ უწინ ვყოფილვარ“ (ინგლ.).

\* კომპარი (ინგლ.).



იმ ცოდვებისთვის იტანჯებოდა, რომლებიც უნდა გამოისყიდონ, და თუ მე შევენევი მათ, მხოლოდ ვაფერხებ ვალის გადახდას.

კარმა სასტიკი მოძღვრებაა, მაგრამ მისთვის ნიშნულია საინტერესო არითმეტიკული პროგრესია: მთელი ჩემი აწინდელი სიცოცხლე წინასწარვე განსაზღვრულია ჩემი უწინდელი სიცოცხლით, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრული იქნებოდა მისივე წინამორბედით, და ასე შემდეგ, დაუსრულებლად. ესე იგი, ასო „ჰ“ განსაზღვრული იქნებოდა ასო „ჯ“-ით, „ჯ“-ი — ასო „ხ“-ით, „ხ“-ი — ასო „ჭ“-ით; მხოლოდ ამ ანბანს დასასრული აქვს, მაგრამ არა აქვს დასასრულისი. საერთოდ, ბუდისტები უსასრულოდ დღევანდელი რეალობით ითვლიან; მათი აზრით, დღევანდელ დღემდე უსასრულოდ დიდი ხანი გავიდა; ამიტომ „უსასრულობა“, რომ ამბობენ, ისინი ამა თუ იმ უსასრულობას ან აღურაცხადობას კი არ გულისხმობენ, არამედ საკუთრივ „უსასრულობას“.

ექვსი ბედიდან, რაც ნებადართულია ადამიანთათვის (მაგანი შეიძლება იყოს დემონი, მცენარე, ცხოველი), ყველაზე რთული ბედია — იყო ადამიანი, და ჩვენ თავის სახსენლად უნდა ვსარგებლობდეთ ამით.

ბუდა წარმოადგენს ზღვის სიღრმეში მოზინადრე კუს და ზღვაზე მოტივტივე მორს. ყოველ ექვსას წელიწადში კუ ერთხელ ამოყვინთავს წელიდან, და უიშვიათესი დამთხვევა იქნებოდა, მორის ნახვრეტში რომ ამოეყო თავი. ამრიგად, ბუდა ამბობს: „ადამიანად შობის ბედნიერება ისევე ნაკლებ საკარაუდოა, როგორც ის, რომ კუმ სწორედ მორის ნახვრეტში ამოყოს თავი. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ჩვენი ადამიანური არსებობით, რათა მივალწოდეთ ნირვანას“.


რა არის ტანჯვის მიზეზი, სიცოცხლის მიზეზი, თუკი ჩვენ უარყოფთ ღმერთის იდეას, თუკი არ არსებობს სამყაროს შემოქმედი ერთი ღმერთი? ამის მიზეზად ბუდა ძენს სახავს. სიტყვა „ძენი“ შეიძლება უცნაურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ, მოდით, ჩვენთვის ცნობილ სხვა სიტყვებს შევადაროთ იგი.

დავუფიქრდეთ, მაგალითად, შოპენ-ჰაუერის „ნებას“. შოპენ-ჰაუერი სამყაროს განიხილავს „როგორც ნებას და წარმოდგენას“. არსებობს თვითივე ჩვენგანში განხორციელებული ნება, რომლის წყალობითაც იბადება სამყაროს წარმომქმნელი წარმოდგენა. სხვა მოაზროვნეთა ნაზრევში ჩვენ ვხედავთ ამავე იდეას, მხოლოდ მას სხვა სახელი ჰქვია. ბერგსონი მსჯელობს სასიცოცხლო იმპულსზე, ბერნარდ შოუ — სასიცოცხლო ძალაზე, რაც, არსებითად, ერთი და იგივეა. მაგრამ არსებობს სხვაობაც: ბერგსონისა და შოუსთვის სასიცოცხლო იმპულსი — ესაა ძალა, რომელსაც აუცილებლად უნდა ემორჩილებდეთ. ჩვენ შემდგომად უნდა წარმოვიდგინოთ სამყაროს და ექმნიდეთ მას. შოპენ-ჰაუერისთვის, ბნელი შოპენ-ჰაუერისთვის — და ბუდასათვის — სამყარო სიზმარია. ჩვენ უნდა შევწყვიტოთ მისი წარმოდგენა და შეგვიძლია ხანგრძლივი წვრთნით მივალწოდეთ მას. პირველი მათგანი — ესაა ძენი, რომელიც არის ტანჯვა. ძენი შობს სიცოცხლეს, სიცოცხლე კი — გარემოებათა ძალით — უბედურებაა. მამ, რაღას ნიშნავს სიცოცხლე? სიცოცხლე ნიშნავს დაბადებას, სიბერეს, სწეულებას, სიკვდილს. და სხვა უბედურებათა შორის — ერთი, ბუდას ყველაზე საშინელ უბედურებად რომ ესახება, — არ ვიყოთ მათთან, ვინც გვიყვარს.

შემდეგ უნდა ვერიდოთ ვნებებს. თვითმკვლელობა არ ივარგებს, რადგან ეს ვნებანი საქციელია. თვითმკვლელი სამუდამოდ სიზმრების სამყაროში რჩება. უნდა გვესმოდეს, რომ სამყარო მოჩვენებაა, სიზმარი, და თვით სიცოცხლეც სიზმარია. მაგრამ ღრმად უნდა შევიგრძნოთ ეს, აზრობრივი წვრთნით ვენით ამას. ბუდისტურ მონასტრებში ერთ-ერთი

მედიტაცია ასეთია: ნეოფიტმა ღრმად უნდა განიცადოს თავისი სიცოცხლის ყოველი წამი, მთელი არსებით მიეცეს ამას. უნდა ფიქრობდეს: ახლა შუადღეა, ახლა გავდივარ ეზოდან, ახლა შევხვდები ბონზას; იმავდროულად კი უნდა ესმოდეს, რომ შუადღეც, ეზოც, ბონზაც ისევე ირრეალურია, როგორც თვითონ და მისი აზრი, რადგან ბუდიზმი უარყოფს ინდივიდუალობას.

ერთ-ერთი უდიდესი იმედგაცრუება „მე“-სადმი იმედგაცრუებაა. ამ მხრივ, ბუდიზმი იუმის, შოპენ-ჰაუერის, ჩვენი მასდომონი ფერნანდესის აზრს ემთხვევა. სუბიექტი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ აზრობრივ მდგომარეობათა რიგი. თუ ვამბობ — „მე ვთვლი“, მაშასადამე,



ვცდები, რადგანაც ვგულისხმობ ამა თუ იმ გარკვეული სუბიექტის და, მაშასადამე, აზროვნების — მისი ქმედითობის ნაყოფის არსებობასაც. მაშასადამე, უნდა გვეთქვა, ხაზს უსვამს იუმი, არა „მე ვთვლი“, არამედ — „ითვლება“, ისევე, როგორც ამბობენ „ცრის“. როცა ჩვენ ვამბობთ — „ქუჩაში ცრის“, იმას კი არ ვგულისხმობთ, რომ ვიღაცა ახდენს მოქმედებას, არამედ — იმას, რომ „რაღაცა ხდება“. ზუსტად ასევე ვამბობთ — „ქუჩაში ცხელა“, „ქუჩაში ცივა“. დახ, ჩვენ უნდა ვამბობდეთ — „იგრძნობა“, „ამიჩნება“, და თავს ვარიდებდეთ სუბიექტს.

ბუდისტურ მონასტრებში ნეოფიტები უსასტიკეს დისციპლინას ექვემდებარებიან. მათ შეუძლიათ მიატოვონ მონასტერი, როცა მოეპრიანებათ. მარია კოდამა მიამბობდა, რომ გვარების რეგისტრირება საერთოდ არ ხდება. მონასტერში შესვლისთანავე უშიშვლად სამუშაოს ასრულებინებენ. დასაძინებლად დაწოლილს თხუთმეტიოდ ნუთში აღვიძებენ: უნდა რეცხოს და დაგავოს; მძინარეს კი სასტიკად სჯიან. ამრიგად, ის იძულებულია გამუდმებით ფიქრობდეს, მაგრამ თავის ცოდვებზე კი არა, არამედ ყოველივე არსებულის ირრეალურობაზე. ის იძულებულია გამუდმებული თვითწვრთნით აღწევდეს სამყაროს ირრეალურობის შეგრძნებას.

აქ კი ჩვენ მივადგებით ძენ-ბუდიზმს და ბოდჰიდჰარმას. ბოდჰიდჰარმა იყო პირველი მისიონერი; ცხოვრობდა VI საუკუნეში. ინდოეთიდან ჩინეთში გადადის და იმპერატორს ხვდება, რომელმაც ბუდიზმი მიიღო. ის მისიონერს აცნობს მონასტრებისა და ტაძრების სახელებს და ნეოფიტ

ბუდისტთა რიცხვს უსახელებს. ბოდჰიდჰარმა ამბობს: „ყოველივე ეს ილუზიების სამყაროს კუთვნილებაა; მონასტრებიც და ბერებიც ისევე არარეალურნი არიან, როგორც მე და შენ“. შემდეგ კი მედიტაციაში ინთქმება და კედელთან ჯდება.

მოდვრება იაპონიას აღწევს და სხვადასხვა მიმართულებებზე განიხილავს. მათ შორის ყველაზე ცნობილი ძენ-ბუდიზმია. მის ნიაღში მიკვლევულ იქნა საშუალება, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა ნათელმოსილება. ეს საშუალება ქმედითია მხოლოდ მედიტაციის რამდენიმე წლის შემდეგ. ნათელმოსილებას ანაზღაურებდა აღწევნა: სილოგიზმების რიგზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ქვემარტებას მყისიერად შეიგრძნობთ. ამ საშუალებას სატორი ეწოდება, და ის განპირობებულია მოულოდნელი გარემოებით, რომელიც ლოგიკის მიღმა ძევს.

ჩვენ ყოველთვის ობიექტის, სუბიექტის, მიზეზის, შედეგის, ლოგიკისა თუ ალოგიკურის ცნებებით ვაზროვნებთ; უნდა უარყოფთ ყველა ეს კატეგორია. ძენ-ბუდიზმის მოძღვარი ამბობს: ქვემარტება აზრის ანაზღაურელი გაეღვებით მიიღწევა, რაც პასუხის ალოგიკურობის წყალობით ხდება. ნეოფიტი ეკითხება მოძღვარს: ვინ არის ბუდა? მოძღვარი მიუგებს: „კვიპაროსი ბოსტანია“. სრულიად ალოგიკური პასუხი, რომლის წყალობითაც აღწევნა ქვემარტებას. ნეოფიტი კითხულობს: რატომ მოვიდა ბოდჰიდჰარმა დასავლეთიდან? მოძღვარმა შეიძლება მიუგოს: „სამი გირვანქა სელი“. ამ სიტყვებში არ არის ალეგორიული აზრი. მათში მოქცეული პასუხი უაზროა, მაგრამ მიზნად ისახავს გააღვიძოს ინტუიცია. მონაფერალაცას ეკითხება, მოძღვარს შეუძლია პასუხად გაარტყას. აი, მაგალითად, უთუოდ ლეგენდარული იგავი ბოდჰიდჰარმაზე.

ბოდჰიდჰარმას თან ახლდა ერთი მონაფე, კითხვას კითხვაზე რომ აყრიდა, მოძღვარი კი არ პასუხობდა. მონაფე ცდილობდა მედიტაციაში დათქმულიყო. ცოტა ხნის შემდეგ მარცხენა ხელი მოიკვეთა, მოძღვარს წინ დაუდო იმის ნიშნად, რომ უნდოდა მისი მონაფე გამხდარიყო და თავისი სურვილის დასტურად განზრახ დაისახიჩრა თავი. მოძღვარმა ყურადღება არ მიაქცია ამ ამბავს, რაც, ბოლოს და ბოლოს, მატერიალური, ანუ ილუზორული მოვლენა იყო, და — „რა გინდაო?“ — ჰკითხა. „დიდხანს ვეძებდი ჩემს გონებას და ვერ ვიპოვე“, — უთხრა მონაფემ. მოძღვარმა მოკლედ მოუჭრა: „ვერ იპოვე იმიტომ, რომ არ არსებობსო“. მაშინ მონაფემ შეიცნო ქვემარტება, მიხვდა, რომ ის როგორც პიროვნება არ არსებობს, და ირწმუნა, რომ სამყაროში ყველაფერი არარეალურია. აი, დაახლოებით, ძენ-ბუდიზმის არსი.

ძალზე ძნელია რელიგიაზე მსჯელობა, მით უმეტეს, მაშინ, როცა მისი აღმსარებელი არა ხარ. ჩემი აზრით, არსებითია ბუდიზმს იგავთა თამაშად კი არ აღიქვამდე, არამედ — ქცევის კოდექსად, რომელსაც შეიძლება მივმართოთ და რომელიც ასკეზას არ მოითხოვს ჩვენგან. ის კიდევ უფრო ნაკლებად გვრთავს იმის ნებას, რომ მთელი არსებით მივეცეთ ხორციელი ცხოვრების თავისუფლებას. ის ჩვენგან მოითხოვს, უწინარეს ყოვლისა,

მედიტაციას, მაგრამ არა ჩვენი ცოდვებისა თუ ჩვენს მიერ განცდილის თემაზე.

ძენ-ბუდიზმში მედიტაციის ერთ-ერთი თემაა ფიქრი განცდილის ილუზორულობის შესახებ. ბუდისტები მღვდელი რომ ვყოფილიყავი, მეგონებოდა თითქოს ეს-ესაა დავინწყე ცხოვრება და მთელი ჩემი უწინდელი ყოფა სიზმარი იყო. ინტელექტუალური წვრთნის წყალობით ჩვენ თანდათანობით ვთავისუფლდებით ძენისგან. როგორც კი შევიგნებთ, რომ ჩვენ როგორც პიროვნებები არ ვარსებობთ, საერთოდ ვწყვეტთ იმაზე ფიქრს, თითქოს შეიძლება ბედნიერები ვიყოთ და აღარც ჩვენს მოვალეობად მივიჩნევთ ბედნიერებისაკენ სწრაფვას. ჩვენ მივალწევთ სიმშვიდეს. თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ნირვანის მდგომარეობა სულის სიმშვიდეს შეესაბამება, რასაც გვიდასტურებს ლეგენდა ბუდას შესახებ. ბოდჰის წმინდა ხის ქვეშ მჯდომარე ბუდა ნირვანის მდგომარეობას აღწევს, მაგრამ, რა თქმა უნდა, მრავალი წლის მანძილზე ცოცხლობს და კვლავაც განაგრძობს თავისი მოძღვრების ქადაგებას.

რას ნიშნავს ნირვანის მდგომარეობის მიღწევა? ეს ნიშნავს, რომ ჩვენი მოქმედება ჩრდილს აღარ ფენს. სანამ ამ ქვეყნად ვცხოვრობთ, კარმას ვექვემდებარებით. ჩვენი ყოველი მოქმედება განწონილია ცნობიერების იმ სტრუქტურით, კარმად რომ იწოდება. ნირვანის მდგომარეობის მიღწევისას ჩვენი მოქმედება ჩრდილს უკვე აღარ ფენს, ჩვენ თავისუფალნი ვართ. წმიდა ავგუსტინე\* ამბობდა: როცა ხსნილი ვართ, რაში გვჭირდება სიკეთესა და ბოროტებაზე მსჯელობაო. ჩვენ მხოლოდ სიკეთეს ვიქმთ, ისე, რომ არც ვფიქრობთ ამაზე.

რა არის ნირვანა? ბუდასადმი ინტერესი დასავლეთში უპირატესად გამოწვეულია ამ მშვენიერი სიტყვის წყალობით. წარმოუდგენელი ჩანს, რომ სიტყვა „ნირვანა“ არ იმარხავდეს ამა თუ იმ ფასეულობას. მაინც რას ნიშნავს უშუალოდ „ნირვანა“? ესაა ჩაქრობა, დამშვიდება, დაცხრომა. უწინ მიაჩნდათ, რომ თუ ვინმე ნირვანის მდგომარეობას მიაღწევს, ლამპარივით ქრება. მკვდარი ნირვანაში გადადის, რასაც თანა სდევს დამშვიდება. მაგრამ ყველაფერი პირიქით ხდება. ერთმა ავსტრიელმა ორიენტალისტმა შენიშნა, რომ ბუდას მსჯელობის ამოსავალი წერტილი იყო მისი ეპოქის ფიზიკური წარმოდგენები, ჩაქრობის იდეა კი მაშინ ისეთი როდი იყო, როგორიც დღეს არის: მიაჩნდათ, რომ ჩაქრობისას ალი კი არ ქრება, არამედ სხვა ჰიპოსტასით კვლავაც არსებობს. ამიტომ „ნირვანა“, პირდაპირი გაგებით, ჩაქრობას კი არ ნიშნავს, არამედ იმას, რომ ჩვენ სხვაგვარად განვაგრძობთ არსებობას. საერთოდ, მისტიკოსთა მეტაფორები რიტორიკული მეტაფორებია; მაგრამ ისინი სულ სხვაგვარნი არიან ბუდისტთა შორის. ნირვანაზე მსჯელობისას ნირვანის ღვინოს, ნირვანის ვარდს ან ნირვანის ხვევნას როდი გულისხმობენ. ნირვანა შეიძლება კუნძულს შევადაროთ ზღვის აბოზოქურებულ ტალღებში. თუმცა ის შეიძლება შევადაროთ ბალსაც. ნირვანა რაღაც თავისთავად არსებულია, ჩვენი გაგების მიღმურ.

ყველაფერი, რაც დღეს გიამბობთ, ფრაგმენტულია. აბსურდული იქნებოდა თქვენთვის გადმომეცა რელიგიური მოძღვრება, რომელსაც ამდენი წელი მივუძღვენი და რომელიც სუსტად მესმის, — სამუზეუმო ექსპონატის დემონსტრირების მიზნით. ჩემთვის ბუდიზმი სამუზეუმო ექსპონატი კი არა, გზაა ხსნისა. და არა მარტო ჩემთვის, არამედ მთლიანობით ადამიანისთვისაც. ბუდიზმი მსოფლიოს ყველაზე ფართოდ გავრცელებული რელიგიაა, და, ვგონებ, ჩემს დღევანდელ ლექციამ საკმაოდ მოკრძალებული ვიყავი მის მიმართ.

თარგმანი ბაჩანა ბრეხვამეძე

\* ავგუსტინე კათოლიკეებისათვის წმიდანია, ჩვენთვის — ნეტარი (მთარგმნ.).

# ლიტერატურული გაზეთი

გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტიკის ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაძე, თამარ ჟურული  
ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com